

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
2021 წლის
საქმიანობის ანგარიში



სარჩევი

გენერალური აუდიტორის მიმართვა	4
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხუთწლიანი სტრატეგიის ძირითადი შედეგების შეჯამება.....	6
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები.....	11
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის SAI-PMF შეფასების შედეგები.....	12
2. დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება.....	16
3. აუდიტორული საქმიანობა.....	18
3.1 აუდიტების ძირითადი შედეგები	18
3.2 აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.....	46
3.3 აუდიტის ხარისხის კონტროლი და უზრუნველყოფა	48
3.4 სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული ანგარიშები.....	49
4. ძირითადი პარტნიორების ჩართულობა	51
4.1 თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან.....	52
4.2 თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან	54
4.3 თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან	55
4.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა.....	55
4.5 საერთაშორისო თანამშრომლობა.....	58
5. შიდა მმართველობა და ორგანიზაციული კულტურა	60
5.1 მმართველობის სისტემების გაძლიერება.....	61
5.2 ეთიკური გარემოს გაუმჯობესება.....	62
5.3 შიდა ინფორმაციული სისტემები და უსაფრთხოება.....	63
6. თანამშრომელთა პროფესიული განვითარება.....	65
6.1 სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის საქმიანობა.....	68
7. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებების ხელშეწყობა.....	70
8. სამსახურის ფინანსები	73
9. მომავლის ხედვა და არსებული გამოწვევები.....	75
დანართები	78
დანართი 1. 2021 წელს ჩატარებული აუდიტები.....	79
დანართი 2. 2017 წლისა და 2022 წლის SAI-PMF შეფასების შედეგები	81
დანართი 3. სამართალდამცავ ორგანოებში 2021 წელს გადაგზავნილი ანგარიშები	83
დანართი 4. 2021 წელს სასამართლოში გადაგზავნილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები.....	84
დანართი 5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის ბიუჯეტი.....	86
დანართი 6. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	87

გენერალური აუდიტორის მიმართვა

ჩვენ ხუთწლიანი სტრატეგიის ფარგლებში მიზნად დავისახეთ გაბედული რეფორმა, გაგვეზარდა ორგანიზაციის როლი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში და მიგვეღწია ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების დონეს. ამ რთულ გზაზე ინსტიტუციამ გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა რესურსი და შესაძლებლობა. სამსახური აქტიურ თანამშრომლობაში ჩაერთო საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან, გამოიყენა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სხვადასხვა ბერკეტი. შედეგად, გამოცდილებაზე დაფუძნებულმა ცოდნამ ბიძგი მისცა ინსტიტუციური განვითარების პროცესს.

სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში ჩვენ გვქონდა სრული მხარდაჭერა ისეთი დონორი ორგანიზაციების მხრიდან, როგორებიც არის ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი, USAID, GIZ და სხვა. აღნიშნული ორგანიზაციების მაღალი ნდობის გამოხატულებაა ის, რომ დღეს ჩვენ ვართ რეგიონში მათი პროექტების აღიარებული აუდიტორები.

გასული წლების განმავლობაში, განსაკუთრებით 2020-2021 წლებში, ჩვენ მივაღწიეთ სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულ ყველა მიზანს. უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების ჩარჩოს (SAI-PMF) შედეგებით, მსოფლიო ბანკის „უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების დამოუკიდებლობის ინდექსით“, უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების კეთილსინდისიერების გარემოს (IntoSAINT) შეფასებით, ასევე, Deloitte-ისა და PwC-ის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი აუდიტებით დასტურდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მნიშვნელოვანი პროგრესი ორგანიზაციული განვითარების ყველა მიმართულებით.

მიუხედავად პანდემიის შედეგად გამოწვეული რთული ვითარებისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2018-2021 წლებში ჩაატარა 269 აუდიტი, მათ შორის: 63 – ფინანსური, 152 – შესაბამისობისა და 54 ეფექტიანობის აუდიტი. ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი 81%-დან (2017 წელი) გაიზარდა 90%-მდე, ხოლო ეფექტიანობის აუდიტების წილმა მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში 11%-დან 33%-ს მიაღწია 2021 წელს.

დაინერგა საერთაშორისოდ აღიარებული აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემა და განახლდა აუდიტორთა ეთიკის სისტემა, რომელშიც სრულად აისახა ISSAI-ის სტანდარტების ყველა მოთხოვნა.

თანამედროვე გამოწვევებისა და ინსტიტუციური გარდაქმნის პროცესში სამსახური დადგა ციფრული რეფორმის აუცილებლობის წინაშე. შედეგად, შემუშავდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის IT განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და ინფორმაციული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა. ასევე, გატარდა არაერთი მნიშვნელოვანი IT ღონისძიება, რამაც უზრუნველყო ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის ISO 27001 საერთაშორისო სტანდარტთან დაახლოება.

სამსახურის მიღწეული პროგრესი განაპირობა ადამიანების გაერთიანებამ საერთო მიზნების გარშემო, მათმა მუდმივმა სწრაფვამ პროფესიული და პიროვნული განვითარებისკენ, ასევე, აქტიურმა მონაწილეობამ ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში. ამ ეტაპზე, შეიქმნა ისეთი პრაქტიკები, როგორიცაა თანამშრომელთა შეფასების სისტემა, დაინერგა სტაჟირების პროგრამა, რითაც აუდიტის სამსახურს შეუერთდა მოტივირებული და პერსპექტიული კადრები, შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია და სხვადასხვა მიმართულებით კვალიფიკაცია აიმაღლა სამსახურის 220-მე მეტმა თანამშრომელმა.



საქმიანობის პროცესში ჩვენ მიზნად დავისახეთ გამჭვირვალობის მაქსიმალური ხელშეწყობა, რაც ფუნდამენტურია ანგარიშვალდებული ინსტიტუტების არსებობისთვის. აღნიშნული გამოიხატა აუდიტორული მანდატისა და დამოუკიდებლობის ხარისხის განმტკიცებასა და INTOSAI-ის ფუძემდებლურ დეკლარაციებთან შესაბამისობაში მოსვლაში, რაც თავის მხრივ, განაპირობა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონისთვის ორგანული კანონის სტატუსის მინიჭებამ და საკონსტიტუციო სასამართლოსთვის პირდაპირი მიმართვის უფლების მოპოვებამ. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით პირველად ჩატარდება საგადასახადო შემოსავლების ფინანსური აუდიტი.

ჩვენი მიზანია აუდიტორული საქმიანობით დამატებითი ღირებულების შექმნა და მოქალაქეთა კეთილდღეობის გაუმჯობესება. შესაბამისად, წლიური გეგმის შედგენისას მუდმივად ვითვალისწინებთ საზოგადოების ინტერესს. 2021 წელს აუდიტორულ გეგმაში გათვალისწინებული იქნა საზოგადოების მომართვების 56%. დამატებით, სამსახურმა განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა სა-მოქალაქო საზოგადოებასთან, მედიასა და მოქალაქეებთან კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო აუდიტის ობიექტებთან თანამშრომლობა, რომელიც თვისობრივად ახალ საფეხურზე გადავიდა და მუდმივი დისკუსიის პირობებში ჩამოყალიბდა როგორც ეფექტური თანამშრომლობა უკეთესი შედეგის მისაღებად. დაიწყო ჩვენი რეკომენდაციების აქტიური გათვალისწინება და დღეს სახეზე გვაქვს წარმატებით შესრულებული რეკომენდაციების არაერთი მაგალითი.

რეკომენდაციების დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანია პარლამენტის როლი. ამ კუთხით, ასევე არსებითია აუდიტის სამსახურის შესაძლებლობა ხელი შეუწყოს პარლამენტს საპარლამენტო ზედამხედველობის წარმატებით განხორციელებაში. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ ჩვენ შევქმენით რეკომენდაციების შესრულების ელექტრონული პლატფორმა (www.aris.sao.ge), სადაც შეიკრა ანგარიშვალდებულების სამკუთხედი, პრინციპი, რომელსაც ამყარებს INTOSAI-ს სტანდარტები. შედეგად, პლატფორმაზე გაგრძელდება პარლამენტის, მთავრობისა და აუდიტის სამსახურის ერთობლივი მუშაობა რეალურ რეჟიმში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შემდგომი ინსტიტუციური განვითარების გზაზე, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა SAI-PMF-ის მიღწეული შედეგების განმტკიცებაზე, ახალ გამოწვევებთან გამკლავებასა და ინოვაციური პროდუქტების დანერგვაზე.

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხუთწლიანი სტრატეგიის ძირითადი შედეგების შეჯამება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს 2018-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით. სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები პასუხობს იმ გამოწვევებს, რომლებიც 2017 წელს ჩატარებული უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების ჩარჩოს (SAI-PMF-ის) შედეგებით გამოვლინდა. SAI-PMF კომპლექსური მექანიზმია, რომელიც ეყრდნობა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტებს. იგი აფასებს როგორც აუდიტორულ, ასევე არააუდიტორულ საქმიანობას, საკანონმდებლო ჩარჩოს, ორგანიზაციის დამოუკიდებლობის ხარისხსა და მანდატს, შიდა მმართველობასა და ეთიკას, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციასა და ადამიანური რესურსების მართვას.

2022 წელს აუდიტის სამსახურმა OECD-ისა და ევროკავშირის SIGMA-ს პროექტის მხარდაჭერით, განახორციელა განმეორებითი SAI-PMF შეფასება 2020-2021 წლების პერიოდზე. მიღებული შედეგები ასახავს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ყველა პარამეტრის მიღწევას, რაც გამოიხატება სამსახურის ინსტიტუციური განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლაში, 2017 წლის შეფასების საშუალო მაჩვენებლიდან (2.2 ქულა) 2022 წლის 3.4 ქულამდე, მაქსიმალური 4 ქულიდან. SAI-PMF-ის შეფასება და სხვა ევროპულ უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან შედარება ცხადყოფს, რომ საქართველოს აუდიტის სამსახური სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და მისი ინსტიტუციური განვითარება დაენია ევროკავშირის ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნების დონეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმატება განაპირობა თითოეული სტრატეგიული მიზნის ფარგლებში მიღწეულმა შემდეგმა ძირითადმა შედეგებმა:

1. დამოუკიდებლობისა და მენდატის გაძლიერება

- 2018 წლიდან ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონმა შეიძინა ორგანული კანონის სტატუსი;
- სამსახურს მიენიჭა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი პირდაპირი მიმართვის უფლება, რითაც თვისობრივად ახალ საფეხურზე გადავიდა სამსახურის დამოუკიდებლობის ხარისხი;
- დამოუკიდებლობის გარანტიები განამტკიცა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონიდან სამსახურზე დაწესებულმა გამონაკლისმა, რაც უზრუნველყოფს დამოუკიდებლობას ადამიანური რესურსების მართვის, დასაქმებისა და სამუშაო პირობების განსაზღვრის მხრივ;
- 2021 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევით – „უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების დამოუკიდებლობის ინდექსი“,¹ სახელმწიფო აუდიტის სამსახური შეფასებულია მაქსიმალური 10 ქულიდან 9.5 ქულით, რაც სამსახურის დამოუკიდებლობის მაღალ სტანდარტზე მიუთითებს;
- 2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ კონტროლს ახორციელებს მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი. 2019-2020 წლებში Deloitte-ის, ხოლო 2021-2022 წლებში – PwC-ის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტის ფარგლებში უკვე მეოთხე წელია სამსახური იღებს უპირობო დასკვნას, რაც ნიშნავს იმას, რომ სამსახურის ფინანსური ანგარიშგება სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

¹ The Supreme Audit Institutions Independence Index: Global Synthesis Report 2021



2. აუდიტორული საქმიანობა

- 2018-2021 წლებში ჩატარდა 269 აუდიტი, მათ შორის: 63 – ფინანსური, 152 – შესაბამისობისა და 54 ეფექტიანობის აუდიტი. უშუალოდ 2021 წელს განხორციელდა 49 აუდიტი, აქედან: 11 – ფინანსური, 22 – შესაბამისობისა და 16 ეფექტიანობის აუდიტი;
- ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი 81%-დან (2017 წელი) გაიზარდა 90%-მდე (2021 წელი);
- 2018 წლიდან სამსახურში დაინერგა აუდიტის ახალი მიმართულება – უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი, რომლის მიზანია ერთი აუდიტის ფარგლებში მრავალი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემოწმებით საჯარო სექტორში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. ამ პერიოდში ჩატარდა 6 მსგავსი ტიპის აუდიტი, მათ შორის 2021 წელს – 3;
- 2018 წლიდან სამსახური საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების – მსოფლიო ბანკისა (WB) და USAID-ის აუდიტორია. ამ პერიოდში ჩატარდა მათ მიერ დაფინანსებული პროექტების 4 აუდიტი;
- სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან ერთად სამსახური მონაწილეობდა 5 საერთაშორისო პარალელურ აუდიტში, მათ შორის ერთ შემთხვევაში მენტორის რანგში;
- ეფექტიანობის აუდიტების წილი მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა: 2017 წელს 11%-დან 2021 წელს 33%-მდე;
- 2018-2021 წლებში ეფექტიანობის აუდიტებით სამსახურმა მოიცვა საჯარო ფინანსების ფუნქციონალური კლასიფიკაციით (COFOG) განსაზღვრული ათივე სახელმწიფო სექტორი/სფერო;
- 2021 წელს პანდემიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარდა 3 ეფექტიანობის აუდიტი;
- 2018 წლიდან სამსახურში დაინერგა საერთაშორისოდ აღიარებული აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემა;
- აუდიტორული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აუდიტის მართვის სისტემის (AMS) პრაქტიკაში სრულად დანერგვამ;
- 2021 წელს პრაქტიკაში ამოქმედდა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (www.aris.sao.ge), რომელსაც რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესი სრულად გადაჰყავს ელექტრონულ სივრცეში.

3. ძირითადი პარტნიორობის ჩართულობა

თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან:

- 2018-2021 წლებში მუდმივად ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული აუდიტის ჯგუფის მიერ განხილული ანგარიშების რაოდენობა (2018 წელს 8 ანგარიშიდან 2021 წელს 22-მდე). ამ პერიოდში ჯგუფმა განიხილა 64 აუდიტის ანგარიში;
- 2021 წელს პირველად მომზადდა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარედგინა აუდიტის რეკომენდაციების შესრულების ანალიტიკური ანგარიში.

თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან:

- 2021 წელს სამართალდამცავ ორგანოებში გადაიგზავნა 19 აუდიტის შესაბამისი მასალა;
- პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშში ცალკე ქვეთავი დაეთმო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებთან დაკავშირებით განხორციელებულ რეაგირებასა და მიღწეული შედეგების მიმოხილვას;
- სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და პროკურატურის მიერ გატარებული სამართლებრივი რეაგირების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტს აუნაზღაურდა მიყენებული ზიანი, დაახლოებით 850 ათასი ლარის ოდენობით.

ჩართულობა და გამჭვირვალობა:

- 2018-2021 წლებში სამსახურმა განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა სამოქალაქო საზოგადოებასთან, მედიასა და მოქალაქეებთან კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით;
- განახლდა სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი (www.sao.ge), რომლის ახალი დიზაინი და ფუნქციონალი მომხმარებლებს მნიშვნელოვნად უადვილებს სამსახურის საქმიანობის შედეგებისა და ინფორმაციის მოძიებას/ანალიზს;
- შეიქმნა ეფექტიანობის აუდიტის ბლოგი (www.blog.sao.ge), სადაც განთავსებული სტატიები შეჭამებული სახით და მარტივად აღქმადი ენით აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას ეფექტიანობის აუდიტების ძირითადი მიგნებებისა და რეკომენდაციების შესახებ;
- განახლდა პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის პლატფორმა (www.monitoring.sao.ge), რის შედეგადაც მომხმარებლებს მნიშვნელოვნად გაუმარტივდათ პოლიტიკური პარტიისა თუ საარჩევნო სუბიექტის შესახებ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი;
- მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური ქსელის გამოყენება, რის შედეგადაც 2021 წელს სამსახურის ფეისბუქის გვერდის მომხმარებელთა რაოდენობამ 55 ათასს გადააჭარბა;
- 2018-2021 წლებში დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ 12,684 ერთეული მედია გამოხმაურება;
- სამსახურის ვებგვერდის ნახვების რაოდენობამ 2021 წელს 500 ათასს მიაღწია;
- 2021 წელს სამსახურის მიერ მიღებული მომართვების 56% გათვალისწინებულ იქნა 2021-2022 წლების აუდიტორული საქმიანობის გეგმებში.

საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა:

- 2020 წელს სამსახურმა გაიმარჯვა საუდის არაბეთის სამეფოს გენერალური აუდიტის სასამართლოს მიერ დაფუძნებული ფონდის – „საუდის ფონდი უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების გაუმჯობესებული შესაძლებლობები“ საგრანტო კონკურსში. მიღებული გრანტი, 100,000 აშშ დოლარის ოდენობით, სამსახურის IT ინფრასტრუქტურის გაძლიერებას მოხმარდა;
- 2021 წელს დაიწყო ევროკავშირის ახალი ტექნიკური დახმარების პროექტი – ეკონომიკური მმართველობა და ფისკალური ანგარიშვალდებულება, რომლის განმახორციელებელია მსოფლიო ბანკი (WB);
- სამსახური USAID-თან ორი მიმართულებით თანამშრომლობდა: USAID-ის პროექტი – კარგი მმართველობის ინიციატივა (GGI) და USAID-ის პროგრამა – მმართველობა განვითარებისთვის (G4G);
- 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განსაზღვრულ ეფექტიანობის აუდიტებში – „დისტანციური სწავლება საჯარო სკოლებში“ და „აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის განვითარება და მართვა“, აშშ-ს ანგარიშვალდებულების სამსახურის (GAO) „აუდიტის დახელოვნების ცენტრის“ (CAE) ჩართულობით დაიწყო რეკომენდაციების ზეგავლენის შეფასების მეთოდების დანერგვა. აღნიშნული გულისხმობს რეკომენდაციის შედეგად მისაღები პოტენციური სარგებლის გაზომვადი ფორმით წარმოდგენას. რეკომენდაციების ზეგავლენის შეფასების პრაქტიკის დანერგვა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის მაღალი ინსტიტუციური განვითარების დონეზე მიუთითებს;
- 2021 წელს სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს INTOSAI-ის, EUROSAI-ისა და ASOSAI-ის 20-მდე საერთაშორისო ონლაინ შეხვედრასა და ვებინარში;
- აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების კუთხით მიმდინარეობდა პროექტები სხვადასხვა მიმართულებით, დონორი ორგანიზაციების EU-ის, WB-ის, USAID-ის, GIZ-ის მხარდაჭერით.

4. შიდა მმართველობა და ორგანიზაციული კულტურა

- 2021 წელს სამსახურმა განაახლა 2018-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- INTOSAI IDI-მ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვის მიდგომები დადებითად შეაფასა და სამსახურის გამოცდილება, როგორც საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, წარმატებული პრაქტიკების რუბრიკაში გამოაქვეყნა;²
- 2020 წელს განახლდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, რომელშიც სრულად აისახა ISSAI-ის სტანდარტების (ISSAI 130) მოთხოვნები;
- 2021 წელს სამსახურში შეიქმნა ეთიკის კომისია, რომლის მიზანია ეთიკური კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა და ეთიკის კოდექსით დეკლარირებული ღირებულებების შესაძლო დარღვევების პრევენციის/გამოვლენისა და დარღვევებზე რეაგირების სისტემის ჩამოყალიბება;
- შემუშავდა ეთიკის სახელმძღვანელო, რომელიც თანამშრომლებს უზრუნველყოფს დეტალური ინფორმაციით ეთიკური ღირებულებებისა და სტანდარტების შესახებ;
- 2022 წელს ნიდერლანდებისა და ლატვიის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების ერთობლივი მხარდაჭერით, სამსახურის კეთილსინდისიერების გარემო შეფასდა IntoSAINT-ის მეთოდოლოგიით.³ შეფასების ყველა კომპონენტში სამსახურმა მიიღო უმაღლესი ქულა;
- 2021 წელს შემუშავდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის IT განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და შესაბამისი ინფორმაციული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა.

² IDI, „The State Audit Office of Georgia's continuous pursuit of excellence in strategic management,“ Norway: IDI, 2021, <https://idi.no/work-streams/well-governed-sais/about/success-stories/georgia>

³ IntoSAINT მეთოდოლოგია უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციაში კომპლექსურად აფასებს არსებულ ეთიკურ გარემოსა და სტანდარტებს.

5. თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

- 2018 წლიდან შეიქმნა და დაინერგა საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული თანამშრომელთა შეფასების მექანიზმი, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებები, მათი პროფესიული კვალიფიკაციის გამოყენების პერსპექტივები და წახალისების წინაპირობები;
- 2021 წელს შეფასების საფუძველზე დაინაურდა 50 თანამშრომელი;
- თანამშრომელთა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სამსახურმა შეიმუშავა პროფესიული საჯარო მოხელის განვითარების 2022 წლის გეგმა, რაც ემსახურება თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაძლებლობების გაძლიერებას;
- განახლდა ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია;
- შეიმუშავდა მოხელეთა პროფესიული და კარიერული განვითარების წესი;
- 2018-2021 წლებში სამსახურმა ერთწლიანი სტაჟირების პროგრამაზე მიიღო სტაჟიორთა ორი ნაკადი. ინტენსიური თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე, სამსახურში დასაქმდა 32 ადამიანი;
- სხვადასხვა მიმართულებით კვალიფიკაცია აიმაღლა სამსახურის 220-ზე მეტმა თანამშრომელმა;
- სამსახურის 93 თანამშრომელი ფლობს სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის სერტიფიკატს, 45 თანამშრომელი – ACCA-ის, 5 თანამშრომელი – IT მიმართულებით საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, 2 თანამშრომელი – CFA-სა და CFM-ის სერტიფიკატებს;
- 2019 წლიდან სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიზანმიმართულმა პოლიტიკამ, სწორმა სტრატეგიულმა ხედვამ და რესურსების ეფექტიანმა გამოყენებამ, ინსტიტუტი საგანმანათლებლო სექტორში კონკურენტუნარიან და წარმატებულ ორგანიზაციად ჩამოაყალიბა;
- სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენინგებიდან მიღებული შემოსავლების მოცულობა მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდება და 2017 წელთან შედარებით 355%-ით გაიზარდა, 540 ათას ლარამდე;
- 2021 წელს სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ჩაატარა 40-მდე ტრენინგკურსი, რომელსაც დაესწრო 1,092 მსმენელი. საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამა გაიარა 52-მა პირმა;
- სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით, „მუნიციპალური განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებული სასწავლო კურსი გაიარა მუნიციპალიტეტების 70-ზე მეტმა წარმომადგენელმა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები

მისია

დამოუკიდებელი და ხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით შევქმნათ ღირებულება და სარგებელი საზოგადოებისთვის, პარლამენტისა და მთავრობისთვის.

ხედვა

აღვასრულოთ ჩვენი მოვალეობა კეთილსინდისიერად და ხარისხიანად.

ღირებულებები

დამოუკიდებლობა

ჩვენი საქმიანობა ეფუძნება მიუკერძოებლობის და ობიექტურობის პრინციპებს.

პროფესიონალიზმი

ჩვენი თანამშრომლები საქმიანობას წარმართავენ მაღალი პროფესიული სტანდარტების, კეთილსინდისიერებისა და ეთიკის შესაბამისად.

ობიექტურობა

ჩვენი საქმიანობა ემყარება სამართლიანობის, სანდოობისა და ნეიტრალიტეტის პრინციპებს.

გამჭვირვალობა

ჩვენ ვართ ანგარიშვალდებულნი საზოგადოების წინაშე და უზრუნველვყოფთ შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიული მიზნები



მიზანი 1:

დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება



მიზანი 2:

მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის შედეგად საჯარო ფინანსების მართვის თვისობრივი გაუმჯობესება



მიზანი 3:

ძირითადი პარტნიორების ჩართულობის გაძლიერება



მიზანი 4:

მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტიანობის ამაღლება



მიზანი 5:

თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

A decorative header consisting of ten vertical bars of equal height. Nine bars are light gray, and the eighth bar from the left is a teal color.

1.

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
საქმიანობის SAI-PMF შეფასების შედეგები

უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების ჩარჩო (SAI-PMF) წარმოადგენს უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI)⁴ მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას.⁵ SAI-PMF კომპლექსური მექანიზმია, რომელიც მოიცავს როგორც აუდიტორულ, ასევე არააუდიტორულ საქმიანობას, საკანონმდებლო ჩარჩოს, ორგანიზაციის დამოუკიდებლობის ხარისხსა და მანდატს, შიდა მმართველობასა და ეთიკას, ძირითად პარტნიორებთან კომუნიკაციასა და ადამიანური რესურსების მართვას.

SAI-PMF ერთადერთი დამოუკიდებელი, პროფესიული და ავტორიტეტული შეფასების მექანიზმია, რომლის საშუალებითაც იზომება უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის განვითარების დონე და საქმიანობის ხარისხი. მეთოდოლოგია მოიცავს 21 ინდიკატორს, რომელიც თავის მხრივ შედგება 66 მიმართულების 700-ზე მეტი კრიტერიუმისგან. კრიტერიუმები განსაზღვრულია უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტებისა (ISSAI) და წარმატებული, აღიარებული აუდიტორული ინსტიტუტების პრაქტიკის მაგალითებზე დაყრდნობით. შესაბამისად, SAI-PMF დეტალური, კონსერვატიული და მაღალ სტანდარტზე გათვლილი შეფასებაა.

SAI-PMF-ის თითოეული ინდიკატორი ფასდება ოთხქულიანი სისტემით, სადაც 1 ქულა ყველაზე დაბალს, ხოლო 4 ქულა – უმაღლეს შეფასებას წარმოადგენს. როგორც წესი, უმაღლეს შეფასებას ძლიერი და განვითარებული ქვეყნების აუდიტორული ორგანიზაციები იღებენ. ასეთია დასავლეთ ევროპის რამოდენიმე ქვეყანა, რომელთა შეფასებები 3 – 3.5 ქულას შორის მერყეობს.

SAI-PMF შეფასება ტარდება დამოუკიდებელ პროფესიონალ აუდიტორთა ჯგუფის ან კოლეგა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის მიერ, რომელიც სიღრმისეულად ფლობს უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო

სო სტანდარტებს, SAI-PMF მეთოდოლოგიას და აქვს მრავალწლიანი გამოცდილება აუდიტორულ სფეროში. ამასთან, მექანიზმი მოითხოვს თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შეფასებას, რაც პროცესს კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის.

მაქსიმალურად ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასების უზრუნველყოფისათვის, SAI-PMF-ის შედეგების ხარისხის კონტროლსა და დამოწმებას დამატებით ახორციელებს დამოუკიდებელი შემფასებელი – INTOSAI IDI,⁶ რომელიც უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო პროფესიულ ორგანოს წარმოადგენს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თავისი საქმიანობის შეფასება SAI-PMF მეთოდოლოგიით პირველად 2017 წელს განახორციელა. შეფასება ჩატარდა ევროკავშირის პროექტის „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება“ ფარგლებში, უცხოელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ. მიღებულმა საშუალო მაჩვენებელმა 2.2 ქულა (მაქსიმალური 4 ქულიდან) შეადგინა და ნათლად წარმოაჩინა ინსტიტუციის წინაშე იმ დროისათვის არსებული გამოწვევები. სწორედ აღნიშნული შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა სამსახურის 2018-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა,⁷ რომლის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებში გაიწერა გასაძლიერებელი რეფორმები და ღონისძიებები.

2018-2021 წლებში აუდიტის სამსახური მიზანმიმართულად მუშაობდა SAI-PMF-ის შედეგად გამოვლენილი ორგანიზაციული გამოწვევების აღმოსაფხვრელად. აღსანიშნავია, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში სამსახურმა მიაღწია სტრატეგიით განსაზღვრულ ყველა მიზნობრივ ნიშნულს.

მიღწეული პროგრესის გაზომვის მიზნით, სამსახურმა 2022 წელს განმეორებით ჩაიტარა SAI-PMF შეფასება 2020-2021 წლების პერიოდზე. შეფასება განხორციელდა OECD-ისა და ევ-

⁴ <https://www.intosai.org/>

⁵ <https://www.idi.no/work-streams/well-governed-sais/sai-pmf>


⁶ <https://www.idi.no/>

⁷ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.

როკავშირის SIGMA-ს პროექტის ფარგლებში უცხოელი დამოუკიდებელი აუდიტორების ჯგუფის მიერ.

SAI-PMF შეფასების შედეგები აჩვენებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მნიშვნელოვან პროგრესს ორგანიზაციული განვითარების ყველა მიმართულებით. კერძოდ, შეფასების საშუალო მაჩვენებელმა 3.4 ქულა შეადგინა (მაქსიმალური 4 ქულიდან) და მნიშვნელოვნად გაიზარდა 2017 წლის შედეგთან შედარებით. ამასთანავე, SAI-PMF-ის 21 ინდიკატორიდან 2017 წელს სამსახურს 12-ში ჰქონდა 1 ან 2 ქულა, 9 ინდიკატორში – 3 ქულა, ხოლო უმაღლესი შეფასება არცერთ ინდიკატორში არ მიუღია. მოცემული სურათი შეიცავს 2022 წლის შეფასების შედეგებით, სადაც სამსახურმა 10 ინდიკატორში უმაღლესი შეფასება – 4 ქულა მიიღო, ხოლო 9 ინდიკატორში – 3.


დიაგრამა 1. 2017 წლის და 2022 წლის SAI-PMF შეფასების ინდიკატორების განაწილება ქულების მიხედვით (4 ქულა – უმაღლესი, 1 ქულა – ყველაზე დაბალი).



2022 წლის შეფასების შედეგებით, 2017 წელთან შედარებით, სამსახურის მიერ მიღწეული პროგრესი გამოიკვეთა მრავალი მიმართულებით, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- აუდიტის ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სისტემები – შეფასება გაიზარდა 2 ქულიდან 4-მდე;
- ფინანსური აუდიტის შედეგები – შეფასება გაიზარდა 3 ქულიდან 4-მდე;
- ფინანსური აუდიტის პროცესი – შეფასება გაიზარდა 1 ქულიდან 3-მდე;
- ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგია – შეფასება გაიზარდა 3 ქულიდან 4-მდე;
- ეფექტიანობის აუდიტის შედეგები – შეფასება გაიზარდა 2 ქულიდან 3-მდე;
- შესაბამისობის აუდიტის პროცესი – შეფასება გაიზარდა 1 ქულიდან 3-მდე;
- შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგია – შეფასება გაიზარდა 2 ქულიდან 3-მდე;
- შესაბამისობის აუდიტის შედეგები – შეფასება გაიზარდა 2 ქულიდან 3-მდე;
- ორგანიზაციული კონტროლისა და ეთიკური გარემო – შეფასება გაიზარდა 1 ქულიდან 4-მდე;
- სამსახურის სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვის პრაქტიკა – შეფასება გაიზარდა 3 ქულიდან 4-მდე;
- სამსახურის აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვის პრაქტიკა – შეფასება გაიზარდა 2 ქულიდან 3-მდე;
- ფინანსური მენეჯმენტი, აქტივები და დამხმარე სერვისები – შეფასება გაიზარდა 3 ქულიდან 4-მდე;
- ადამიანური რესურსების მართვა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარება – შეფასება გაიზარდა 2 ქულიდან 4-მდე;
- მენეჯმენტი და შიდა კომუნიკაცია – შეფასება გაიზარდა 3 ქულიდან 4-მდე;
- კომუნიკაცია ძირითად პარტნიორებთან (პარლამენტი, მთავრობა, სამართალდამცავი ორგანოები) – შეფასება გაიზარდა 2 ქულიდან 4-მდე;
- კომუნიკაცია ძირითად პარტნიორებთან (მედია და სამოქალაქო საზოგადოება) – შეფასება გაიზარდა 3 ქულიდან 4-მდე.

დიაგრამა 2. 2017 წლის და 2022 წლის SAI-PMF შეფასების შედეგების შედარება 21 ინდიკატორის ქულების მიხედვით (4 ქულა – უმაღლესი, 1 ქულა – ყველაზე დაბალი).



SAI-PMF შეფასების ორ ინდიკატორში მიღებული 2 ქულა გამოწვეულია სამსახურისგან დამოუკიდებელი მიზეზებით. კერძოდ, აღნიშნული მოითხოვს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებას და ამ პროცესში რამოდენიმე სახელმწიფო უწყების კოორდინირებულ მოქმედებას.

SAI-PMF შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და სამსახური ინსტიტუციური განვითარებით ევროკავშირის ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნების დონეს გაუტოლდა (SAI-PMF შეფასების დეტალური შედეგები იხ. დანართ 2-ში).

A decorative header at the top of the page consisting of ten vertical bars of equal height. Nine bars are light gray, and the seventh bar from the left is a vibrant blue.

2.

დემოუკრატია და
მენდების გეგმვა

უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციისთვის დამოუკიდებლობა უმთავრესი ღირებულებაა, რომლის განმტკიცებაზე ზრუნვა მუდმივი პროცესია. დამოუკიდებლობის გარანტიები და ფართო მანდატი დიდ გავლენას ახდენს უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობაზე, მათ რეპუტაციასა და ნდობაზე.

ბოლო წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის გაძლიერებისა და უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტებთან (ISSAI) დაახლოების მიმართულებით, კერძოდ:

- 2018 წლიდან ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონმა შეიძინა ორგანული კანონის სტატუსი;
- სამსახურს მიენიჭა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი პირდაპირი მიმართვის უფლება, რითაც თვისობრივად ახალ საფეხურზე გადავიდა სამსახურის დამოუკიდებლობის ხარისხი;
- დამოუკიდებლობის გარანტიები განამტკიცა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონიდან სამსახურზე დაწესებულმა გამონაკლისმა, რაც უზრუნველყოფს დამოუკიდებლობას ადამიანური რესურსების მართვის, დასაქმებისა და სამუშაო პირობების განსაზღვრის მხრივ;
- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური კონტროლის განხორციელება მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიის საშუალებით. შედეგად, 2018-2019 წლების ფინანსურ ანგარიშგებებზე Deloitte-ის, ხოლო უკვე 2020-2021 წლების ფინანსურ ანგარიშგებებზე – PwC-ის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტის ფარგლებში სამსახური იღებს უპირობო დასკვნას, რაც ნიშნავს იმას, რომ სამსახურის ფინანსური ანგარიშგება სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის მაღალ სტანდარტზე მიუთითებს მსოფლიო ბანკის მიერ 2021 წელს ჩატარებული კვლევა – „უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების დამოუკიდებლობის ინდექსი“.⁸ ინდექსი აფასებს სამსახურის დამოუკიდებლობის ხარისხს, გამართულ სამართლებრივ ჩარჩოს, მანდატსა და ფუნქციებს. კვლევის შედეგებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური შეფასებულია მაქსიმალური 10 ქულიდან 9.5 ქულით. ასევე მაღალი შეფასება მიიღო სამსახურმა SAI-PMF-ის „ინსტიტუციური დამოუკიდებლობის“ კომპონენტში, სადაც 4-დან 3 ქულით შეფასდა.

მსოფლიო ბანკის კვლევით,
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
დამოუკიდებლობის ხარისხი შეფასდა
მაქსიმალური 10 ქულიდან 9.5 ქულით.

აუდიტორული მანდატის საერთაშორისო სტანდარტებთან შემდგომი დაახლოების კუთხით აღსანიშნავია, რომ სამსახურმა შეასრულა ევროკავშირის ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულებების (EGFA) დოკუმენტისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით⁹ გათვალისწინებული ვალდებულება. კერძოდ, 2022 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ისტორიაში პირველად დაიწყო საგადასახადო შემოსავლების ფინანსურ აუდიტის ჩატარება, რაც მანდატის პრაქტიკაში სრულყოფილი რეალიზაციის შედეგია.

⁸ The Supreme Audit Institutions Independence Index: Global Synthesis Report 2021

⁹ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.



3.

ეუდითორული საქმიანობა

3.1 აუდიტის ძირითადი შედეგები


2021 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 49 აუდიტი (იხ. დანართი 1) და ჯამურად დაფარა 16.5 მლრდ ლარზე მეტი. 2020 წელთან შედარებით 1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი და 90% შეადგინა, რის შედეგად სამსახურმა პირველად დააკმაყოფილა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკით დადგენილი აუდიტის დაფარვის სტანდარტი. ჩატარდა 11 – ფინანსური, 22 – შესაბამისობისა და 16 – ეფექტიანობის აუდიტი.

მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და ინტერესიდან გამომდინარე, სამსახურმა 2021 წელს ჩატარებული აუდიტებით შეისწავლა პანდემიასთან დაკავშირებული რამოდენიმე საკითხი. კერძოდ, ამ მიმართულებით განხორციელდა 3 ეფექტიანობის აუდიტი:

- COVID-19-ის პანდემიის პირობებში სამედიცინო სერვისების უწყვეტობა;
- დისტანციური სწავლება საჯარო სკოლებში;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ღონისძიებები.

2021 წელს ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი დარღვევების ჯამურმა მოცულობამ 107 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული, ძირითადად, საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი, არაეკონომიური და არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევებია და არ მოიცავს აღრიცხვა-ანგა-


დიაგრამა 3. ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი (მლნ ლარი, %).



2021 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა **49** აუდიტი და თანხობრივად დაფარა ნაერთი ბიუჯეტის **90%**.

რიშგების მიმართულებებით იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბოლო წლებში სამსახურის მიერ განხორციელებული აუდიტების შედეგად ბიუჯეტში დაბრუნდა 1.7 მლნ ლარზე მეტი.

დიაგრამა 4. 2018-2021 წლებში ჩატარებული აუდიტების განაწილება სახეობების მიხედვით.



დიაგრამა 5. 2021 წელს ჩატარებული აუდიტების განაწილება სახეობების მიხედვით.



დარღვევის კატეგორია

შესყიდვების მართვა¹⁰

17.5 მლნ ლ

პატივების მართვა¹¹

12 მლნ ლ

საბიუჯეტო რესურსების მართვა¹²

77.9 მლნ ლ

სულ: 107.4 მლნ ლ

დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებისა და საქართველოს კარგადესი პოლიტიკები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ნდობა გამოუცხადეს ისეთმა საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა, მსოფლიო ბანკი (WB) და USAID. კერძოდ, აღნიშნულმა ორგანიზაციებმა სამსახურს მიმართეს საქართველოში მათ მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტების ჩატარების წინადადებით, რაც აუდიტის სამსახურის წარმატებასა და ჩატარებული აუდიტების მაღალ ხარისხზე მიუთითებს. დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტები ხორციელდება დონორი ორგანიზაციების პროცედურების სრული დაცვით. აუდიტის ანგარიშები ქვეყნდება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2018 წლიდან ყოველწლიურად ატარებს მსოფლიო ბანკის პროექტის – „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვა (SRAMP)“ დამოუკიდებელ ეფექტიანობის აუდიტს.¹³ სწორედ აუდიტის სამსახურის დასკვნის საფუძველზე მიიღება პროექტის შემდგომი ტრანშის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება. სამსახურის მიერ განხორციელებული სამი აუდიტის ფარგლებში დაიფარა პროექტის 2016-2020 წლების საქმიანობა. ამჟამად სამსახური ატარებს 2021 წლის საქმიანობის შესახებ აუდიტს.

ასევე, აუდიტის სამსახურმა სრულად დააკმაყოფილა USAID-ის მოთხოვნები აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით და 2018 წლიდან გახდა USAID-ის აუდიტორი ორგანიზაცია ამიერკავკასიის რეგიონში. თანამშრომლობის ფარგლებში, სამსახურმა ჩაატარა სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ განხორციელებული „ოჯახში ძალადობის შემცირების პროექტის“ 2018-2019 წლების ფინანსური აუდიტი.¹⁴ ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები დონორის მიერ დაფინანსებული კიდევ ერთი პროექტის აუდიტის შესახებ.

2018-2021 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების 4 აუდიტი და 5 საქართველოს კარგადესი პოლიტიკები.

¹⁰ მომწოდებლისათვის საჭარიმო სანქციის ან პირგასამტეხლოს დაუკისრებლობა; მომწოდებლის მიერ საჭარიმო სანქციის ან პირგასამტეხლოს გადაუხდელობა; დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებული სამუშაოები; მომწოდებლის მიერ შესრულებული ან ნაწილობრივ დასრულებული სამუშაოები; სატენდერო დოკუმენტაციაში შემზღუდავი პირობების არსებობის შედეგად არაეკონომიურად გახარჯული თანხები.

¹¹ იჯარით გაცემულ სახელმწიფო ქონებაზე გადაუხდელი საიჯარო ქირა; ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები; საიჯარო ქირის გარეშე სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონება.

¹² ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე საბაზრო ღირებულებებზე მეტი ოდენობით თანხების ანაზღაურება; შესყიდული საქონლის/მომსახურების გამოუყენებლობა; საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ განეული ხარჯები.

¹³ შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) ეფექტიანობის აუდიტი.

¹⁴ სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ განხორციელებული „ოჯახში ძალადობის შემცირების პროექტის“ აუდიტის ანგარიში.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაციისა (INTOSAI) და მისი რეგიონული გაერთიანებების (EUROSAI, ASOSAI) აქტიური წევრია. თანამშრომლობის გაღრმავებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, სამსახური ჩართულია ერთობლივ პროექტებში სხვა ქვეყნის კოლეგა ორგანიზაციებთან ერთად. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო პარალელური აუდიტები:

- 2021 წელს ჩატარდა „ტუბერკულოზის პრევენციისა და მკურნალობის“ ეფექტიანობის აუდიტი,¹⁵ რომელიც პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა სამი ქვეყნის – საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების მონაწილეობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური პროექტში მონაწილეობდა როგორც მენტორი და რეგიონში წამყვანი აუდიტორული ინსტიტუცია;
- 2020 წელს სამსახურმა ჩაატარა „წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენცია, მზადყოფნის)“ ეფექტიანობის აუდიტი,¹⁶ რომელიც EUROSAI-ის წევრ ქვეყნებთან ერთად (პოლონეთი, უკრაინა, ბელარუსი, სერბეთი) მიმდინარეობდა. პროექტი პოლონეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის მენტორობით განხორციელდა. აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა 2017-2019 წლების საქმიანობა;
- 2020 წელს სამსახურმა გამოაქვეყნა „ანტიკორუფციული გარემოს უზრუნველყოფის“ ეფექტიანობის აუდიტი,¹⁷ რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა ქვეყანაში მოქმედი ანტიკორუფციული ჩარჩო. აუდიტი ჩატარდა INTOSAI-ის განვითარების ინიციატივის (IDI) ორგანიზებით და მასში მონაწილეობდა INTOSAI-ის წევრი უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციები;
- 2019 წელს, 50-ზე მეტი ქვეყნის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციასთან ერთად, სამსახურმა ჩაატარა „მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) განხორციელების მზადყოფნის“ ეფექტიანობის აუდიტი.¹⁸ აუდიტის ფარგლებში შე-

ფასდა ქვეყნის მზადყოფნა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში;

- 2018 წელს სამსახურმა 15 ქვეყნისა და ევროპის აუდიტორთა სასამართლოს ჩართულობით ჩაატარა „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის“ ერთობლივი ეფექტიანობის აუდიტი,¹⁹ რომლის მიზანი იყო დაედგინა, ახორციელებდნენ თუ არა აუდიტში მონაწილე ქვეყნების მთავრობები ჰაერის ხარისხის გაუჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებებს და შეესაბამებოდა თუ არა მათი ქმედებები ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას. ერთობლივი ანგარიში EUROSAI-ის ეგიდით მომზადდა და ამ ორგანიზაციის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტები

შესაბამისობის აუდიტების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები ხშირ შემთხვევაში სისტემურია და საერთო საბიუჯეტო ორგანიზაციების უმრავლესობისთვის. ამასთანავე, მსგავსი ნაკლოვანებების აღმოფხვრა ზოგჯერ სცდება ინდივიდუალური უწყების უფლებამოსილებას. სწორედ ამიტომ, უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტის მიზანია საჭარო სექტორში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

უწყებათაშორისი აუდიტის ფარგლებში თემატურად იფარება ათეულობით საბიუჯეტო ორგანიზაცია, განსხვავებით ტრადიციული შესაბამისობის აუდიტისა, რომელიც კონცენტრირებულია ერთ უწყებაზე. აღნიშნული სახეობის აუდიტი ამცირებს ჩატარებული აუდიტების რაოდენობას, მაგრამ მნიშვნელოვნად ზრდის აუდიტის შედეგად მოტანილ სარგებელსა და დაფარული ორგანიზაციების რიცხვს როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე.

აუდიტის აღნიშნული მიმართულება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2018 წლიდან დაინერგა

¹⁵ ტუბერკულოზის პრევენციისა და მკურნალობის აუდიტის ანგარიში.

¹⁶ წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენცია, მზადყოფნის) აუდიტის ანგარიში.

¹⁷ ანტიკორუფციული გარემოს უზრუნველყოფის აუდიტის ანგარიში.

¹⁸ მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) განხორციელების მზადყოფნის აუდიტის ანგარიში.

¹⁹ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ერთობლივი აუდიტის ანგარიში.

და ამ პერიოდში ჩატარდა 6 აუდიტი. სამსახურმა უწყებათაშორისი შესაბამისობით აუდიტით შეისწავლა:

- სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემური საკითხები ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები;
- სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხები;
- საჯარო სექტორში ინვენტარიზაციის პროცესი;
- ხელშეკრულებების მართვა საჯარო სექტორში;
- მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხებველო საქმიანობა.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის სისტემური აუდიტების ჩატარება SAI-PMF-ის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რასაც სამსახური სრულად აკმაყოფილებს.

2021 წელს სამსახურმა დაასრულა სამი უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი. ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნული აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი ზოგიერთი მნიშვნელოვანი მიგნება და მათი აღმოფხვრის მიზნით გაცემული რეკომენდაციები:

სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემური საკითხების შესაბამისობის აუდიტი

აუდიტის²⁰ ფარგლებში სამსახურმა შეისწავლა 10 სამინისტროს მიერ 2017-2019 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები. აუდიტის შედეგად სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები გამოვლინდა საჭიროების განსაზღვრის, ბაზრის კვლევის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის, მიმწოდებლის შერჩევა-შეფასებისა და გამარტივებული შესყიდვების პროცესებთან დაკავშირებით.

მიგნება 1: რიგ შემთხვევებში, საჭიროების განსაზღვრა არ ეფუძნება სათანადო ანალიზს, რაც

2018-2021 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩატარა 6 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი.

ინვეს არაოპტიმალური სასაქონლო ნაშთების შექმნას. მსგავსი შემთხვევები ზღუდავს საჯარო ფინანსებზე ხელმისაწვდომობას სხვა პრიორიტეტული სახელმწიფო პროგრამებისა და ღონისძიებებისთვის. ასევე, გამოუყენებელი აქტივები ფიზიკურად და მორალურად იცვითება, რაც ინვეს საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიან ხარჯვას.

რეკომენდაცია: საჭიროების სწორად განსაზღვრის მიზნით, შეიქმნას ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პრიორიტეტების ჩამოყალიბებას დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე და შესაბამის სამსახურებს (საფინანსო, შესყიდვები, ლოჯისტიკა) შორის კომუნიკაციით განისაზღვრება შესასყიდი საქონელი/მომსახურების საჭირო რაოდენობა და მოცულობა, სადაც გათვალისწინებული იქნება დანესებულების ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობები, არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები.

მიგნება 2: ბაზრის კვლევის არასწორად და არასრულყოფილად განხორციელების შედეგად, რიგ შემთხვევებში ყალიბდება საბაზრო პირობებთან შედარებით შესყიდვის საგნის შეუსაბამოდ მაღალი სავარაუდო ღირებულება და კონკურენციის შემზღუდველი სატენდერო პირობები. აღნიშნულიდან გამომდინარე იქმნება საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკები.

რეკომენდაცია: საბაზრო პირობებისადმი ადეკვატური სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისა და საჯარო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკების თავიდან აცილების მიზნით, შეიქმნას ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც

²⁰ სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემური საკითხების შესაბამისობის აუდიტი.



უზრუნველყოფს ბაზრის კვლევის ეტაპზე ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესწავლას და ანალიზს, მათ შორის, ფასების შესახებ მიღებული ინფორმაციის ერთგვაროვნებას (შესადარისობა) მიწოდების კომერციული და ფინანსური პირობების (წარმოშობის ქვეყანა, ანგარიშსწორების პირობები, საგარანტიო ვადა და ა.შ.) გათვალისწინებით.

მიგნება 3: შემსყიდველის მხრიდან გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების სასარგებლოდ მოყვანილი არგუმენტები დასაბუთებულია არასათანადოდ, არ შეესაბამება ფაქტობრივ გარემოებებს და კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს. აღნიშნული ქმედებები მაღალი ალბათობით მიმართულია სატენდერო პროცედურების თავიდან არიდებისკენ.

რეკომენდაცია: გამარტივებული შესყიდვების გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების კანონშესაბამისობის უზრუნველსაყოფად:

- ამაღლდეს არსებული კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობა ან/და დაინერგოს ახალი კონტროლის მექანიზმები, რაც აღნიშნული შესყიდვის საშუალების გამოყენების თაობაზე თანხმობის გაცემის პროცესში, გაზრდის მისი გამოყენების დასაბუთების ხარისხს;
- არსებული რესურსის პირობებში შემუშავდეს რისკების შეფასების სისტემა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ნებადართვის გაცემის შემდგომ შემსყიდველის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ასევე ფაქტობრივი გარემოებებსა და თანხმობის გაცემის საფუძვლების (კრიტერიუმებს) შორის „გადახრების“ იდენტიფიცირებას და შემდგომ რეაგირებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი

აუდიტის²¹ ფარგლებში სამსახურმა შეისწავლა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოთხი სა-

მინისტროს მიერ 2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები. აუდიტის შედეგად გამოვლინდა სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების, გამარტივებული შესყიდვების, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების, შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და საგარანტიო ვადების, ქვეკონტრაქტორებისა და საავანსო ანგარიშსწორების პროცესებთან დაკავშირებით.

მიგნება 1: რიგ შემთხვევებში, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით, გამარტივებული წესით განხორციელებულია ისეთი საქონლის შესყიდვა, რაზეც ტენდერის დროულად გამოცხადება არ გამოიწვევდა ღონისძიების შეფერხებით ჩატარებას. მოცემული გარემოებები საბუჯეტო რესურსების არაეკონომიურ გამოყენებაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია: შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვის საგამონაკლისო საშუალებებით განხორციელებისას ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს რისკების შეფასებისა და მონიტორინგის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს არაეკონომიური ხარჯის გაწევის თავიდან აცილებას. გარდა ამისა, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა რელევანტური ღონისძიების დროულად გატარება შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული შესყიდვის საგამონაკლისო საშუალებებით განხორციელების თავიდან ასაცილებლად.

მიგნება 2: ქვეკონტრაქტორების შესახებ ეფექტიანი რეგულაციების არარსებობის პირობებში, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ არ არის შემუშავებული ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კვალიფიციური ქვეკონტრაქტორის სამუშაოს გამოყენებას. რიგ შემთხვევებში, ტენდერებში მონაწილე ორი ან მეტი კომპანია სამუშაოების გამოცდილებად ითვლის ერთსა და იმავე სამუშაოებს, რის გამოც გაურკ-

²¹ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი.

ვევლია, რომელი კომპანიის მიერ იქნა შესრულებული სამუშაოები. აღნიშნული კომპანიებს უქმნის გამოცდილების დადასტურების საშუალებას და შესაბამისად, ტენდერებში არაკონკურენტულ უპირატესობას.

რეკომენდაცია: ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების მართვის მიზნით, შეიქმნას შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე კვალიფიციური ქვეკონტრაქტორის შერჩევას და ეფექტიან მონიტორინგს.

მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხებლო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

აუდიტის²² ფარგლებში სამსახურმა შეისწავლა ყველა მუნიციპალიტეტებში²³ 2019-2020 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხებლო საქმიანობა.

მიგნება 1: ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხებლო მომსახურების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტები ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისგან ითხოვდნენ კონკრეტული კვალიფიკაციის/გამოცდილებისა და რაოდენობის პერსონალის დაქირავებას. გამარჯვებულ კომპანიებს ჯამში წარდგენილი აქვთ 1,143 ზედამხებდელის შესახებ ინფორმაცია, რომლებიც აკმაყოფილებდნენ სატენდერო პირობებით მოთხოვნილ გამოცდილებასა და კვალიფიკაციას. ადამიანური რესურსების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ პროცესში ჩართული იყო 847 ზედამხებდელი, რომელთაგან მხოლოდ 327 დასაქმებულის პერსონალური მონაცემები ემთხვევა ტენდერში ატვირთულ მონაცემებს. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი, რომ ზედამხებდელობის პროცესში არ მონაწილეობენ სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრები.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტებმა დანერგონ კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს სატენდერო/სახელშეკრულებო პირობების შესრულებას მიმწოდებლის მხრიდან. ამასთანავე მნიშვნელოვანია, ხელშეკრულების პირობებით სავალდებულო გახდეს, რომ ზედამხებდელობის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება შეთანხმდეს მერიასთან.

მიგნება 2: 2019-2020 წლებში, ყველაზე დატვირთულ პერიოდში, ერთი თვის განმავლობაში, ერთი ზედამხებდელი პარალელურად ახორციელებდა 2019 წელს 9-დან 38-მდე სხვადასხვა ხელშეკრულების ზედამხებდელობას, 2020 წელს კი 8-დან 46-მდე პროექტის ზედამხებდელობას. ზედამხებდელები ინფრასტრუქტურული პროექტების ყოველდღიურ ზედამხებდელობას ახორციელებდნენ ერთდროულად რამდენიმე მუნიციპალიტეტში, მათ შორის, ისეთ მუნიციპალიტეტებში, სადაც ტერიტორიისა და რელიეფის გათვალისწინებით, ნაკლებად შესაძლებელია ყველა ობიექტზე ინსპექტირება ყოველდღიურ რეჟიმში. გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან დასტურდება, რომ ტექნიკური ზედამხებდელი პარალელურად რამდენიმე ათეულ ობიექტზე მშენებლობის მონიტორინგის განხორციელებას ვერ მოახერხებდა.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტებმა დანერგონ სათანადო კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მიმწოდებლების მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს. მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურებმა სამშენებლო ობიექტებზე პერიოდული შემოვლებისას დაადოკუმენტირონ, რამდენად უზრუნველყოფენ ორგანიზაციები სამშენებლო სამუშაოების ყოველდღიურ კონტროლს.

²² მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხებლო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

²³ გარდა თბილისის მერიისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემავალი მუნიციპალიტეტებისა.



ფინანსური აუდიტის შედეგები

ფინანსური აუდიტის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს და აფასებს საჯარო დაწესებულების ანგარიშსა და ანგარიშგებას, ასევე შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციონირებას. აუდიტის შედეგების საფუძველზე სამსახური გაცემს დასკვნას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების სისრულესა და სიზუსტეზე.

აღსანიშნავია, რომ საჯარო სექტორში ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება. ამ სფეროში არსებულ სისტემურ გამოწვევებზე მიუთითებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ აუდიტებში გაცემული მოსაზრებების²⁴ სტატისტიკა, რომელიც აფასებს საჯარო უწყების მიერ წარმოებული ფინანსური ანგარიშგების სისრულესა და სიზუსტეს. 2021 წელს სამსახურის მიერ ჩატარებული 11 ფინანსური აუდიტიდან, პირობითი მოსაზრება გაიცა 5 შემთხვევაში, ხოლო მოსაზრებების 55% (6 მოსაზრება) იყო უარყოფითი.

ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით 2018-2021 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 63 აუდიტიდან, 62-ში გაცემულია პირობითი ან უარყოფითი მოსაზრება. მხოლოდ 1 აუდიტის შემთხვევაში გამოითქვა უპირობო მოსაზრება, ანუ აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა არსებითი ხასიათის უზუსტობები.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტია სახელმწიფო სახსრების მართვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნით, 2009 წლიდან დაიწყო საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო

SAI-PMF-ის შეფასების შედეგებით ფინანსური აუდიტის პრაქტიკა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო წლებში და სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს:

ფინანსური აუდიტის პროცესი:

2017 წ.
1 ქულა


2022 წ.
3 ქულა

ფინანსური აუდიტის შედეგები:

2017 წ.
3 ქულა

2022 წ.
4 ქულა

დიაგრამა 6. 2018-2021 წლებში ფინანსური აუდიტების ფარგლებში გაცემული მოსაზრების ტიპების სტატისტიკა.



²⁴ ფინანსურ აუდიტში სახელმწიფო აუდიტის სამსახური გამოთქვამს ოთხი ტიპის მოსაზრებას:

- უპირობო მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა არსებითი უზუსტობები;
- პირობითი მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები ფინანსური ანგარიშგებისთვის არსებითია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი;
- უარყოფითი მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები ფინანსური ანგარიშგებისთვის არსებითიცაა და ყოვლისმომცველიც;
- უარი მოსაზრების გამოთქმაზე – აუდიტორებს არ შეუძლიათ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რომელთაც დაეყრდნობა მათი მოსაზრება.

სტანდარტების (IPSAS) სრულად დანერგვას 2020 წლისათვის. მიუხედავად რეფორმის ფარგლებში განხორციელებული მრავალი აქტივობისა, საბიუჯეტო ორგანიზაციებში ფინანსური ინფორმაციის აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით ისევ შეინიშნება სისტემური ხასიათის ხარვეზები. არსებული ნაკლოვანებების მთავარი გამომწვევი მიზეზებიდან აღსანიშნავია:

- საჯარო სექტორისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის, აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მიმართულებით;
- აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება დაკავშირებულია ფინანსურ რესურსებთან.

აუდიტის სამსახურმა გააანალიზა გასული წლის ფინანსური აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევები და გამოკვეთა ისეთი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, რომლებიც მნიშვნელოვანი და აქტუალურია. დარღვევები შეიძლება დაჯგუფდეს 3 სისტემურ საკითხად:

- აქტივების მართვა;
- მოთხოვნები და ვალდებულებები;
- აღრიცხვა-ანგარიშგება.

აქტივების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფინანსური აუდიტების ფარგლებში აქტივების მართვის კუთხით გამოვლენილი ნაკლოვანებების მაგალითებია:

- ფინანსურ ანგარიშგებაში აღურიცხავი ან ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული აქტივები;
- აქტივები, რომლებსაც არ ფლობს ან არ განკარგავს ორგანიზაცია, გამოუსადეგარია მოხმარებისთვის და აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში;
- აქტივები, რომლებიც აღრიცხულია არასწორი კლასიფიკაციით ან არასწორი ღირებულებით;
- ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.

2018-2021 წლებში ჩატარებული 63 ფინანსური აუდიტიდან 37-ში გაიყა პირობითი და 25-ში უარყოფითი მოსაზრება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს ორი წლის ვადით სიმბოლურ ფასად (1 ლარად) გადაეცა შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ 100%-იანი წილის მართვის უფლება. სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული საწარმო აქტივად არ არის აღრიცხული და განმარტებით შენიშვნებშიც არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მართვის უფლებით გადაცემული კომპანიისა და მისთვის გადარიცხული თანხების შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სსიპ – ქონების ეროვნულ სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ აქვს აღრიცხული 2016-2020 წლებში სააგენტოს მიერ სხვადასხვა საწარმოში განხორციელებული ქონებრივი და წილობრივი შენატანები, ჯამურად 840 მლნ ლარის ოდენობით; 6 მლნ ლარის ღირებულების მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონება; განკარგვაში არსებული სახელმწიფო მიწები და შენობები, მათ შორის, პრივატიზებული ქონება, რომელთა რეალიზებით სააგენტომ 2020 წელს 168 მლნ ლარის შემოსავალი მიიღო.



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ფინანსური ანგარიშგებაში „გრძელვადიანი აქტივების“ მუხლის საწყისი და საბოლოო ნაშთები გაზრდილია, შესაბამისად, 9.5 მლნ და 9.2 მლნ ლარის ოდენობით. მათ შორის, შენობა-ნაგებობების ნაწილი ექვემდებარება ბალანსიდან ჩამოწერას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 1.9 მლნ ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობები, რომლებიც სარეაბილიტაციოა და არ გამოიყენება და 3.2 მლნ ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობები, რომლებზეც უნივერსიტეტი ვერ ახორციელებს ფაქტობრივ კონტროლს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სააღრიცხვო რეგისტრებში, შეცდომის შედეგად, „მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ მუხლში ზედმეტადაა აღიარებული ხარჯად 4 მლნ ლარის ღირებულების ჩამოწერილი მარაგები. ასევე, სხვადასხვა დასახელების მარაგები 2 მლნ ლარით ნაკლები ოდენობით არის ჩამოწერილი და ხარჯად აღიარებული.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული 1,836 ერთეული სასოფლო-სამეურნეო/არასასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-

ლების მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების ნაშთი არანაკლებ 760 მლნ ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

საბიუჯეტო ორგანიზაციებში 331 მლნ ლარის ღირებულების აქტივებსა და ვალდებულებებზე ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული.

მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები მოიცავს ისეთი ტიპის დარღვევებს, როგორებიცაა:

- მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს;
- მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც აღრიცხულია არასწორი კლასიფიკაციით ან არასწორი ღირებულებით;
- მოთხოვნები და ვალდებულებები, რომელთა არსებობასა და სისწორეზე რწმუნება ვერ იქნა მიღებული.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული აქვს 4.2 მლნ ლარის მოთხოვნები. აღნიშნული მოთხოვნების უმეტესობაზე მიმდინარეობს სასამართლო დავა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში მოცემული ინფორმაციით, მათი მიღების ალბათობა დაბალია. სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, ზემოაღნიშნული მოთხოვნები ექვემდებარება საეჭვო მოთხოვნის რეგერვში გადატანას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები 149 მლნ ლარის ოდენობით, საიდანაც 3.2 მლნ ლარის დავალიანებების მაიდენტიფიცი-

რეგული პირველადი დოკუმენტაცია არ იძებნება, ხოლო 1.4 მლნ ლარის მოთხოვნების დაფარვის ალბათობა დაბალია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 9.6 მლნ ლარის ოდენობის ისეთ დებიტორულ დავალიანებას, რომელიც წარმოქმნილია 2004-2009 წლებში. მათ შორის, 6.1 მლნ ლარის დავალიანების დაფარვის ალბათობა მცირეა მისი ხანდაზმულობიდან და კომპანიის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში აღრიცხულია 2006-2020 წლების პერიოდში 1,385 ფიზიკური პირის მიმართ წარმოშობილი დებიტორული დავალიანება, ჯამურად 20.7 მლნ ლარის ოდენობით. სამინისტროში არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია და დავალიანებები არ არის შეფასებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნებიდან, 1991-2004 წლებში წარმოქმნილი 5.3 მლნ ლარის დავალიანების ამოღების ალბათობა დაბალია ხანდაზმულობიდან გამომდინარე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სპეციალური პენიტენციური სამსახურის საგადასახადო აღრიცხვის ბარათზე ირიცხება საგადასახადო ვალდებულება 5.4 მლნ ლარის ოდენობით. დავალიანების წარმოშობის საფუძველი უცნობია

და არ იძებნება პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაცია. შესაბამისად, აუდიტის სამსახურმა ვერ მიიღო რწმუნება წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო ვალდებულებების მუხლის სიზუსტესა და სისრულეზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი

2020 წელს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სამშენებლო წესების დარღვევისა და სხვადასხვა სამართალდარღვევასთან დაკავშირებით გადაუხდელი საჯარიმო სანქციების მოცულობა შეადგენს 11.9 მლნ ლარს. მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლები აღიარებული არ არის.

აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფინანსური აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით არსებულ ხარვეზებს, რაც ძირითადად, გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სამინისტროების უმრავლესობაში არ არის შემუშავებული და დანერგილი აღრიცხვის ინსტრუქციით მოთხოვნილი სააღრიცხვო პოლიტიკა. ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემების შესყიდვა და მათი სწორი მოხმარება. ეს უკანასკნელი იწვევს მთელ რიგ უზუსტობებს აქტივებზე დარიცხული ცვთის გაანგარიშებაში, ნაშთებისა და ოპერაციების არასწორ კლასიფიკაციასა და/ან დროში გამიჯვნაში, ასევე, უზუსტობებს – სააღრიცხვო მონაცემებში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2020 წელს ბალანსზე ასახა ძირითადი აქტივები, ჯამური ღირებულებით 25.7 მლნ ლარი, რომლებიც 2017-2019 წლებში შევიდა ექსპლუატაციაში. აღნიშნულ აქტივებზე დეპარტამენტმა ცვთის დარიცხვა დაიწყო ბალანსზე ასახვის მომენტიდან და რეტროსპექტულად არ გაუსწორებია წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომები. შესაბამისად, ფინანსურ



ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების საწყისი ნაშთი შემცირებულია 24.9 მლნ ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი გაზრდილია წინა პერიოდების დაგროვილი ცვდის 791 ათასი ლარით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს „საქართველოს ინოვაციების ეკოსისტემის პროექტის (IBRD)“ ფარგლებში მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 11.8 მლნ ლარის სუბსიდიის ხარჯი მოიცავს 10 მლნ ლარის ისეთ დანახარჯებს, რომელთა აღრიცხვა ამ ანგარიშზე შეუსაბამოა ფინანსთა მინისტრის 2020 წლის N17 ბრძანების მოთხოვნებთან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გამორიცხული (ელიმინირებული) კონტროლირებად ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციებით წარმოქმნილი შემოსავლები, ხარჯები და ნაშთები.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს მხოლოდ ფულადი შენატანები და არ არის ასახული შპს „სპორტმშენსერვისში“ განხორციელებული ქონებრივი შენატანები და კაპიტალის შემცირება, შესაბამისად, 135.9 მლნ ლარისა და 35.5 მლნ ლარის ოდენობით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს არ აქვს შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითადი აქტივების დაშლის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური მარაგების შეფასებასა და აღრიცხვასთან დაკავშირებით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში, არასწორი აღრიცხვისა და კონსოლიდაციისას, გამორიცხვებში (ელიმინაციის პროცესში) დაშვებული შეცდომების შედეგად, ჯამურად გამოვლინდა 1.4 მლნ ლარის შეუსაბამობები.

შესაბამისობის აუდიტის შედეგები

შესაბამისობის აუდიტის მიზანია დაადგინოს აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო მოთხოვნებთან და ორგანიზაციულ პოლიტიკასთან მიმართებით.

2021 წელს ჩატარებული 19 შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებები შესაძლებელია დაჯგუფდეს 5 ძირითადი სისტემური მიმართულებით:

შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

შესყიდვების მართვის პროცესში ნაკლოვანებები ვლინდება შესყიდვების თითქმის ყველა ეტაპზე და მოიცავს ხარვეზებს როგორც საწყის – საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ბაზრის კვლევის, ასევე სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპებზე. აღნიშნული ნაკლოვანებები წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური, არაპროდუქტიული და არაეფექტიანი განკარგვის რისკებს.

SAI-PMF-ის შეფასების შედეგებით შესაბამისობის პუბლიტის პრაქტიკა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო წლებში და სრულად შეასაბამა საერთაშორისო სტანდარტებს:



ა(ა)იპ – საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის 2018-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ფედერაციის მიერ სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას, მიმწოდებელი კომპანიების შერჩევა, რიგ შემთხვევებში, ხდებოდა ბაზრის კვლევისა და ალტერნატიული შეთავაზებების განხილვის/შეფასების გარეშე.

სსიპ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2018-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ეროვნული მუზეუმის მიერ 143 ათასი ლარის ღირებულების საქონელი შესყიდულია გამარტივებული შესყიდვით, რომლის ელექტრონული ტენდერით შესყიდვა არ გამოიწვევდა ღონისძიებების არსებითი შეფერხებით ჩატარებას ან/და ჩაშლას. შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის გამოყენების აუცილებლობა ორგანიზაციის წინაშე არ იდგა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტმა შესყიდვების პროცესში პრეტენდენტის დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაციის შედეგად დაკარგა 179.3 ათასი ლარის ეკონომიკის მიღების შესაძლებლობა.

სენაკის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ხარისხის კონტროლის ნაკლოვანებების გამო, მუნიციპალიტეტში 1 მლნ ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, არ არის მიღწეული სამუშაოების დადგენილი ხარისხი, რითაც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის მიერ 22 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული 503.8 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოვლინდა სხვადასხვა სახის ხარვეზი. მუნიციპალიტეტი პროექტებს იბარებდა საექსპერტო ორგანიზაციების დადებითი დასკვნების საფუძველზე. შესწავლით დადასტურდა, რომ სამედამხედველო კომპანია არაჯეროდ აღსრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. მიუხედავად სამართლებრივი საფუძვლებისა, მერიამ არ გამოიყენა მიმწოდებლის დაჯარიმების, ხელშეკრულების შეწყვეტის, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნისა და მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების უფლებები.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 3.8 მლნ ლარი. მუნიციპალიტეტმა სათანადოდ არ გააკონტროლა სამუშაოების შესრულებისა და მიღება-ჩაბარების პროცესი, რის გამოც მიმწოდებელმა პროექტის დასრულება ვერ შეძლო და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოდან შეასრულა მხოლოდ 2 მლნ ლარის ღირებულების სამუშაო.



მუგდის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტმა 3.3 მლნ ლარის ღირებულების ელექტრონული ტენდერით, უკონკურენტო გარემოში შეისყიდა 15 ერთეული საზოგადოებრივი ავტობუსი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სატენდერო დოკუმენტაცია მოიცავდა ისეთ მოთხოვნებს, რომელიც ზღუდავდა კონკურენციას და მორგებული იყო კონკრეტულ მიმწოდებელზე. შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა მნიშვნელოვანი ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

აქტივების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

აქტივების მართვის კუთხით გამოვლინდა ისეთი სისტემური ხასიათის დარღვევები, როგორებიცაა, ხარვეზების შედეგად ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები, აქტივების არაეფექტიანად გამოყენება და ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცედურებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები და სხვ.

სსიპ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2018-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუზეუმის მფლობელობაში არსებული ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემაზე გაფორმებული სახელშეკრულებო ღირებულებები არ შეესაბამება გენერალური დირექტორის ბრძანებით დადგენილ ტარიფებს. შედეგად, მუზეუმმა 2018-2020 წლებში დაკარგა, დაახლოებით, 90.6 ათასი ლარიდან 148.3 ათას ლარამდე შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შერჩევითი წესით შესწავლის შედეგად გამოვლინდა 13 უნებართვო მშენებლობა; მათ შორის, 4 შემთხვევაში მშენებლობა შეწყვეტილი და მიტოვებულია. უნებართვო მშენებლობის წარმოებისას, რიგ შემთხვევებში, გა-

მოყენებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რასთან დაკავშირებითაც მერიას სათანადო და დროული ღონისძიებები არ გაუტარებია.

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა არაუფლებამოსილი პირების მიერ მუნიციპალური ქონებით სარგებლობის 40 შემთხვევა. კერძოდ, არ არის გაფორმებული შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები და არ ხორციელდება ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზება. მერია საიჯარო თანხებს სრულად ვერ იღებდა საიჯარო ხელშეკრულებების პირობებშიც. მიუღებელმა შემოსავალმა 386.4 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, საურავმა – 120.6 ათასი ლარი.

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტისთვის გადაუხდელი იჯარის თანხა, დაახლოებით 144 ათას ლარს შეადგენდა. ამ პერიოდისთვის დავალიანება ერიცხებოდა მუნიციპალური ქონების 78-დან 55 მოიჯარე სუბიექტს. ამასთანავე, სარგებლობის ფორმით გაცემული ზოგიერთი ქონების საფასური ნაკლებია საბაზრო ღირებულებაზე.

საბიუჯეტო რესურსის მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი საბიუჯეტო რესურსების მართვის ხარვეზები მოიცავს საჯარო უწყებების მიერ ბიუჯეტის არარაციონალურად და არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევებს.

პროექტის – „დანერგე მომავალი“ 2018-2020 წლების შესაბამისობის აუდიტი

ორი იდენტური სანერგე მეურნეობის შემთხვევაში, 1 კვ.მ-ზე გამოყენებული მასალების დანახარჯები მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც ჯამურად 133 ათასი ლარის სხვაობას წარმოშობს.

სსიპ – დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს მიერ დახარჯული საბიუჯეტო სახსრების შესაბამისობის აუდიტი

2019-2020 წლებში სააგენტომ 10 პროგრამიდან 4 ფაქტობრივად არ შეასრულა. შესაბამისად, არასათანადო კონტროლისა და მოქმედი კანონმდებლობის პრინციპების დარღვევის შედეგად, არამიზნობრივად იქნა გახარჯული 252.6 ათასი ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტმა სარეზერვო ფონდიდან 243 ათასი ლარი კანონშესაბამოდ დახარჯა ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების დასაფინანსებლად, სოციალური დახმარების პროგრამისთვის დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებლად.

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტსა და სოციალური საცხოვრისის მშენებელ კომპანიას შორის მიმდინარეობდა სასამართლო დავა. მერია მიმწოდებლისგან ითხოვდა გადახდილი თანხიდან 1.6 მლნ ლარის უკან დაბრუნებას, ვინაიდან მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მიუხედავად ამისა, 2021 წლის მარტში მხარეებს შორის გაფორმდა მორიგება და მერიამ მშენებელ კომპანიას სათანადო საფუძვლის გარეშე გადაუხადა 120 ათასი ლარი.

სენაკის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტმა დაგეგმა და შეისყიდა ისეთი პროექტები, რომლებიც ფუნქციურად დატვირთული არ არის. შესაბამისად, ბიუჯეტიდან გაწეულია 284.2 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი.

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

სსიპ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2018-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ეროვნულ მუზეუმში საშტატო ერთეულებზე დასაქმებული თანამშრომლების ნაწილი, შინაგანანგისით დადგენილი ნორმირებული სამუშაო დროის ფარგლებში, თანამდებობრივი პოზიციით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისთვის იღებს როგორც თანამდებობრივ სარგოს, ასევე დამატებით ანაზღაურებას. დამატებითი ანაზღაურების გაცემის საფუძველია ვადიანი შრომითი ხელშეკრულება. ასეთი სახის დამატებითმა ანაზღაურებამ შესამოწმებელ პერიოდში 269.3 ათასი ლარი (საკუთარი სახსრებიდან) შეადგინა. ვინაიდან ნორმირებულ დროში სამუშაოს შესრულებისთვის მოხელეს ეკუთვნის მხოლოდ თანამდებობრივი სარგო, დამატებითი კომპენსაცია კანონმდებლობასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებაა.

სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 წლების შესაბამისობის აუდიტი

უნივერსიტეტმა არაეფექტიანად მართა მედიცინის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა მოზიდვის ხელშეწყობის შესახებ მემორანდუმი და არ დაიცვა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი. შედეგად, უცხოელ სტუდენტთა დავალიანება წლების განმავლობაში იზრდებოდა და 2019 წლის ბოლოსთვის 1.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების მოქმედ რეგულაციებთან შეუსაბამობისა და საკითხის არასათანადო შესწავლის შედეგად, მაგისტრატურის რიგი საგანმანათლებლო პროგრამის 653 სტუდენტმა, ზედმეტად გადაიხადა 332 ათასი ლარი, რაც ექვემდებარება სტუდენტებისთვის უკან დაბრუნებას. აუდიტის სამსახურის რეკომენდაციით, სტუდენტებს აღნიშნული თანხიდან უკან დაუბრუნდათ 285.6 ათასი ლარი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2019-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად



გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. ნაცვლად 10 სამორიგეო მანქანისა, მუნიციპალიტეტი სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 22 სამორიგეო და 169 კერძო საკუთრებაში არსებული ავტომობილით.

წყალმომარაგების სისტემების მოწყობის ნაკლოვანებები მუნიციპალიტეტებში

სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილ ერთ-ერთი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებაა წყალმომარაგების სისტემების გაუმართავი ფუნქციონირება. კერძოდ, სამტრედიის, სენაკის, წყალტუბოსა და მარნეულის მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით არასაკმარისია. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით. ზოგიერთ შემთხვევაში, სასმელი წყალი არ იწმინდება ან/და ჩატარებული ლაბორატორიული კვლევებით დადგინდა, რომ სასმელი

წყლის ხარისხი შეუსაბამოა დადგენილ სტანდარტებთან.

ეფექტიანობის აუდიტების შედეგები


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრიორიტეტული მიმართულებაა ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია საჯარო უწყებების მიერ განხორციელებული პროგრამებით/ღონისძიებებით მიღწეული შედეგებისა და ამ პროცესში საბიუჯეტო რესურსის გამოყენების ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება ხელს უწყობს საჯარო მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებას.

სამსახურის სტრატეგიული მიზანია ეფექტიანობის აუდიტების წილის ზრდა მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში. 2021 წელს სამსახურმა ჩაატარა 16 ეფექტიანობის აუდიტი, რაც მთლიანი აუდიტორული საქმიანობის 33%-ს შეადგენს. შედეგად, სამსახურმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა სტრატეგიით განსაზღვრული მიზანი (20%).

2018-2021 წლებში სამსახურმა ჯამურად ჩაატარა 54 ეფექტიანობის აუდიტი, რითაც მოიცვა ათივე სახელმწიფო სექტორი/სფერო. ამ კუთხითაც სამსახურმა წარმატებით შეასრულა სტრატეგიის განსაზღვრული მიზანი.

2021 წელს სამსახურმა ჩაატარა 16 ეფექტიანობის აუდიტი, რაც ჯამური აუდიტების 33%-ია.

დიაგრამა 7. 2018-2021 წლებში სამსახურის მიერ ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტების განაწილება სახელმწიფო სექტორების/სფეროების მიხედვით.



SAI-PMF-ის შეფასების შედეგებით ეფექტიანობის აუდიტის პრაქტიკა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო წლებში და სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს:



2021 წელს ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი შედეგები:

აუდიტის სახელი:	მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტი.
სახელმწიფო სექტორი:	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება.
აუდიტის პერიოდი:	2016-2020 წწ.
აუდიტის ობიექტი(ებ):	იმერეთის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის, სვანეთის ²⁵ და კახეთის ²⁶ დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციები; ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სააგენტოები; ა(ა)იპ – ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება.

აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა რამდენად თანმიმდევრულია რეგიონული განვითარების ასოციაციების მიზნების განსაზღვრისა და საქმიანობის დაგეგმვის პროცესი, რამდენად ოპტიმალურადაა განსაზღვრული მათი როლი/ფუნქციები და რამდენად უწყობს ხელს მათი საქმიანობა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას.

მიგნება: DMO-ების²⁷ მიერ არსებული და ახალი ტურისტული ობიექტების განვითარების მიზნით გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია. ასოციაციების უმეტესობას მომზადებული არ აქვს არსებული ტურისტული ობიექტების სრულფასოვანი ბაზა. არსებულ და ახალ პროდუქტებთან დაკავშირებით ასოციაციებს არ აქვთ სათანადო სიხშირის კომუნიკაცია ფართო აუდიტორიასთან. ამასთანავე, თანამშრომლობა ადგილობრივ და უცხოურ ტუროპერატორებთან და ტურიზმის სხვა სუბიექტებთან არაეფექტიანია. ორგანიზაციების ვებგვერდების უმრავლესობა გაუმართავია და არ შეიცავს სრულ და საკმარის ინფორმაციას რეგიონის ტურისტული ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის შესახებ. დაბალია ორგანიზაციების აქტივობა სოციალურ ქსელებშიც.

²⁵ „შანლენდ“.

²⁶ „ვიზიტ კახეთი“.

²⁷ დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია.

რეკომენდაცია: DMO-ებმა ციფრული მარკეტინგის განვითარების კუთხით, ტურისტების მოზიდვისა და ინფორმირებისთვის აქტიურად გამოიყენონ ვებგვერდები და სოციალური ქსელები. მნიშვნელოვანია, ვებგვერდები ითვალისწინებდეს მინიმუმ ერთი უცხო ენის არჩევის შესაძლებლობას და ვებგვერდზე/სოციალურ ქსელში განთავსებული ყველაწარმოადგენს ინფორმაციას ხელმისაწვდომი იყოს უცხოენოვანი მომხმარებლებისათვის. მიზანშეწონილია, ასოციაციების სოციალური მედიის/ვებგვერდების ერთ სისტემაში მოყვანა, მათი ხშირი განახლება-გამართვა. ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანი მართვისა და კონტროლისათვის მუნიციპალიტეტები რეგულარულად უნდა ატარებდნენ ა(ა)იპ-ების საქმიანობის მონიტორინგს და ფლობდნენ სრულყოფილ ინფორმაციას მათ მიერ წლის განმავლობაში განსახორციელებელი/განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშის განხილვისას უნდა შეაფასონ სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნების მიღწევის/დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა და შეუსრულებლობის მიზეზები.

აუდიტის სახელი:	მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტი.
სახელმწიფო სექტორი:	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება.
აუდიტის პერიოდი:	2014-2019 წწ.
აუდიტის ობიექტ(ებ)ი:	ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა რამდენად თანმიმდევრულია ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკა მუნიციპალური ა(ა)იპ-ების დაფუძნებისა და მართვის პროცესში.

მიგნება: მუნიციპალიტეტების ფუნქცია-მოვალეობები არის მსგავსი, რაც ა(ა)იპ-ების ერთსა და იმავე სფეროში შექმნას უნდა განაპირობებდეს. მიუხედავად ამისა, არაერთგვაროვანია სერვისების მისაწოდებლად ა(ა)იპ-ების დაფუძნების პრაქტიკა. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 21 მუნიციპალიტეტში 28.3 მლნ ლარი არის მიმართული ისეთი ა(ა)იპ-ების ფუნქციონირებაზე, რომელთა საქმიანობის სფეროც, მხოლოდ ამ მუნიციპალიტეტებში გვხვდება. ასევე, მუნიციპალიტეტებში ხშირად შექმნილია საერთო პროფილის მქონე რამდენიმე ა(ა)იპ-ი. აღნიშნული განსაკუთრებით დამახასიათებელია კულტურის, განათლების, სპორტისა და ინფრასტრუქტურის სფეროსათვის.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტების აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა შეისწავლონ, ემყარება თუ არა ა(ა)იპ-ის შექმნა რეალურ საჭიროებებს და რამდენად არის ცალკე იურიდიული პირის დაფუძნება და ფუნქციონირება საუკეთესო ალტერნატივა მოსახლეობისთვის კონკრეტული სერვისების მისაწოდებლად. ასევე, განიხილონ მსგავსი ფუნქციებისა და მიზნების მქონე იურიდიული პირების კონსოლიდაციის შესაძლებლობა. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონკრეტული პროგრამების მართვის სისტემის გაუმჯობესებას, მსგავსი ფუნქციების მქონე ორგანიზაციებში ერთიანი პოლიტიკის დანერგვას, იურიდიულ პირებს შორის ფინანსური რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობას.

პუბლიკის სახელი:	ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესზე სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანობის აუდიტი.
სახელმწიფო სექტორი:	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება.
პუბლიკის პერიოდი:	2018-2020 წწ.
პუბლიკის ობიექტი(ებ)ი:	სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი.

აუდიტის შესწავლის საგანს წარმოადგენდა ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებულ პროცესებზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება, ასევე, ქვეყანაში დადგენილი სტანდარტების შესაბამისობა ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დირექტივებთან და სტანდარტებთან დასახული მიზნების მიღწევის მდგომარეობის უსაფრთხოებასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმიზაციასთან დაკავშირებით.

მიგნება: 2018-2020 წლებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა მავნე ნივთიერების კონცენტრაციების დადგენა და არეალის დაფარვა არ წარმოებდა სრულყოფილად. შესაბამისად, შეუძლებელია განისაზღვროს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გაუმართაობით მიღებული გავლენა ჰაერის დაბინძურებაზე. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნულის გარეშე შეუძლებელია რეფორმის ეფექტიანობის სათანადოდ შეფასება.

რეკომენდაცია: რეფორმის ეფექტიანობის შეფასების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შესაბამისი უწყებების ჩართულობით შეიმუშაოს სტატისტიკურ ინფორმაციასა და ობიექტურ კვლევაზე დაფუძნებული ინსპექტირების რეფორმის ყოველწლიური მისაღწევი შედეგები გაზომვადი ინდიკატორებით და განახორციელოს რეფორმის მიზნების მიღწევის ყოველწლიური მონიტორინგი.

პუბლიკის სახელი:	ქართულ დიასპორასთან კავშირების გაძლიერების ეფექტიანობის აუდიტი.
სახელმწიფო სექტორი:	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება.
პუბლიკის პერიოდი:	2017-2020 წწ.
პუბლიკის ობიექტი(ებ)ი:	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

ქვეყნების ჩართულობა გლობალურ მიგრაციულ პროცესებში საგრძნობლად გაიზარდა. შესაბამისად, აქტუალურია მიგრაციის როლი სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და დემოგრაფიული კუთხით.

მიგნება: დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კვლევები საჭიროებების შესახებ, დიასპორული პროექტების ეფექტიანად დაგეგმვისათვის არ არის საკმარისი, ვინაიდან გამოკითხულია მხოლოდ დიასპორული ორგანიზაციები – საკვირაო სკოლები და სამრევლოები, რომელთა საჭიროებები შესაძლოა განსხვავდებოდეს დიასპორის ცალკეული წარმომადგენლის საჭიროებებისგან. არ არის განსაზღვრული პროგრამის შესრულებისა და მისაღწევი შედეგის ვადები, ასევე არ განხორციელებულა პროექტების ეფექტიანობისა და მიღწეული შედეგების შეფასება.

რეკომენდაცია: დიასპორის საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული პროექტების განსახორციელებლად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, მიგრაციის სფეროში მოქმედ სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით ჩაატაროს კვლევები, რომლის საფუძველზე შეისწავლის დიასპორის წევრების საჭიროებებს და გამოწვევებს. შეაფასოს უკვე განხორციელებული პროექტების ეფექტიანობა და მომავალი პროექტების ბიუჯეტი დაიგეგმოს ჩატარებული კვლევებისა და პროექტების შეფასების შედეგების გათვალისწინებით.

აუდიტის სახელი:	მოქალაქეთა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი.
სახელმწიფო სექტორი:	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება.
აუდიტის პერიოდი:	2019-2020 წწ.
აუდიტის ობიექტი(ებ):	სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური.

უფასო იურიდიული დახმარება მართლმსაჯულების სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ადამიანის სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან ერთად ხელს უწყობს მაღალი საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბებას.

მიგნება: ოჯახის წევრთა შორის კონფლიქტის ან ერთობლივ შემოსავალზე შეზღუდული წვდომის არსებობის შემთხვევაში, ბენეფიციარის გადახდისუუნარობის შეფასებისას, სარეიტინგო ქულა გაეროს სახელმძღვანელო წესების მიხედვით, გამოითვლება ინდივიდუალურად, ხოლო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მაჩვენებელი გაიანგარიშება ოჯახის მონაცემებზე დაყრდნობით. გამომდინარე იქიდან, რომ ვერც კანონმდებლობით გათვალისწინებული „საგამონაკლისო წესი“ ფარავს სრულად ასეთ პირთა წრეს, არსებობს რისკი – ოჯახში კონფლიქტის ან ერთობლივ შემოსავალზე შეზღუდული წვდომის შემთხვევაში, პირმა ვერ ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით.

რეკომენდაცია: უფასო იურიდიულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურმა შეიმუშაოს წესი, რომელიც მაქსიმალურად მოიცავს იმ პირთა წრეს, რომლებსაც ოჯახში კონფლიქტის ან ერთობლივ შემოსავალზე შეზღუდული წვდომის არსებობის შემთხვევაში ესაჭიროებათ იურიდიული დახმარება.

აუდიტის სახელი:	საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება.
სახელმწიფო სექტორი:	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება.
აუდიტის პერიოდი:	2018-2020 წწ.
აუდიტის ობიექტი(ებ):	სსსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო.

საჯარო მმართველობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა შეზღუდული რესურსებით მოქალაქეებისთვის მაქსიმალური ღირებულების შექმნა. აღნიშნული ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. საჯარო მმართველობის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისთვის მნიშვნელოვანია პროფესიონალი, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსების არსებობა და მათი ეფექტიანი მართვა, რაც სტრატეგიული მიზნების მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

მიგნება: აუდიტის ფარგლებში შერჩეული ოთხი სამინისტროდან, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგია არ ჰქონდა შემუშავებული განათლებისა და მეცნიერების და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების სტრატეგიები კი დამტკიცებულია 2021 წელს. შესაბამისად, სტრატეგიებში გათვალისწინებული აქტივობების უმეტესობას მიმდინარე სტატუსი აქვს.

რეკომენდაცია: ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ გააქტიუროს ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის სისტემის დანერგვა-ფუნქციონირების მიმართულებით მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული განვითარების გეგმების ორგანიზაციების სტრატეგიული განვითარების მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანას. ამავდროულად, საჯარო სამსახურის ბიურომ უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტების მიმოხილვა და შეფასება.

აუდიტის სახელი:	საჯარო სექტორში IT პროექტების მართვის ეფექტიანობის აუდიტი.
სახელმწიფო სექტორი:	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება.
აუდიტის პერიოდი:	2014-2019 წწ.
აუდიტის ობიექტი(ებ):	სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტო; მთავრობის ადმინისტრაცია; სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური; სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ცალკეული უწყებების დონეზე, საკუთარი ადამიანური რესურსით შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების პროცესში დროულობისა და ბიუჯეტის მართვის პრაქტიკა, ასევე, აღნიშნული სფეროს მონიტორინგის/კოორდინაციის ქმედითი მექანიზმებისა და შესაბამისი მარეგულირებელი გარემოს არსებობა.

მიგნება: აუდიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა ელექტრონული სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრული მაკოორდინირებელი უწყებების, მთავრობის ადმინისტრაციისა და სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ განხორციელებული აქტივობები. კერძოდ, აღნიშნულ ორგანიზაციებში არ არსებობს დოკუმენტური დასაბუთება IT პროექტების კოორდინაციის მიმართულებით სტრატეგიითა და საჯარო მმართველობის რეფორმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების შესახებ.



რეკომენდაცია: მთავრობის ადმინისტრაციამ, როგორც ელექტრონული მმართველობის პროცესების კოორდინაციაზე პასუხისმგებელმა უწყებამ ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ან/და მატერიალური IT პროექტების ეფექტიანი და დროული მართვისათვის უზრუნველყოს ანგარიშვალდებულების ქმედითი მექანიზმების შექმნა. აღნიშნული უნდა მოიცავდეს:

- პროექტის განხორციელება/კოორდინაცია/მონიტორინგში ჩართული მხარეების დეტალურ როლებს, პასუხისმგებლობებს, მათ შორის, კომუნიკაციის ფორმასა და პერიოდულობას.

მთავრობის ადმინისტრაციამ და სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტომ უზრუნველყონ:

- ქვეყნისთვის სტრატეგიულად და მატერიალურად მნიშვნელოვანი პროექტების საოპერაციო/ტექნიკურ დონეზე მონიტორინგის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო მანდატისა და უფლებამოსილების საკითხების იდენტიფიცირება სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოსათვის და შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის შექმნა.

აუდიტის სახელი:	ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი.
სახელმწიფო სექტორი:	ეკონომიკური საქმიანობა.
აუდიტის პერიოდი:	2018-2021 (ოქტომბერი) წწ.
აუდიტის ობიექტ(ებ)ი:	სსიპ – ანარმოე საქართველოში; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა სსიპ – ანარმოე საქართველოს მიერ ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.

მიგნება: სააგენტოს სამიზნე, პრიორიტეტული სექტორების/პროდუქტების იდენტიფიცირების პროცესი არათანმიმდევრულია. კერძოდ, სააგენტოს არ აქვს განსაზღვრული პრიორიტეტული სექტორების/პროდუქტების გამოვლენის პროცედურა და აღნიშნული პროცედურის ჩატარების პერიოდულობა. პრიორიტეტულად მიჩნეული პროდუქტებიდან ზოგიერთი არ ეფუძნება სიღრმისეულ კვლევას, რომელშიც გაანალიზებული იქნებოდა პროდუქტის მიწოდების ჯაჭვში არსებული დაბრკოლებები.

რეკომენდაცია: პრიორიტეტული სექტორების/პროდუქტების შერჩევის თანმიმდევრული და გამართული პროცესის უზრუნველსაყოფად, გაიწეროს პრიორიტეტული სექტორების გამოვლენის პროცედურა და განისაზღვროს პასუხისმგებელი პირების/მხარეების როლები. სექტორის/პროდუქტის პრიორიტეტულად აღიარებამდე, მნიშვნელოვანია მოხდეს მიწოდების ჯაჭვში არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირება.

პუბლიკის სახელი:	სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი.
სახელმწიფო სექტორი:	ეკონომიკური საქმიანობა.
პუბლიკის პერიოდი:	2016-2020 წწ.
პუბლიკის ობიექტი(ებ):	სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო; სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი.

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე სურსათის მოხმარებით მიყენებული ზიანის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი იყოს ეფექტიანი, როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე მის საზღვარზე. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა აღნიშნული საკითხი.

მიგნება: სურსათის უვნებლობის მიმართულებით, რისკის შეფასების საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურები არასათანადოდაა დარეგულირებული, რაც გულისხმობს შემდეგი საკითხების დეტალურად განსაზღვრას: რისკის შეფასების სამსახურის მიერ შემუშავებული ანგარიშების ფორმა და შინაარსი; რისკის შეფასების და მის თანმდევ თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი ქმედებები; ჩართული მხარეების უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

რეკომენდაცია: სისტემური, სრული, შესაბამისი და მეტად გამჭვირვალე სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკის ანალიზის პროცესის განხორციელების მიზნით საჭიროა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლობით, შემუშავდეს სტანდარტული საოპერაციო პროცედურები ან/და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო დონეზე მკაფიოდ განისაზღვროს სურსათის უვნებლობის სფეროში, რისკის ანალიზის პროცესში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობები და თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი ქმედებები.

პუბლიკის სახელი:	მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი.
სახელმწიფო სექტორი:	ეკონომიკური საქმიანობა.
პუბლიკის პერიოდი:	2014-2020 წწ.
პუბლიკის ობიექტი(ებ):	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ – ანარმოე საქართველოში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა 2014-2021 წლებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც მოიცავს პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ინდუსტრიულ მიმართულებასა და პანდემიის საპასუხოდ სსიპ-ის – ანარმოე საქართველოში მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. აუდიტის ფარგლებში შეფასდა, თუ რამდენად შეესაბამება პროგრამის დიზაინი კარგ პრაქტიკას და რამდენად პასუხობს ის მენარმეთა საჭიროებებს. აგრეთვე შედარდა პროგრამაში მონაწილე და არამონაწილე კომპანიების ფინანსური მაჩვენებლები.

მიგნება: მენარმეთა საჭიროებების იდენტიფიცირების მიმართულებით, აღსანიშნავია ქვეყანაში არსებული მონაცემთა ნაკლოვანებები, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განმარტების არაერთგვაროვნებას და შესაბამისად, მონაცემთა ნაკლებად თავსებადობას გულისხმობს. სააგენტოს გააჩნია განსხვავებული მიდგომა მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრების კუთხით, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგალითად, EBRD) ანალიზის ჩატარებისას მცირე და საშუალო ბიზნესის განსხვავებულ განმარტებას იყენებენ. არასათანადო მონაცემები და მონაცემთა დაბალი თავსებადობა აბრკოლებს მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამების ეფექტიანად დაგეგმვასა და მათ მორგებას მენარმეთა საჭიროებებზე.

რეკომენდაცია: იმ მიზნით, რომ შეიქმნას მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებების საპასუხოდ შესაბამისი პროგრამების ეფექტიანად შემუშავების წინაპირობები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოახდინოს იმ გარემოებების იდენტიფიცირება, რაც ხელს უშლის მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებით სათანადო ანალიზის ჩატარებას და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით (ეროვნული ბანკი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საერთაშორისო დონორები) ხელს უწყობს შესაბამისი მონაცემების გენერირებას.

აუდიტის სახელი:	შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) ეფექტიანობის აუდიტი.
სახელმწიფო სექტორი:	ეკონომიკური საქმიანობა.
აუდიტის პერიოდი:	2020 წწ.
აუდიტის ობიექტი(ებ):	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტს (SRAMP)“, რომლის ეფექტიანობის აუდიტს ჩაატარა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა. აუდიტის ანგარიშის საფუძველზე მსოფლიო ბანკი იღებს რწმუნებას, რომ პროექტი ხორციელდება ბანკის წესების, პროცედურებისა და სახელმძღვანელოების მოთხოვნების შესაბამისად.

მიგნება: გზების დეპარტამენტის მიერ წლიური გეგმის შემუშავების პროცესში, არ ხორციელდება შიდასახელმწიფოებრივი გზების სავარაუდო, სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. შედეგად, გზების დეპარტამენტს არ აქვს შესაძლებლობა დაასაბუთოს, ირჩევს თუ არა საუკეთესო ვარიანტს მოვლა-შენახვას, პერიოდულ მოვლა-შენახვასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებს შორის.

რეკომენდაცია: შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სასურველია, გზების დეპარტამენტმა შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გზების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას სამუშაოების ტიპის მიხედვით. შეფასების გაკეთება შესაძლებელია წარსული გამოცდილების, სამუშაოების ტიპის, წლის საშუალო დღიური ნაკადისა და რეგიონული კლიმატის საფუძველზე. აუცილებელია სხვადასხვა სამუშაოს (მოვლა-შენახვა, პერიოდული მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია) მოსალოდნელი შედეგების ურთიერთშედარება, შემდგომში მათგან ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად.

პუბლიკის სახელი:	საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების (შემდგომი რეაგირება) ეფექტიანობის აუდიტი.
სახელმწიფო სპეციალური:	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.
პუბლიკის პერიოდი:	22018-2020 წწ.
პუბლიკის ობიექტი(ებ):	საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და მისი სტრუქტურული ერთეულები (ქ. თბილისის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის მთავარი სამმართველოები); შსს-ს ტერიტორიული ორგანოები (ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტები), საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი; სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი – „112“.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში საკმაოდ მაღალია და 2020 წლისთვის 121-ს შეადგენს 1 მილიონ მოსახლეზე. აღნიშნული მონაცემები 2016-2017 წლებთან შედარებით შემცირებულია, თუმცა ევროპული ქვეყნების შესაბამის საშუალო მაჩვენებელს აღემატება.

მიგნება: გზებზე საერთაშორისო გადაზიდვებით დაკავებული სატრანსპორტო საშუალებების მძღოლთა შრომისა და დასვენების რეჟიმების კონტროლი არ ხორციელდება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საფრთხეებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებისათვის.

რეკომენდაცია: საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს შესაბამისი მექანიზმების დანერგვა საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვა-გადაყვანისას მძღოლების მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევების გამოვლენისა და შესაბამისი სანქციების დაკისრების უზრუნველსაყოფად.

პუბლიკის სახელი:	მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.
სახელმწიფო სპეციალური:	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.
პუბლიკის პერიოდი:	2017-2020 წწ.
პუბლიკის ობიექტი(ებ):	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სპეციალური პენიტენციური სამსახური; სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო; სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი.

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში არაერთი რეფორმა განხორციელდა. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, დაინერგა პროგრამები და სერვისები, რომლებიც მორგებულია მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა უფლებებზე და მიმართულია რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გზით მათ საზოგადოებაში ინტეგრაციაზე.



მიგნება: არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობას ნახევრად ღია, დახურული, განსაკუთრებული რისკისა და ქალთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულებისათვის, მაშინ როდესაც აღნიშნული ტიპის დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა რიცხოვნობა სრული რაოდენობის 95%-ს შეადგენს. სრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის ზოგადი განათლების მიღება ხელმისაწვდომია მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებით, შესაბამისი პედაგოგების დახმარების გარეშე.

რეკომენდაცია:

- განხორციელდეს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბიბლიოთეკების განახლება, როგორც სარემონტო სამუშაოების, ასევე საგანმანათლებლო და ზოგადი ლიტერატურული მასალების შევსების კუთხით;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კოორდინაციით დამუშავდეს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ყველა ტიპის მსჯავრდებულს მისცემს საშუალებას მიიღოს უმაღლესი განათლება და შესაძლებლობის ფარგლებში გაიზარდოს მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების მიღების მიზნით სპეციალობათა ჩამონათვალი;
- საჯარო/კერძო პარტნიორობის გაძლიერების ფარგლებში, განათლების სამინისტროს აქტიური ჩართულობით, პენიტენციურმა სამსახურმა უზრუნველყოს მსჯავრდებულთა უმაღლესი განათლების პროცესში უნივერსიტეტების დაინტერესებისათვის შესაბამისი მექანიზმების შექმნის ინიცირება.

აუდიტის სახელი:	Covid-19-ის პანდემიის პირობებში სამედიცინო სერვისების უწყვეტობის ეფექტიანობის აუდიტი.
სახელმწიფო სექტორი:	ჯანდაცვა.
აუდიტის პერიოდი:	2020-2021 წწ.
აუდიტის ობიექტი(ებ):	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი ერთეულები.

აუდიტის შესწავლის საგანს წარმოადგენდა რამდენად ეფექტიანი იყო სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ერთეულების მიერ დაგეგმილი და გატარებული ღონისძიებები პანდემიის პირობებში ბენეფიციართათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სერვისების დროული და სრული მიწოდების კუთხით. აუდიტმა მოიცვა იმ რვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განწეული მომსახურება, რომელიც 2020 წლის ივნისში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული გზამკვლევის მიხედვით განსაზღვრული იყო, როგორც საბაზისო სერვისები.

მიგნება: 2020-2021²⁸ წლებში შემცირებული იყო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეთა რაოდენობა. მთავრობის დადგენილებაში²⁹ შესული ცვლილების მიუხედავად, სამედიცინო მომსახურების დისტანციური წესით განხორციელების შესახებ, დაწესებულებებმა პროგრამის მოსარგებლეების მხოლოდ მცირე ნაწილს შესთავაზეს აღნიშნული შესაძლებლობა.

²⁸ 2021 წლის აგვისტომდე პერიოდში.

²⁹ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის N 213 დადგენილება.

რეკომენდაცია: საგანგებო სიტუაციებში სამედიცინო სერვისების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, დროული რეაგირების მიზნით შემუშავდეს დოკუმენტი, სადაც განსაზღვრული იქნება:

- საბაზისო და სასიცოცხლო მნიშვნელობის სამედიცინო მომსახურებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს უწყვეტად;
- აღნიშნული სამედიცინო მომსახურებების მიწოდების ალტერნატიული გზები და მათი განხორციელების ეფექტიანი მექანიზმები.

პუბლიკის სახელი:	ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სერვისების ხელმისაწვდომობის ეფექტიანობის აუდიტი.
სახელმწიფო სექტორი:	ჯანდაცვა.
პუბლიკის პერიოდი:	2017-2019 წწ.
პუბლიკის ობიექტ(ებ)ი:	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო; სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

აუდიტის შესწავლის საგანი იყო რამდენად ხელმისაწვდომია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული კომპონენტები: ბენეფიციარების სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული ამბულატორიული მომსახურება. აუდიტის ფარგლებში შერჩეულ იქნა შვიდი სახელმწიფო პროგრამა.³⁰

მიგნება: იშვიათი დაავადებების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დანერგილი მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო სერვისებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას. კერძოდ, არ არის შემუშავებული და დამტკიცებული ახალი დაავადების პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები; არ არის შემუშავებული ეროვნული გეგმა ან სტრატეგია და არ იწარმოება იშვიათი დაავადებების მქონე პირთა რეესტრი; პროგრამაში სამედიცინო სერვისის დამატებას, საშუალოდ, სჭირდება რამდენიმე წელი; პროგრამით გათვალისწინებული ამბულატორიული სერვისი არ არის ხელმისაწვდომი 18 წლის ზემოთ პირებისათვის. დამატებითი მექანიზმებისა და რესურსის პროდუქტიულად განკარგვის პირობებში, შესაძლებელია მოცვის გაფართოვება.

³⁰ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა; დიაბეტის მართვა; დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაცია; იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა; საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (მედიკამენტით უზრუნველყოფის კომპონენტი); C ჰეპატიტის მართვა; ჯანმრთელობის ხელშეწყობა (C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობის კომპონენტი).



რეკომენდაცია: ბენეფიციარებისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფის, სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდისა და პროგრამის ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით, იშვიათი დაავადებების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში:

- შემუშავდეს და დამტკიცდეს დაავადების იშვიათად აღიარებისა და ახალი ნოზოლოგიის პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები;
- საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავდეს ეროვნული გეგმა ან/და სტრატეგია;
- საბიუჯეტო სახსრების პროდუქტიული ხარჯვის გათვალისწინებით, შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეთა ასაკობრივი კატეგორიის ან/და მომსახურების მოცულობის გაზრდის შესაძლებლობა;
- დაინერგოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სანდო და სრული ინფორმაციის მოპოვებას ქვეყანაში არსებული იშვიათი დაავადებების მქონე პირთა რაოდენობის შესახებ.

აუდიტის სახელი:	საჯარო სკოლებში დისტანციური სწავლების ეფექტიანობის აუდიტი.
სახელმწიფო სპეცოპი:	განათლება.
აუდიტის პერიოდი:	2020-2021 წწ.
აუდიტის ობიექტ(ებ)ი:	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

აუდიტი შესწავლის საგანს წარმოადგენდა რამდენად უზრუნველყო ზოგადი განათლების სისტემამ საჯარო სკოლებში დისტანციური სწავლების ეფექტიანად წარმართვა. აუდიტის მიზანი იყო შეფასებინა გათვალისწინებული მოვლენებისათვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ერთეულების მზაობა, პანდემიის დროს დისტანციური სწავლების ხელშეწყობის მიზნით მათ მიერ გატარებული ღონისძიებების პროდუქტიულობა და ეფექტიანობა.

მიგნება: ქვეყნის მასშტაბით მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს ხელი არ მიუწვდებოდა დისტანციური სწავლებისთვის საჭირო რესურსებზე – კომპიუტერებსა და ინტერნეტზე. სამინისტრო არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას ასეთი მოსწავლეების რაოდენობის შესახებ.


რეკომენდაცია: დისტანციური სწავლების სათანადოდ წარმართვისათვის, სამინისტრომ უზრუნველყოს იმ მოსწავლეების იდენტიფიცირება, რომელთაც ხელი არ მიუწვდებოდა კომპიუტერსა და ინტერნეტზე, სანდო ინფორმაციის არსებობის პირობებში კი განისაზღვროს მოწყვლადი ჯგუფებისათვის დისტანციურ სწავლებაზე ხელმისაწვდომობის გზები.

3.2 აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის უმთავრესი ფუნქციაა მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნა, რაც შესაძლებელია აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების დანერგვით. შესაბამისად, სამსახურის პრიორიტეტია რეკომენდაციების დროული შესრულების ხელშეწყობა პარლამენტთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან ეფექტიანი კომუნიკაციითა და თანამშრომლობით.

2018-2021 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა 2,800-ზე მეტი რეკომენდაცია, საიდანაც 32% ეკუთვნის 2021 წლის აუდიტებს.³¹ ჩატარებული ანალიზის მიხედვით, სრულად შესრულებულია ამ რეკომენდაციების 43% და ნაწილობრივ შესრულებულია – 17%. გასათვალისწინებელია, რომ რეკომენდაციების თითქმის მესამედი (31%) ახალი გაცემულია და ორგანიზაციების მიერ მათი საბოლოო შესრულებისთვის დაგეგმილი თარიღი ჯერ არ დამდგარა. შესაბამისად, რეკომენდაციების 31% მიმდინარეა.


დიაგრამა 8. 2018-2021 წლებში გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა.³²




დიაგრამა 9. 2018-2021 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.



დიაგრამა 10. 2021 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.³³



დიაგრამა 11. 2018-2020 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.




³¹ წინამდებარე ანგარიშში 2021 წლის რეკომენდაციების მაჩვენებელი მოიცავს 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განსაზღვრული იმ აუდიტების რეკომენდაციებსაც, რომლებიც დამტკიცდა 2022 წლის დასაწყისში.


³² წინამდებარე ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების სტატისტიკა შესაძლებელია განსხვავდებოდეს გასული წლების საქმიანობის ანგარიშების მონაცემებისგან. კერძოდ, რეგულაციების შესანარჩუნებლად, სამსახური პერიოდულად ატარებს გასულ წლებში გაცემული რეკომენდაციების ინვენტარიზაციას და არავალიდური რეკომენდაციების იდენტიფიცირების შემთხვევაში, ჩამოწმის მათ.

³³ 2021 წლის რეკომენდაციების მაჩვენებელი მოიცავს 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განსაზღვრული იმ აუდიტების რეკომენდაციებსაც, რომლებიც დამტკიცდა 2022 წლის დასაწყისში.

დიაგრამა 12. 2018-2021 წლებში გაცემული მნიშვნელოვანი რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა.



დიაგრამა 13. 2018-2021 წლებში გაცემული სტანდარტული რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა.




სახელმწიფო აუდიტის სამსახური გასცემს ორი ტიპის რეკომენდაციას: მნიშვნელოვანს და სტანდარტულს. მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ეხება ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებებს და მათ შესრულებას შეუძლია არსებითი ზეგავლენის მოხდენა საჯარო ფინანსების მართვის სისტემაზე. ასეთი რეკომენდაციების შეუსრულებლობით შესაძლოა გაიზარდოს თაღლითობის, კორუფციის, სახელმწიფო ქონებისა და საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივად განკარგვის რისკები. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შესრულება საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან მეტ ძალისხმევას მოითხოვს, თუმცა მათი დანერგვით მიღებული სარგებელი/ეფექტი გაცილებით მაღალია.

2018-2021 წლებში სამსახურმა გასცა 1,000-ზე მეტი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, საიდანაც სრულად შესრულებულია მხოლოდ 39%, მაშინ როდესაც სტანდარტული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი 46%-ია.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ძირითადად ეფექტიანობის აუდიტისას გაიცემა, ეფექტიანობის აუდიტების რაოდენობა კი ბოლო წლებში მზარდი ტენდენციით გამოირჩევა. შესაბამისად, ყოველწლიურად იზრდება გაცემული მნიშვნელოვანი ტიპის რეკომენდაციების რაოდენობაც. ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების 53% მიმდინარეა, ხოლო შესრულებულია მხოლოდ 24%.

შედარებით მაღალია შესაბამისობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება, რომელიც 44%-ს აღწევს. შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ფინანსური აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები, რომელთა შესრულება 51%-ს შეადგენს.

დიაგრამა 14. 2018-2021 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება აუდიტის სახეობების მიხედვით.



SAI-PMF-ის შეფასების შედეგებით
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
რეკომენდაციების შესრულების
მონიტორინგის პრაქტიკა უმაღლესი -
4 ქულით შეფასდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2021 წელს პრაქტიკაში აამოქმედა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (www.aris.sao.ge), რომელსაც რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესი სრულად გადაჰყავს ელექტრონულ სივრცეში.

რეკომენდაციების რაოდენობის ზრდასთან ერთად სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი მართვის ქმედითი მექანიზმის არსებობას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მუდმივად მუშაობს ამ მიმართულებით შიდა პროცესების ეფექტიანობის ამაღლებაზე. შედეგების გაუმჯობესებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების უკეთესი მონიტორინგის მიზნით, 2021 წელს სამსახურმა პრაქტიკაში აამოქმედა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (www.sao.aris.ge). სისტემას მონიტორინგის პროცესი სრულად გადაჰყავს ელექტრონულ სივრცეში. შედეგად, უზრუნველყოფილია აუდიტის ობიექტებთან პროაქტიული კომუნიკაცია, პროცესების ავტომატიზაცია და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის დანერგვა.

არსებული მდგომარეობით ელექტრონულ სისტემაში ჩართულია 7 სამინისტრო და მათ დაქვემდებარებაში მყოფი 30-მდე საბიუჯეტო ორგანიზაცია, ასევე ავტონომიური რესპუბლიკები და 3 მუნიციპალიტეტი.³⁴ სისტემის საშუალებით უკვე მონიტორინგი ხორციელდება 2021-2022 წლებში გაცემულ 200-ზე მეტ რეკომენდაციაზე.

ARIS სისტემით დაინტერესდა არაერთი ევროპული უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაცია, რო-

მელთაც მიმართეს აუდიტის სამსახურს გამოცდილების გაზიარების თხოვნით. ასევე, 2022 წელს სამსახური მიწვეულ იქნა EUROSAI-ის კონგრესზე მომხსენებლად, სადაც კოლეგებს მიანოდა ინფორმაცია სამსახურში არსებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პრაქტიკისა და ინოვაციური ელექტრონული სისტემის შესახებ.

რეკომენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროცესში პარლამენტის ჩართულობა. პარლამენტის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სამსახურმა 2021 წელს მოამზადა რეკომენდაციების შესრულების ანალიტიკური ანგარიში, რომელიც პარლამენტს საშუალებას აძლევს მიიღოს დეტალური ინფორმაცია არსებული მდგომარეობის, გამოწვევების, სისტემური ხასიათის საკითხებისა და თითოეული მხარჯავი დანახარების მიერ რეკომენდაციების შესასრულებლად განხორციელებული ქმედებების ეფექტიანობის შესახებ.

3.3 აუდიტის ხარისხის კონტროლი და უზრუნველყოფა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უმთავრესი პრიორიტეტია ხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის წარმოება. აუდიტორული საქმიანობის მაღალი ხარისხი მიიღწევა აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფით, ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის გამართული და ძლიერი სისტემების არსებობით ორგანიზაციაში.

უკანასკნელ წლებში აუდიტის ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით სამსახურმა არაერთი წარმატებული რეფორმა და აქტივობა განახორციელა. 2018 წლიდან სამსახურში დაინერგა საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემა. აღნიშნული გულისხმობს გამოცდილი აუდიტორებისაგან მიმომხილველთა ჯგუფების შექმნას, რომელიც ახორციელებს აუდიტების ხარისხის კონტროლს აუდიტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე


³⁴ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ოზურგეთის მუნიციპალიტეტი; ქობულეთის მუნიციპალიტეტი; მარნეულის მუნიციპალიტეტი.



(დაგეგმვა, შესრულება, ანგარიშგება). მიმოხილვის სისტემის მიზანია აუდიტის ჩატარება საერთაშორისო სტანდარტებისა და სამსახურის მეთოდოლოგიური მოთხოვნების სრული დაცვით.

2018-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიმოხილველთა ჯგუფების მიერ შემოწმებული აუდიტების რაოდენობა. კერძოდ, 2021 წელს ხარისხის მიმოხილვამ მოიცვა სამსახურის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტების 100%, შესაბამისობის აუდიტების 86% და ეფექტიანობის აუდიტების 13%.

დიაგრამა 15. 2018-2021 წლებში ხარისხის კონტროლის მიმოხილვის მიერ დაფარული აუდიტების რაოდენობა აუდიტის სახეობების მიხედვით.



საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით, აუდიტის სამსახურმა განაახლა აუდიტების მეთოდოლოგიური ბაზა და სამუშაო დოკუმენტები, რის შედეგად ისინი კიდევ უფრო დაუახლოვდა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტებს (ISSAIs). განახლებული მეთოდოლოგიების მიხედვით გადამზადდა მთლიანი აუდიტორული კორპუსი.

ასევე, ევროპული ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების გამოცდილებისა და უკეთესი პრაქტიკის გათვალისწინებით, სამსახურმა განაახლა რისკებზე დაფუძნებული აუდიტის დაგეგმვის მეთოდოლოგია. SAI-PMF-ის შეფასების შედეგებით, „აუდიტის დაგეგმვის პროცესის“ კომპონენტში სამსახურმა უმაღლესი შეფასება (4 ქულა) დაიმსახურა.

აუდიტორული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აუდიტის

SAI-PMF-ის შეფასების შედეგებით
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
ხარისხის კონტროლისა და ხარისხის
უზრუნველყოფის სისტემები უმაღლესი
- 4 ქულით შეფასდა, რაც ნიშნავს,
რომ ისინი სრულად შეესაბამება
საერთაშორისო სტანდარტებს.

მართვის სისტემის (AMS) პრაქტიკაში სრულად და-
ნერგვამ. დღესდღეობით, სამსახურის ყველა აუდი-
ტი მიმდინარეობს აუდიტის მართვის ელექტრო-
ნულ სისტემაში, რაც აუდიტის პროცედურებისა და
სამუშაო დოკუმენტების ერთგვაროვანი მიდგომით
წარმოებისა და ხარისხის კონტროლის გარანტია.

ასევე, აღსანიშნავია, ხარისხის უზრუნველყოფის
კუთხით შემუშავებული/განახლებული სხვადასხვა
პოლიტიკა და სახელმძღვანელო, როგორებიცაა
აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის პო-
ლიტიკა და პროცედურული სახელმძღვანელო;
აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღ-
ვანელო; ეფექტიანობის აუდიტის ხარისხის კონ-
ტროლის მიმოხილვის სახელმძღვანელო; IT
აუდიტისა და ბიუჯეტის ანალიზის ხარისხის უზ-
რუნველყოფის სისტემები და ა.შ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მუდმივ-
მა ზრუნვამ და მიზანმიმართულმა პოლიტიკამ
გააუმჯობესოს აუდიტორული საქმიანობის ხა-
რისხი, შესაძლებელი გახდა სამსახურში ჩა-
მოყალიბებულიყო ევროპული სტანდარტის
ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სის-
ტემები, რომლებიც სრულად შეესაბამება უმაღ-
ლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთა-
შორისო სტანდარტებს (ISSAIs). ამის ცალსახა
დასტური და აღიარებაა SAI-PMF-ის შეფასების
შედეგები, რომლის მიხედვითაც „ხარისხის კონ-
ტროლისა“ და „ხარისხის უზრუნველყოფის“ კომ-
პონენტებში სამსახურმა უმაღლესი შეფასებები (4
ქულა) მიიღო.

3.4 სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული ანგარიშები

საჯარო ფინანსების მართვის პროცესში საპარლამენტო კონტროლის ხელშეწყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული აუდიტის სამსახურის ანგარიშები. სახელმწიფო აუდიტის სამსახური საბიუჯეტო პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილე და ჩართულია როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის, ასევე ბიუჯეტის შესრულების ეტაპებზე. კერძოდ, 2021 წელს სამსახურმა მოამზადა და პარლამენტს წარუდგინა:

- მოხსენება საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ;
- მოხსენება საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის ანგარიშის შესახებ;
- დასკვნა საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონის ორივე ცვლილებისთვის;
- დასკვნა „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით აუდიტის სამსახურის მოხსენებების მიზანია, შეაფასოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე და სიზუსტე, ამასთანავე, გამოავლინოს საჯარო ფინანსების მართვის პროცესში არსებული სისტემური ხასიათის ხარვეზები და ხელი შეუწყოს აღნიშნული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას მოხსენებებში გაცემული რეკომენდაციების საშუალებით. 2021 წელს მომზადებულ მოხსენებებში სამსახურმა შეისწავლა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა:

- მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და ფისკალური რისკების რეალიზების მდგომარეობა;
- „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების შესრულების მდგომარეობა;

- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზების მდგომარეობა;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესის გამართულობა;
- კაპიტალური პროექტების მართვა;
- პანდემიის საპასუხოდ მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები;
- სახელმწიფოს ფინანსური აქტივების მართვა;
- სახელმწიფო ვალის მართვა;
- პროგრამული ბიუჯეტის შედგენისა და ანგარიშგების პროცესის გამართულობა.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შესახებ აუდიტის სამსახურის დასკვნის მიზანია კანონპროექტში ასახული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შეფასება, ფისკალური წესების მოცულობისა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის შესაბამისობის დადგენა კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. სამსახურის დასკვნები ხელს უწყობს პარლამენტს მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. 2021 წელს მომზადებულ დასკვნებში წარმოდგენილი საკითხებიდან აღსანიშნავია:

- ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და კანონპროექტში ასახული მაკროეკონომიკური დაშვებების ანალიზი;
- „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების საპროგნოზო მაჩვენებლების ანალიზი და შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან;
- მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკები და მათი გავლენის ანალიზი;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებისა და პროგრამებზე გამოყოფილი დაფინანსების მიზანშეწონილობის ანალიზი;
- სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მაჩვენებლების ანალიზი;
- პროგრამული ბიუჯეტის გამართულობა და შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებსა და მოხსენებებში გასულ წლებში გაცემული რეკომენდაციების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბიუჯეტო დოკუმენტების ხარისხი, შინაარსი და მათი ანგარიშგების პროცესი.



A decorative header consisting of ten vertical bars of equal height and width, arranged in a row. The bars are light gray, except for the seventh bar from the left, which is a vibrant green color.

4.

ძირითადი პარტნიორების ჩართულობა

4.1 თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან


სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული საქმიანობით მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარლამენტის მიერ საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობის პროცესში. საქართველოს პარლამენტი აუდიტის სამსახურის ძირითადი პარტნიორი და მისი აუდიტის ანგარიშების მთავარი მომხმარებელია. აქედან გამომდინარე, სამსახურის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი პარლამენტსა და მის კომიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავებაა.

პარლამენტსა და აუდიტის სამსახურს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პლატფორმაა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული აუდიტის ჯგუფი, რომელიც განიხილავს კონკრეტული აუდიტების მიგნებებსა და რეკომენდაციებს. ჯგუფის სხდომებზე საკითხს წარადგენს აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი, განხილვაში ასევე მონაწილეობს აუდიტის ობიექტის მხარეც.

2018-2021 წლებში მუდმივად ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა აუდიტის ჯგუფის მიერ განხილული ანგარიშების რაოდენობა. ამ პერიოდში ჯგუფმა განიხილა 64 აუდიტის ანგარიში. აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან ჯგუფმა დაიწყო შესაბამისობის, ხოლო 2020 წლიდან ფინანსური აუდიტის ანგარიშების განხილვა. შედეგად, 2020-2021 წლებში განხილულ იქნა სამსახურის მიერ სახელმწიფოს ცენტრალურ დონეზე ჩატარებული ყველა ფინანსური აუდიტის ანგარიში, რაც პარლამენტის ჩართულობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

2018-2021 წლებში მუდმივად ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა აუდიტის ჯგუფის მიერ განხილული ანგარიშების რაოდენობა და ჯამში 64 შეადგინა.

დიაგრამა 16. 2018-2021 წლებში პარლამენტის აუდიტის ჯგუფის მიერ განხილული ანგარიშების რაოდენობა.



2021 წელს აუდიტის ჯგუფმა განიხილა 22 აუდიტის ანგარიში, რის შედეგად შესრულდა სამსახურის სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებელი (არანაკლებ 20 აუდიტის ანგარიშის განხილვა). აქედან 8 – ფინანსური, 7 – შესაბამისობისა და 7 – ეფექტიანობის აუდიტი:

1. შეჯამებულად განიხილა 8 სამინისტროში ჩატარებული 2019 წლის ფინანსური აუდიტები;
2. ა(ა)იპ – საქართველოს ჯანდაცვის ფედერაციის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი;
3. სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისობის აუდიტი;
4. ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისობის აუდიტი;
5. შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ შესაბამისობის აუდიტი;
6. საჯარო სექტორში ინვენტარიზაციის პროცესის შესაბამისობის აუდიტი;
7. სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გრანტების გაცემის და სახელშეკრულებო პირობების შესრულების შესაბამისობის აუდიტი;

8. შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი;
9. ტუბერკულოზის პრევენციისა და მკურნალობის ეფექტიანობის აუდიტი;
10. საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი;
11. პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანობის აუდიტი;
12. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეფექტიანობის აუდიტი;
13. ტყის ხანძრებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენციის, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი;
14. ხე-ტყის კომერციული და სოციალური მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი;
15. შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) ეფექტიანობის აუდიტი.

აუდიტის ანგარიშების განხილვასთან ერთად, მნიშვნელოვანია პარლამენტის როლი სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესში. აუდიტის სამსახურის პარალელურად, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი აქტიურად ახორციელებს მის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2021 წელს პირველად მომზადდა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარედგინა აუდიტის რეკომენდაციების შესრულების წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობისა და სისტემური გამოწვევების შესახებ როგორც ანალიტიკურ, ასევე შინაარსობრივ კრილში.

პარლამენტის საზედამხედველო როლის გაძლიერებისა და რეკომენდაციების მონიტორინგის პროცესში უფრო აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ჩაერთო სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში. სისტემა კომიტეტს საშუალებას აძლევს მუდმივად განახლებად რეჟიმში

SAI-PMF-ის შეფასების შედეგებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლობა პარლამენტთან შეაღწეოდა - 4 ქულით შეფასდა.

მიიღოს ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე გაცემული თითოეული რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში გააკეთოს შესაბამისი რეაგირება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის პრიორიტეტია პარლამენტის წევრებისა და აპარატის მუდმივი ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება სამსახურის საქმიანობის, ძირითადი პროდუქტებისა და შედეგების შესახებ. შესაბამისად, სამსახური აქტიურად მონაწილეობს როგორც ორმხრივ, ასევე დონორების/არასამთავრობო სექტორის მიერ ორგანიზებულ მრავალმხრივ შეხვედრებში/განხილვებში ინფორმაციის გაზიარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. მაგალითად, 2021 წელს ჩატარებული ერთ-ერთი ასეთი აქტივობა მოიცავდა ახალარჩეულ პარლამენტის წევრებთან შეხვედრას, სადაც დეპუტატები გაეცნენ აუდიტის სამსახურის როლს საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში, სამსახურის ძირითად პროდუქტებსა და შედეგებს.

4.2 თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან

საჯარო ფინანსების მართვის სფეროში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სამსახურის სტრატეგიით განსაზღვრული ერთ-ერთი მიმართულებაა თანამშრომლობა მთავრობასთან. 2020-2021 წლებში აუდიტების მეთოდოლოგიების განახლებაში კიდევ უფრო დახვეწა აუდიტის ობიექტებთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის მიდგომები. კერძოდ, დაინერგა უკუკავშირის მექანიზმი აუდიტის ობიექტებთან, რომლის მიზანია აუდიტის პროცესის მუდმივი დახვეწა და გაუმჯობესება.

SAI-PMF-ის შეფასების შედეგებით სხელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლობა მთავრობასთან უმაღლესი - 4 ქულით შეფასდა.

სამსახურმა გამართა არაერთი ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრა საჯარო უწყებებთან, სადაც განხილულ იქნა აუდიტების შედეგად გამოვლენილი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა. ორგანიზაციების ხელმძღვანელობას მიენოდა ინფორმაცია არსებული გამოწვევებისა და ძირითადი მიგნებების/რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც მათი მხრიდან საჭიროებს დამატებით ყურადღებას.

საჯარო ფინანსების რეფორმის წარმატებით განხორციელებაში საკუთარი წვლილის შეტანის მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის სხვადასხვა უწყებათაშორისი საბჭოსა თუ სამუშაო ჯგუფის წევრი და აქტიურადაა ჩართული მათ ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და ვალდებულებების შესრულების პროცესში. ესენია:

- საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის საბჭო;
- საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის კოორდინაციისა და მონიტორინგის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი;
- საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სამუშაო ჯგუფი;
- ღია მმართველობის ფორუმი;
- ანტიკორუფციული საბჭო.

მთავრობასთან თანამშრომლობის ფარგლებში, აღსანიშნავია აუდიტის სამსახურის წვლილი მუნიციპალიტეტებში შიდა აუდიტის ფუნქციების გაძლიერებისა და ეფექტიანობის ამაღლების კუთხით. სამსახურის სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით, მუნიციპალური განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგკურსები: „შიდა აუდიტი – მუნიციპალიტეტებისთვის“ და „რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი“. აღნიშნული სასწავლო კურსები 2019-2021 წლებში გაიარა 178-მა საჯარო მოხელემ. კურსების სასწავლო პროგრამები მუნიციპალიტეტებში განხორციელებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა და მათი მიზანია, მუნიციპალიტეტებში შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებით საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

2019-2021 წლებში სამსახურის მიერ ორგანიზებული შიდა აუდიტის ტრენინგკურსები გაიარა მუნიციპალიტეტების 178-მა საჯარო მოხელემ.



4.3 თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან

აუდიტების ფარგლებში პერიოდულად გამოვლენილი დარღვევები, რომლებიც შესაძლოა შეიცავდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს კანონმდებლობით დადგენილი შემდგომი პროცედურების განსახორციელებლად. შესაბამისად, აუდიტის სამსახურისათვის არსებითად მნიშვნელოვანია სამართალდამცავ ორგანოებთან მჭიდრო და ეფექტიანი კომუნიკაცია, როგორც რისკის შემცველი ანგარიშების გადაგზავნის, ასევე გადაგზავნილ საკითხებზე რეაგირების სტატუსების მუდმივი მონიტორინგის კუთხით.

2018-2021 წლებში სამართალდამცავ ორგანოებში გაიგზავნა 114 აუდიტის ანგარიში ან კონკრეტული ინფორმაცია აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ, მათ შორის 2021 წელს – 19 (იხ. დანართი 3). საყურადღებოა, რომ გადაგზავნილი ანგარიშების/ინფორმაციის 68% ეხება მუნიციპალიტეტებს.

სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიწოდებულ საკითხებზე მონიტორინგის კუთხით, აღსანიშნავია, რომ პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშში ცალკე ქვეთავი დაეთმო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ განხორციელებულ რეაგირებასა და მიღწეული შედეგების მიმოხილვას. ასევე პროკურატურამ გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში „2018-2021 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურ-

რიდან მიღებულ ანგარიშებთან დაკავშირებით განხორციელებული რეაგირების შესახებ“.³⁵ ანგარიშის მიხედვით, სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და პროკურატურის მიერ გატარებული სამართლებრივი რეაგირების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტს აუნაზღაურდა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი, დაახლოებით, 850 ათასი ლარის ოდენობით.

4.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა

მედია და სამოქალაქო საზოგადოება საჭარო მმართველობის პროცესში მონაწილე მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს. სახელმწიფო აუდიტის სამსახური მუდმივად ზრუნავს ინოვაციური მიდგომების შემუშავებაზე, რომლებიც გააძლიერებს მათ როლსა და ჩართულობას საჭარო ფინანსების მართვაში, ასევე გაზრდის მათი ინფორმირებულობის ხარისხს სამსახურის საქმიანობისა და ძირითადი შედეგების შესახებ.

ამ მიმართულებით სტრატეგიით დასახული მიზნების შესასრულებლად, სამსახურმა ბოლო წლებში განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა სამოქალაქო საზოგადოებასთან, მედიასა და მოქალაქეებთან კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით. კერძოდ:

- განახლდა **სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი** (www.sao.ge), რომლის ახალი დიზაინი და ფუნქციონალი მომხმარებლებს მნიშვნელოვნად უადვილებს სამსახურის საქმიანობის შედეგებისა და ინფორმაციის მოძიებას/ანალიზს. ამასთანავე, ვებგვერდს დაემატა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირებული ფუნქციონალი (აუდიოგაზიარება, კონტრასტის ცვლილება, ტექსტის ზომის ცვლილება). აღნიშნულის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ვებგვერდის მომხმარებელთა რაოდენობა. ბოლო მონაცემებით, გვერდს ჰყავს 50 ათასზე მეტი უნიკალური მომხმარებელი. მხოლოდ 2021 წელს ვებგვერდის ნახვების რაოდენობამ 500 ათასს მიაღწია, ხოლო 2020-2021 წლებში ვებგვერდიდან 63 ათასზე მეტჯერ ჩამოიტვირთა სხვადასხვა დოკუმენტი;

SAI-PMF-ის შეფასების შედეგებით
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
თანამშრომლობა სამართალდამცავ
ორგანოებთან უმაღლესი - 4 ქულით
შეფასდა.

³⁵ <https://pog.gov.ge/uploads/b2b36124-infographic-31-pagenumber.pdf>

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საზოგადოებასთან კომუნიკაციის პლატფორმები:

სამსახურის ვებგვერდი

[WWW.SAO.GE](http://www.sao.ge)

ბიუჯეტის მონიტორი

[WWW.BUDGETMONITOR.GE](http://www.budgetmonitor.ge)

სოციალური ქსელი

პოლიტიკური ფინანსების
მონიტორინგის ვებგვერდი[WWW.MONITORING.SAO.GE](http://www.monitoring.sao.ge)

ქვეყნიურობის აუდიტის ბლოგი

[WWW.BLOG.SAO.GE](http://www.blog.sao.ge)

- შეიქმნა **ეფექტიანობის აუდიტის ბლოგი** (www.blog.sao.ge), სადაც განთავსებული სტატიები შეჯამებული სახით და მარტივად აღქმადი ენით აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი მიგნებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესახებ. ბლოგი მკითხველს საშუალებას აძლევს გამოთქვას საკუთარი მოსაზრება სხვადასხვა თემის შესახებ და მიიღოს დამატებითი ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან. 2020-2021 წლებში ბლოგზე გამოქვეყნდა 19 თემატური პოსტი;
- განახლდა **პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის პლატფორმა** (www.monitoring.sao.ge), რის შედეგადაც მომხმარებლებს მნიშვნელოვნად გაუმარტივდათ პოლიტიკური პარტიისა თუ საარჩევნო სუბიექტის შესახებ ვებგვერდზე განთავსებული შემოწირულების, ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი;
- საგრძნობლად გაიზარდა **სოციალური ქსელის** გამოყენება, რითაც საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა მარტივად და დროულად მიიღოს უახლესი ინფორმაცია აუდიტის ანგარიშებისა და ვებპლატფორმა – ბიუჯეტის მონიტორზე განთავსებული მონაცემების შესახებ. 2021 წელს სამსახურის ფეისბუქ გვერდის მომხმარებელთა რაოდენობამ 55 ათასს გადააჭარბა.


შეწყობის მიზნით სამსახური იყენებს ინოვაციურ მიდგომებსაც, როგორიცაა, ვებპლატფორმა – ბიუჯეტის მონიტორი (www.budgetmonitor.ge). ბიუჯეტის მონიტორი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, მიიღოს ამომწურავი ანალიტიკური ინფორმაცია სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენს კომუნიკაციის პლატფორმას, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ აუდიტის სამსახურს საჭირო ფინანსების მართვაში არსებული ხარვეზების შესახებ და ჩაერთონ წლიური აუდიტორული გეგმის ფორმირების პროცესში. პლატფორმამ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან აღიარება და რამოდენიმე საერთაშორისო ჭილდო მიიღო.

საზოგადოებასთან პროაქტიული კომუნიკაციის პროცესში, სამსახური უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებას წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმის ფორმირებისას. აუდიტის სამსახური მუდმივად იღებს მომართვებს სხვადასხვა საკითხის შესწავლისა და აუდიტის ჩატარების შესახებ მოქალაქეების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების, საკანონმდებლო ორგანოებისა თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. 2018-2021 წლებში სამსახურში შემოსული მომართვების უმეტესობა (33%) მიღებულია მოქალაქეებისგან. სხვადასხვა წყაროდან მიღებულ მომართვებს შორის მოქალაქეების წილი ყველაზე მაღალია. 2021-


გარდა ზემოაღნიშნული ინსტრუმენტებისა, მოქალაქეთა ინფორმირებისა და ჩართულობის ხელ-



დიაგრამა 17. 2018-2021 წლებში სამსახურის მიერ მიღებული მომართვები აუდიტის ჩატარების შესახებ კატეგორიების კრილში.



დიაგრამა 18. 2018-2021 წლებში სამსახურის მიერ მიღებული მომართვების გათვალისწინების მაჩვენებელი (%) წლების მიხედვით.



2022 წლების აუდიტორული გეგმების შედგენის პროცესში გათვალისწინებულ იქნა 2021 წელს მიღებული მომართვების 56%.


საჯარო ფინანსების მართვის გამჭვირვალობა-სა და ანგარიშვალდებულების, ისევე როგორც მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა აუდიტის სამსახურის ეფექტიანი თანამშრომლობა მედიასთან. სამსახური აქტიურად მუშაობს მედიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებაზე აუდიტის ანგარიშების, სამსახურის საქმიანობისა და ძირითადი პროდუქტების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული მიწოდებით.

აუდიტის სამსახური აქტიურად აკვირდება მედიის სხვადასხვა საშუალების გამოხმაურებასა და ინტერესს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით.

აუდიტის სამსახურის მიერ მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ძალისხმევა სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. სამსახური მუდმივად ცდილობს განავითაროს ინოვაციური მიდგომები, რაც გააძლიერებს საზოგადოების როლს საჯარო ფინანსების მართვის პროცესში.

SAI-PMF-ის შეფასების შედეგებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლობა მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან უმაღლესი - 4 ქულით შეფასდა.

დიაგრამა 19. 2018-2021 წლებში დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ 12,684 ერთეული მედიაგამოხმაურება.



4.5 საერთაშორისო თანამშრომლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტია ძირითად პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება. ამ კუთხით განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან სხვადასხვა პროექტისა და პროგრამის ფარგლებში.

2018-2021 წლებში სხვა ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მხარდაჭერით, წარმატებით განხორციელდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებმაც ხელი შეუწვევს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას, აუდიტორული და არააუდიტორული საქმიანობის გაუმჯობესებას. ამ პროექტებიდან აღსანიშნავია:

- *აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კარგი მმართველობის ინიციატივის პროექტი (Good Governance Initiative – GGI)* – პროექტის მიზანია სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაძლიერება, როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე. პროექტის ფარგლებში განახლდა სამსახურისა და სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ვებგვერდები, შეიქმნა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, გაძლიერდა აუდიტორთა პროფესიული შესაძლებლობები და სამსახურის IT ინფრასტრუქტურა, განხორციელდა ექსპერტული მხარდაჭერა სხვადასხვა მიმართულებით;
- *აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მმართველობა განვითარებისთვის (G4G) პროგრამა* – პროგრამა მოიცავს აუდიტის სამსახურისა და აშშ-ის მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურის აუდიტის დახელოვნების ცენტრს (GAO Center for Audit Excellence – GAO CAE) შორის თანამშრომლობის მხარდაჭერას. თანამშრომლობის ძირითადი საგანია ეფექტიანობის აუდიტის რეკომენდაციების ზეგავლენის შეფასების პრაქტიკის დანერგვა სამსახურში და

ამ მიმართულებით თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ორი აუდიტი;

- *ევროკავშირის (EU) ტექნიკური დახმარების პროექტი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება“* – სამწლიანი პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამსახურის საკანონმდებლო ჩარჩოს დანერგვა, მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სისტემების დანერგვა, აუდიტის მართვის სისტემის დანერგვა, აუდიტორთა შესაძლებლობების გაძლიერება და სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება;
- *გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტი „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერება 2030 დღის წესრიგის განხორციელების მონიტორინგისათვის“* – პროექტი მიზნად ისახავდა მონაწილე ქვეყნების (საქართველო, აზერბაიჯანი, ბელარუსი, სომხეთი და უკრაინა) უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახური პროექტში ჩართული იყო როგორც პროექტის მენტორი და რევიონში წამყვანი აუდიტორული ინსტიტუცია;
- *მსოფლიო ბანკის (WB) პროექტი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურში IT აუდიტის დანერგვა და განვითარება“* – პროექტის მხარდაჭერით აუდიტის სამსახურში დაინერგა IT აუდიტის მიმართულება, შემუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგიური ბაზა, გაძლიერდა IT აუდიტორთა პროფესიული შესაძლებლობები და უზრუნველყოფილ იქნა სამსახურის მზაობა ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის თანმდევი გამოწვევების საპასუხოდ;
- *საუდის არაბეთის სამეფოს ფონდის პროექტი „უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების გაუმჯობესებული შესაძლებლობები“* – 2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გაიმარჯვა საუდის არაბეთის სამეფოს გენერალური აუდიტის სასამართლოს მიერ დაფუძნებული ფონდის საგრანტო კონკურსში და მოიპოვა გრანტი 100 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. გრანტის ძირითადი მიზანია სამსახურის IT ინფრასტრუქტურის გაძლიერება თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ.



2021 წელს გამოქვეყნდა სამსახურის 2 სტატია INTOSAI-ის საჭარო აუდიტისა და EUROSAI-ის გარემოს აუდიტის სამუშაო ჯგუფის საერთაშორისო ჟურნალებში.

საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან წარმატებული თანამშრომლობის შედეგად 2021 წელს სამსახურის მიერ მიღებულმა ფინანსურმა მხარდაჭერამ, დაახლოებით 350 ათასი ლარი შეადგინა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო გაერთიანებების (INTOSAI, EUROSAI, ASOSAI) წევრი, აქტიურად არის ჩართული და მონაწილეობს აღნიშნული ორგანიზაციების ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების/ქვეჯგუფების საქმიანობაში, ასევე INTOSAI-ის განვითარების ინიციატივის (IDI) პროექტებსა და ვებინარებში. 2021 წელს სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 20-მდე საერთაშორისო ონლაინ კონფერენციასა და ვებინარში, რომელთა შორისაც აღსანიშნავია სახელმწიფო ვალის, IT აუდიტისა და დიდი მონაცემების სამუშაო ჯგუფების; ეფექტიანობის აუდიტის ქვეკომიტეტის; დონორებთან თანამშრომლობის მმართველი კომიტეტისა და ეთიკის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან საჭარო აუდიტის უახლესი მიდგომების გაზიარების, პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. სამსახურის ძირითადი პარტნიორებია აშშ-ს, ნიდერლანდების, ლატვიის, გერმანიის, პოლონეთის, ფინეთის, თურქეთის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციები.

უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო ჟურნალებში აუდიტის საინტერესო მიგნებებისა და საკუთარი გამოცდილების შესახებ სტატიების გამოქვეყნებით, აუდიტის სამსახურს თავისი წვლილი შეაქვს უკეთესი საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებასა და ჩამოყალიბებაში. 2021 წელს გამოქვეყნდა სამსახურის ორი სტატია INTOSAI-ის საჭარო აუდიტისა³⁶ და EUROSAI-ის გარემოს აუდიტის სამუშაო ჯგუფის³⁷ საერთაშორისო ჟურნალებში.

³⁶ სტატია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საგარეო ვალის აუდიტის პრაქტიკა“.

³⁷ სტატია „წყალდიდობებით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობის მართვის“ ეფექტიანობის აუდიტის შესახებ.

A decorative header consisting of ten vertical bars of equal height. The first nine bars are light gray, and the tenth bar on the right is a solid blue color.

5.

შიდა მმართველობა
და ორგანიზაციული კულტურა

შიდა მმართველობის გამართული სისტემის არსებობა და ჩამოყალიბებული ორგანიზაციული კულტურა, უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სამსახურის წარმატებისა და უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისათვის. იგი ხელს უწყობს სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების დროულად მიღწევას არსებული რესურსების ეფექტიანი განაწილებითა და ოპერაციული თუ რეპუტაციასთან დაკავშირებულ ეთიკური რისკების მართვით.

აუდიტის სამსახური ორიენტირებულია მმართველობითი სისტემების გაძლიერებით საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაზე, რომელიც შეძლებს ცვალებად გარემოში წარმოქმნილი შიდა და გარე გამოწვევების დაძლევის, ძლიერი მხარეების მეტად განვითარებას, საზოგადოებისთვის მეტი ღირებულების შექმნასა და ამ კუთხით საჯარო სექტორში სანიმუშო ორგანიზაციად ჩამოყალიბებას. აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შიდა ორგანიზაციული გარემოს მართვას, რაც გამოიხატება მმართველობითი სისტემების გაუმჯობესებაში, ეთიკური ღირებულებების განმტკიცებაში, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაში, სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვის პროცესის დახვეწასა და საქმიანობის ხარისხის ამაღლებისკენ მუდმივ სწრაფვაში.

5.1 მმართველობის სისტემების გაძლიერება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის პრიორიტეტები, საშუალოვადიან პერიოდში მისაღწევი ძირითადი შედეგები და განსახორციელებელი აქტივობები ასახულია სამსახურის სტრატეგიული განვითარების გეგმაში.³⁸ სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების დროულად და ეფექტიანად შესრულებისათვის, სამსახური ოპერაციულ დონეზე შეიმუშავებს წლიურ სამოქმედო გეგმებს, რომელიც მოიცავს როგორც აუდიტორულ, ასევე არააუდიტორულ აქტივობებს. გამართული შიდა ორგანიზაციული დაგეგმვის პროცესი ინსტიტუციის წარმატებული ფუნქციონირების საწინდარია.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუდიტის სამსახური 2019 წლიდან ჩართულია INTOSAI IDI-ის პროექტში „სტრატეგიის შესრულების შეფასება და ანგარიშგება“. პროგრამა მიზნად ისახავს INTOSAI-ს წევრი ქვეყნების სტრატეგიული და ოპერაციული მართვის სისტემის გაძლიერებას. სამსახურმა 2021 წელს მონაწილეობა მიიღო პროექტის ბოლო ეტაპის – მონიტორინგისა და ანგარიშგების შეხვედრებში, რასაც წინ უძღვოდა ოპერაციული დაგეგმვის კუთხით უკეთესი საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის ეტაპი. პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნითა და IDI-ის ექსპერტების ჩართულობით, სამსახურმა არსებული გამოწვევების საპასუხოდ განაახლა 2018-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.

„სანდო, გამჭვირვალე და ეფექტიანი უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება თავის მოქალაქეებს და მაგალითს აძლევს მათ“ – ამ სიტყვებით შეაფასა INTOSAI IDI-მ სახელმწიფო აუდიტის სამსახური წარმატებული პრაქტიკების რუბრიკაში გამოქვეყნებულ სტატიაში,³⁹ რაც სამსახურში დანერგილი სტრატეგიული მართვის ჩარჩოს საერთაშორისო აღიარების მაჩვენებელია. აღნიშნულის ნათელი დასტურია ასევე SAI-PMF-ის შედეგები, რომელმაც სამსახურის „სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვის“ პრაქტიკა უმაღლესი – 4 ქულით შეაფასა.

SAI-PMF-ის შეფასების შედეგებით
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
სტრატეგიული და ოპერაციული
დაგეგმვის პრაქტიკა უმაღლესი -
4 ქულით შეფასდა.

³⁸ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.

³⁹ IDI, „The State Audit Office of Georgia's continuous pursuit of excellence in strategic management,“ Norway: IDI, 2021, <https://idi.no/work-streams/well-governed-sais/about/success-stories/georgia>

5.2 ეთიკური გარემოს გაუმჯობესება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის პრიორიტეტული ამოცანაა ეთიკური ღირებულებების განმტკიცებაზე მუდმივი ზრუნვა, რათა შიდა ორგანიზაციულმა სისტემებმა უზრუნველყოს საოპერაციო და რეპუტაციული რისკების დროული გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება.

SAI-PMF-ის შეფასების შედეგებით სხელმწიფო აუდიტის სამსახური „ორგანიზაციის ეთიკური გარემოსა და კეთილსინდისიერების“ კომპონენტში უმაღლესი - 4 ქულით შეფასდა.

2018 წელს ნიდერლანდების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის მხარდაჭერით შეფასდა სამსახურის კეთილსინდისიერების გარემო IntoSAINT-ის მეთოდოლოგიით, რომელიც სამსახურში არსებული რისკების გამოვლენითა და შესაბამისი პოლიტიკის მექანიზმების შემუშავების გზით კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. შეფასების შედეგების გათვალისწინებით:

- განახლდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, რომელშიც სრულად აისახა ISSAI-ის სტანდარტების (ISSAI 130) მოთხოვნები;
- 2021 წელს სამსახურში შეიქმნა ეთიკის კომისია, რომლის მიზანია ეთიკური კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა და ეთიკის კოდექსით დეკლარირებული ღირებულებების შესაძლო დარღვევების პრევენციის/გამოვლენისა და დარღვევებზე რეაგირების სისტემის ჩამოყალიბება;
- შემუშავდა ეთიკის სახელმძღვანელო, რომელიც სამსახურის თანამშრომლებს უზრუნველყოფს დეტალური ინფორმაციით ეთიკური ღირებულებებისა და სტანდარტების შესახებ,

კონკრეტული მაგალითების საშუალებით. სახელმძღვანელოს მიზანია სამსახურის თანამშრომლებმა პრაქტიკაში დაამკვიდრონ ეთიკის კოდექსში დეკლარირებული პრინციპები;

- ეთიკური ღირებულებების განმტკიცების მიზნით, სამსახურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები ეთიკის სახელმძღვანელოს გაცნობის მიზნით.

2022 წელს ნიდერლანდებისა და ლატვიის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების ერთობლივი მხარდაჭერით, სამსახურში განმეორებით ჩატარდა კეთილსინდისიერების გარემოს შეფასება IntoSAINT-ის მეთოდოლოგიით, რომელიც კომპლექსურად აფასებს ორგანიზაციაში არსებულ ეთიკურ გარემოსა და სტანდარტებს. ბოლო წლებში მიღწეული პროგრესი აისახა შეფასების შედეგებშიც. ყველა კომპონენტში სახელმწიფო აუდიტის სამსახური უმაღლესი ქულებით შეფასდა.

ამ მიმართულებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატება აჩვენა ასევე SAI-PMF-ის შეფასების შედეგებმაც. „ორგანიზაციის ეთიკური გარემოსა და კეთილსინდისიერების“ კომპონენტში სამსახურმა უმაღლესი – 4 ქულა მიიღო, რაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურში არსებულ საერთაშორისო სტანდარტის კორპორაციულ კულტურაზე მიუთითებს და სამსახურს ევროპის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების გვერდით აყენებს.

2022 წელს სამსახურის კეთილსინდისიერების გარემო შეფასდა INTO SAINT-ის მეთოდოლოგიით. შეფასების ყველა კომპონენტში სამსახურმა უმაღლესი ქულა დაიმსახურა.



5.3 შიდა ინფორმაციული სისტემები და უსაფრთხოება

თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში არსებული გამოწვევების პირობებში, სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა პანდემიის პირობებში, თანამშრომელთა დისტანციური მუშაობის გარემოში ბიზნესპროცესების უწყვეტობისა და ეფექტიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით. შესაბამისად, ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და IT აუდიტის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, სამსახური განაგრძობს მნიშვნელოვან ინვესტირებას.

2021 წელს შეიქმნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის IT განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და შესაბამისი ინფორმაციული უსაფრთხოების საოპერატიული გეგმა.

თანამედროვე საჯარო მმართველობის პირობებში, როდესაც ელექტრონული მმართველობა სულ უფრო აქტუალური ხდება, მზარდი კიბერსაფრთხეების ფონზე არსებითად გაიზარდა ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების მნიშვნელობა. 2018-2021 წლებში აუდიტის სამსახურმა დანერგა კონტროლის ისეთი სისტემები, რომლებიც პასუხობს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიურ გამოწვევებს და უზრუნველყოფს სამსახურის ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით გამართულ ფუნქციონირებას.

ინფორმაციული სისტემების გაუმჯობესებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურში ფუნქციონირებს ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია ამ მიმართულებით პოლიტიკის განხორციელებასა და განახლებაზე. ასევე, სამსახურს 2017 წლიდან ჰყავს ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცერი, რომელიც პერიოდულად აფასებს სამსახურის IT გარემოს უსაფრთხოებას სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით. ამ შეფასებების საფუძველზე, 2021 წელს შემუშავდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის IT განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და შესაბამისი ინფორმაციული უსაფრთხოების საოპერატიული გეგმა. ასევე აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სამსახურმა შეიმუშავა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროცედურების სხვადასხვა დოკუმენტი.

ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის დაცვის კუთხით არსებული რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით, აუდიტის სამსახური აქტიურად განაგრძობს მუშაობას IT უსაფრთხოების პოლიტიკებისა და პროცედურების დანერგვასა და გაუმჯობესებაზე, რათა მაქსიმალურად დაუახლოვდეს უსაფრთხოების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს (ISO 27000). 2022 წლის ბოლოსთვის დაგეგმილია სამსახურის შეფასება ISO 27001 საერთაშორისო სტანდარტის სერტიფიცირების მიზნით.



6.

თანამშრომელთა პროფესიული
განვითარება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფუნქციისა და დასახული სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა. ადამიანური რესურსი სამსახურის ძირითადი აქტივია. სწორედ ამიტომ, სამსახურის მიერ განხორციელებული ყველა აქტივობა და საერთაშორისო პარტნიორებისგან მიღებული მხარდაჭერა მიმართულია ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერებაზე.


სამსახურმა 2018-2021 წლებში თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით მრავალი მნიშვნელოვანი აქტივობა განახორციელა. 2018 წლიდან შეიქმნა და დაინერგა საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული თანამშრომელთა შეფასების მექანიზმი, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებები, მათი პროფესიული კვალიფიკაციის გამოყენების პერსპექტივები და ნახალისების წინაპირობები. თანამშრომელთა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სამსახური ყოველწლიურად შეიმუშავებს საჯარო მოხელის პროფესიული განვითარებისა და ტრენინგების წლიურ გეგმას, რომელიც ემსახურება თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაძლებლობების გაძლიერებას. ამასთანავე, შეფასების შედეგების საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება თანამშრომელთა დანიშნულების შესახებ.

აუდიტის სამსახურში დასაქმებულია **320** თანამშრომელი, სიღრმე **75%** - პროფესიული შტატი და **25%** — დამხმარე პერსონალი.


სამსახურმა განაახლა ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, ასევე შემუშავდა მოხელეთა პროფესიული და კარიერული განვითარების წესი. სამსახურის წინაშე არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, ყოველწლიურად იქმნება ახალი თანამშრომლების მოზიდვის წლიური გეგმა.





2021 წელს აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო 320 თანამშრომელი (პროფესიული საჯარო მოხელეები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები). ორგანიზაციის თანამშრომელთა 75%-ს პროფესიული შტატი შეადგენს, ხოლო 25% – დამხმარე პერსონალია. აღსანიშნავია, რომ სამსახურში სრულად არის დაცული გენდერული ბალანსი.

გენდერული განაწილება



პროფესიული და დამხმარე შტატი






სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარისხი დამოკიდებულია თანამშრომლების ცოდნასა და პროფესიონალიზმზე. შესაბამისად, გამოცდილი და კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და მოტივაციის ამაღლება პრიორიტეტია და სამსახურის მუდმივი ზრუნვის საგანია, განსაკუთრებით აუდიტორულ სფეროში არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ 2018-2021 წლებში შეფასების შედეგების გათვალისწინებით დაინაწილა 200-მდე თანამშრომელი, მათ შორის 2021 წელს 50 თანამშრომელი.

თანამშრომელთა როგორც პროფესიული, ასევე სხვა უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სამსახური ხელს უწყობს


მათ მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგკურსებსა და სამუშაო შეხვედრებში. 2021 წელს სხვადასხვა მიმართულებით ტრენინგი გაიარა 224-მა თანამშრომელმა. აღნიშნული სასწავლო კურსები მოიცავდა როგორც აუდიტორულ, ასევე არააუდიტორულ და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლები ასევე აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა მნიშვნელოვან ადგილობრივ და საერთაშორისო სასერთიფიკაციო პროგრამებში, როგორებიცაა, სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის საჯარო სექტორის აუდიტორთა სასერთიფიკაციო პროგრამა, ACCA, CFA, CFM, CISA და სხვ.

დიაგრამა 20. 2021 წელს გადამზადებულ თანამშრომელთა განაწილება მიმართულებების მიხედვით.



დიაგრამა 21. აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული სერტიფიკატები.



დღე დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტაჟიორს შესაძლებლობა ეძლევა დასაქმდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში. 2018 წელს გამოცხადებულ სტაჟირების პროგრამაზე სამსახურმა შეარჩია 20 ადამიანი, რომელთაგანაც 15 დასაქმდა აუდიტის სამსახურში, ხოლო 2020 წელს პროგრამის ფარგლებში შერჩეული 19 მონაწილიდან 2021 წელს დასაქმდა 18 აუდიტორ-სტაჟიორი.

თანამშრომელთა პროფესიული განვითარების, მოტივაციის ამაღლებისა და სათანადო სამუ-

აუდიტორულ სფეროში არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში, აუდიტის სამსახურისთვის ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს კვალიფიციური კადრების მოზიდვა. შედეგად, სამსახურის ინიციატივით, 2018 წელს შეიქმნა სტაჟირების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს პერსპექტიული კადრების მოზიდვას, მათ პროფესიულ განვითარებასა და ამ გზით სამსახურის საქმიანობის გაძლიერებას. სტაჟირების პროგრამა გრძელდება 6 თვიდან 12 თვემდე, რომლის განმავლობაში სტაჟიორს საშუალება აქვს მიიღოს სიღრმისეული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და დაეუფლოს პროფესიულ უნარებს. სტაჟირების გავლის შემ-

SAI-PMF-ის შეფასების შედეგებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური „უღმრთესი რესურსების მართვისა“ და „პროფესიული განვითარების/ტრენინგების“ კომპონენტებში უმაღლესი - 4 ქულით შეფასდა.

შაო გარემოს ჩამოყალიბების მიმართულებით სამსახურის მიერ ბოლო წლებში გატარებული პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა თანამშრომელთა გადინების მაჩვენებელი. 2021 წელს თანამშრომელთა გადინების მაჩვენებელმა 5% შეადგინა, რაც შეესაბამება სამსახურის სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნობრივ ნიშნულს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ადამიანური რესურსების მართვისა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების კუთხით არსებულ მაღალ სტანდარტზე მიუთითებს SAI-PMF-ის შეფასების შედეგები, რომლის მიხედვით, სამსახურმა „ადამიანური რესურსების მართვისა“ და „პროფესიული განვითარების/ტრენინგების“ კომპონენტებში უმაღლესი შეფასება – 4 ქულა მიიღო.

6.1 სსიპ – საქარო აუდიტის ინსტიტუტის საქმიანობა


აუდიტის სამსახურისა და ზოგადად, საქარო სექტორში ადამიანური რესურსების განვითარების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს სსიპ

– საქარო აუდიტის ინსტიტუტი.⁴⁰ ინსტიტუტის პირველადი ფუნქციაა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ინსტიტუტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მოსამსახურეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა, მათი ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, შესაბამისი სასწავლო კურსების შემუშავება და ტრენინგების ჩატარება.


საქარო აუდიტის ინსტიტუტი 2012 წელს შეიქმნა და ორი ძირითადი მიმართულებით საქმიანობდა – საქარო სექტორის აუდიტორული მომსახურება და საქარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირება. 2019 წლიდან ინსტიტუტმა აუდიტორული საქმიანობა შეწყვიტა და ძირითად მიმართულებად საგანმანათლებლო პროფილი აირჩია. ბოლო სამი წლის განმავლობაში ინსტიტუტის მიზანმიმართულმა პოლიტიკამ, სწორმა სტრატეგიულმა ხედვამ და რესურსების ეფექტურმა გამოყენებამ, ინსტიტუტი საგანმანათლებლო სექტორში კონკურენტუნარიან და წარმატებულ ორგანიზაციად ჩამოაყალიბა.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ განხორციელებული ტრენინგებიდან მიღებული შემოსავლების მოცუ-

დიაგრამა 22. 2018-2021 წლებში სსიპ – საქარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ტრენინგკურსების რაოდენობა.



დიაგრამა 23. სსიპ – საქარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ სერტიფიცირებულ აუდიტორთა რაოდენობა – 2018-2021 წწ.



⁴⁰ <http://www.sai.ge/ka/>

ლობა მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდება და 2017 წელთან შედარებით 355%-ით გაიზარდა, 540 ათას ლარამდე. შედეგად, 2021 წელს ინსტიტუტის წმინდა მოგებამ 129 ათასი ლარი შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაციის დამოკიდებულება სახელმწიფო ბიუჯეტზე წლიდან წლამდე მცირდება.

ინსტიტუტი სასწავლო კურსებს ახორციელებს 5 ძირითადი მიმართულებით: ტრენინგები სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის; საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამა; ტრენინგები კომერციული მიმართულებით; მუნიციპალური განვითარების პროგრამა; საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამები.

საჯარო აუდიტის ინსტიტუტი ტრენინგებს ატარებს როგორც აუდიტის სამსახურის თანამშრომლებსათვის, ასევე გარე აუდიტორიისთვის. 2018 წლიდან 2021 წლის ჩათვლით პერიოდში ინსტიტუტმა ჩაატარა 100-მდე ტრენინგკურსი. 2021 წელს ინსტიტუტის მიერ დაგეგმილ 40-მდე სასწავლო ღონისძიებასა და ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 1,092-მა მსმენელმა. საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგ-

2018-2021 წლებში ჩატარებული ორი სტაჟირების პროგრამის ფარგლებში სამსახურში დასაქმდა 32 ადამიანი.

რამა გაიარა 52-მა პირმა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური განვითარების პროგრამის მიმართულებით, ტრენინგკურსებში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტების 73 წარმომადგენელი.

საჯარო აუდიტის ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან და კერძო აუდიტორულ კომპანიებთან. კერძოდ, საქართველოს მასშტაბით ინსტიტუტს მემორანდუმი გაფორმებული აქვს 26 უნივერსიტეტთან და წამყვან საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიებთან, ე.წ. დიდ ოთხეულთან.



7.

პოლიტიკური პარტიების
დეფინანსების გამჭვირვალობისა და
ენგერიშვალდებულების ხელშეწყობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, კანონით მინიჭებული მანდატის ფარგლებში, ახორციელებს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგს და მჭიდროდ თანამშრომლობს პოლიტიკურ პარტიებთან და არჩევნებში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან. განხორციელებული საქმიანობის გამჭვირვალობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სამსახურის მოწვევით, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შექმნილია საინფორმაციო/საკონსულტაციო კომისია. კომისიის ფარგლებში განიხილება წარმოდგენილი დეკლარაციები, მიღებული საჩივრები, აგრეთვე შემოწირულებებთან დაკავშირებული ხარვეზები და განხორციელებული რეაგირებები.

საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებულობის მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განაახლა პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის ვებპლატფორმა.⁴¹ განახლების მიზანი იყო პლატფორმასთან მუშაობის გამარტივება გარე მომხმარებლებისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის. შემოწირულების ძიების, პარტიების ხარჯებისა და შემოსავლების დამუშავების ბევრად მოქნილი და გამარტივებული სისტემა საშუალებას აძლევს პლატფორმასთან მომუშავე პირებს სწრაფად და მარტივად მოიპოვონ საძიებო სისტემებში სასურველი პარტიისა თუ საარჩევნო სუბიექტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია.

აღსანიშნავია ასევე, რომ 2021 წელს საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე:

- სამსახურმა შეიმუშავა „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ახალი წესი;⁴²
- ანგარიშგების ფორმებს დაემატა ინფორმაცია სესხის/კრედიტისა და გენდერული ნიშნით მიღებული დაფინანსების შესახებ;
- პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მარეგულირებელ წესში დაიხვეწა საარჩევნო კამპანიის ფონდის განმარტება, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წესი და სხვა რეგულაციები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2018-2021 წლებში განახორციელა 3 საერთო⁴³ და 6 შუალედური⁴⁴ არჩევნების მონიტორინგი, რომელთა შედეგად შეისწავლა ინფორმაცია დაახლოებით 4,400 შემომწირველი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავლების შესახებ და სასამართლოში გადააგზავნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 86 საქმე.

2021 წლის აღმოსავლეთი
თეთრთაქველადი პრეზენტაცია
დაკავშირებით სამსახურმა
თბილისის საქალაქო სასამართლოში
გადააგზავნა ადმინისტრაციული
სამართალდარღვევის 35 საქმე.

⁴¹ <https://monitoring.sao.ge/ka>

⁴² <https://matsne.gov.ge/document/view/5237330?publication=0>

⁴³ 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები; 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები; 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები.

⁴⁴ საკრებულოებისა და მუნიციპალიტეტის მერების 2020 წლის 31 ოქტომბრის შუალედური არჩევნები; საქართველოს პარლამენტისა და საკრებულოების შუალედური და მუნიციპალიტეტების მერების 2019 წლის 19 მაისის რიგგარეშე არჩევნები; საკრებულოების 2019 წლის 27 ოქტომბრის შუალედური არჩევნები; საკრებულოს 2018 წლის 28 ოქტომბრის შუალედური არჩევნები; საკრებულოს 2018 წლის 13 მაისის შუალედური არჩევნები; საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 28 აპრილის შუალედური არჩევნები.

რაც შეეხება უშუალოდ 2021 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშები, რა დროსაც გამოვლინდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების დარღვევით (ნაღდი ანგარიშსწორებით) პარტიის საბანკო ანგარიშზე შემოწირულების განხორციელების ფაქტები. აღნიშნულ შემთხვევებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თანხის დაბრუნების მოთხოვნით მიმართა საარჩევნო სუბიექტებს, რის შედეგადაც დარღვევები აღმოიფხვრა.


2021 წელს სამსახურმა თბილისის საქალაქო სასამართლოში გადააგზავნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 35 საქმე, მათ შორის 9 პოლიტიკური პარტიის, ერთი იურიდიული პირის, ერთი ფიზიკური პირისა და 18 დამოუკიდებელი კანდიდატის შესახებ (დეტალურად იხ. დანართი 4).

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები შედგებოდა ორი ტურისგან. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოამზადა შუალედური შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც OSCE/ODIHR-ის რეკომენდაციით რამოდენიმე წელია ქვეყნდება არჩევნებამდე. ასევე, მომზადდა შემაჯამებელი ანგარიში არჩევნების დასრულების შემდეგ. სამსახურის ვებგვერდზე განთავსებულია საარჩევნო კამპანიის დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია.

2021 წელს სამსახურმა შეისწავლა ინფორმაცია დაახლოებით 1,500 შემომწირველი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავლების შესახებ. დამუშავდა აღნიშნული მასალა და განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

პოლიტიკური დაფინანსების მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარების კუთხით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება აუდიტის სამსახურის მხრიდან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის გამართულ ღონისძიებებში ჩართულობას. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ევროპის საბჭოსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა დისტანციური ტრენინგი – „პოლიტიკური შემოწირულებები და ფინანსური დეკლარაციები – საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა“, რომელიც მიზნად ისახავდა პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის პროცესში საერთაშორისო სტანდარტების შესახებ გამოცდილების გაზიარებას. ასევე, გაიმართა დისტანციური ტრენინგი – „პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგი – მოკვლევა და შესაძლო სამართალდარღვევების პრევენცია“.





8.


სამსახურის ფინანსები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის ბიუჯეტი 16.8 მლნ ლარით განისაზღვრა. ფაქტობრივად გაწეულმა გადასახდელებმა 15.5 მლნ ლარი და გეგმის 92.4% შეადგინა. სამსახურის ძირითადი ხარჯთა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება,⁴⁵ რაზეც 13.3 მლნ ლარი მიიმატა (მთლიანის ბიუჯეტის 85%). ასევე, IT ინფრასტრუქტურის მოწოდებისა და განვითარების მიზნით, 2021 წელს გამოიყო 411 ათასი ლარი, რის შედეგადაც შესყიდულ იქნა კომპიუტერული ინფრასტრუქტურა, ქსელური მოწყობილობები და უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფის სისტემები.

საანგარიშგებო პერიოდში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 40 ელექტრონული ტენდერი და სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გააფორმა 33 ხელშეკრულება.

SAI-PMF-ის შეფასების შედეგებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „ფინანსური მართვის სისტემა“ უმაღლესი - 4 ქულით შეფასდა.


დიაგრამა 24. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის გეგმური მოცულობა (მლნ ლარი) – 2018-2021 წწ.




2018-2021 წლების ფინანსურ ანგარიშგებაზე სამსახურმა მიიღო დამოუკიდებელი აუდიტორის (Deloitte, PwC) უპირობო დასკვნა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ატარებს საქართველოს პარლამენტის მიერ შერჩეული მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი. 2018-2019 წლების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი განახორციელა Deloitte-მა, ხოლო 2020-2021 წლების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი – PwC-იმ. ყველა შემთხვევაში სამსახურმა მიიღო უპირობო დასკვნა, რაც ნიშნავს იმას, რომ სამსახურის ფინანსური ანგარიშგება სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. სამსახურის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი აუდიტის დასკვნა იხ. დანართ 6-ში.

დიაგრამა 25. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის ბიუჯეტის სტრუქტურა (ფაქტი).



⁴⁵ შრომის ანაზღაურება მოიცავს შტატიტ გათვალისწინებულ და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა ანაზღაურებას.



9.

მომავლის ხედვა და არსებული
გამოწვევები

შედგგე ორიენტირებული და ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუდიტის სამსახური მუდმივად აანალიზებს ორგანიზაციის წინაშე არსებულ შიდა და გარე გამოწვევებს, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მათთან გამკლავების საუკეთესო საშუალებების მოძიებასა და მათი განვითარების შესაძლებლობად გარდაქმნას. საჯარო სექტორში არსებული სირთულეები და ცვლილებები გამოწვევა არა მხოლოდ აუდიტის სამსახურისთვის, არამედ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვისაც, რაც კიდევ უფრო ზრდის სამსახურის როლს ამ პროცესებში.

ბიზნესპროცესის უწყვეტობა კორონავირუსით (Covid-19) გამოწვეული პანდემიისა და გეოპოლიტიკური რისკების პირობებში

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პანდემიამ, ხოლო 2022 წელს რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკურმა პროცესებმა, შეცვალა როგორც მსოფლიოს, ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენცია და ახალი გამოწვევები წარმოქმნა საჯარო მმართველობის სფეროში. მსოფლიო და რეგიონალური მასშტაბის კრიზისებით განპირობებული ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფისკალური პოლიტიკის პასუხების სწორად განსაზღვრას. ამ კუთხით გაზრდილია, ერთი მხრივ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის როლი, ხოლო მეორე მხრივ, სამსახურის წინაშე არსებული ინსტიტუციური რისკები.

დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს საგადასახადო შემოსავლების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება, რაც გამოიხატება საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებისა და საგადასახადო მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით რწმუნების გამოთქმაში. ამ მიმართულებით მთავარ გამოწვევას წარმოადგენს კანონმდებლობაში საგადასახადო შემოსავლების აუდიტის ჩატარების მანდატის ნათლად წარმოჩენა, რაც კიდევ უფრო აქტუალური ხდება მთავრობის მიერ IPSAS-ის სტანდარტებით მომზადებული კონსო-

ლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების ვალდებულების გაჩენისას. მნიშვნელოვანია, ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით აუდიტის სამსახურის საკანონმდებლო ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

აუდიტორული საქმიანობით ბიუჯეტისა და სექტორების ფართო დაფარვა

ბიუჯეტისა და სექტორული დაფარვის მაჩვენებლის გაზრდა აუდიტის სამსახურის გამოწვევად რჩება. საერთაშორისო მოთხოვნებთან (SAI-PMF, PEFA) სრულად შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, 2017-2021 წლებში სამსახურმა ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი 81%-დან 90%-მდე გაზარდა. თუმცა აღნიშნული მაჩვენებლის შენარჩუნება და შემდგომი ზრდა დაკავშირებულია ბევრი მცირე ბიუჯეტიანი უწყების აუდიტთან, რაც დამატებით აუდიტორულ რესურსს მოითხოვს.

აუდიტის სამსახურის მანდატი საკმაოდ ფართოა და მოიცავს მხარჯავ დაწესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, საბიუჯეტო ორგანიზაციებს საქართველოს 2 ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე 63 მუნიციპალიტეტს (69 მუნიციპალიტეტს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩათვლით) და 400-მდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოს. სამსახურისთვის გამოწვევად რჩება სახელმწიფო საწარმოების დაფარვისათვის საჭირო რესურსის გამოყოფა და ამავდროულად, ნაერთი ბიუჯეტისა და სექტორული დაფარვის მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება.

კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა და შენარჩუნება

სამსახურის უმთავრეს ინტელექტუალურ რესურსს პროფესიული კადრები შეადგენს. აუდიტის სფეროში, განსაკუთრებით კერძო სექტორში, არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში, სამსახურისათვის გამოწვევად რჩება ადამიანური რესურსების გადინების დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნება და კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა. აღნიშნული გამოწვევა განსაკუთრებით მწვავედ დგას IT აუდიტორების შემთხვევაში.




რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი

საჯარო მმართველობის გაუმჯობესებისა და მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნისათვის სამსახური გასცემს რეკომენდაციებს. აუდიტორული საქმიანობის სარგებელი გამოიხატება შესრულებული რეკომენდაციების რაოდენობაში, რაც დღემდე გამოწვევად რჩება. ამ გამოწვევის საპასუხოდ სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (ARIS). სისტემის პრაქტიკაში სრულად ამოქმედება და დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით პარლამენტის აღნიშნულ პროცესში აქტიური ჩართვა, სისტემის წარმატებული დანერგვის საფუძველია.

ინფორმაციული უსაფრთხოება

სამსახური აცნობიერებს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და განკარგვას. შესაბამისად, სამსახური აგრძელებს მუშაობას ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობისა და ტექნიკური პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით.



დენერტიზი

დანართი 1. 2021 წელს ჩატარებული აუდიტები

11 ფინანსური აუდიტი	
1	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
2	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
3	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
4	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსური აუდიტი
5	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
6	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
7	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი
8	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
9	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ბუღალტრული ანგარიშგების ფინანსური აუდიტი
10	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი
11	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი
22 შესაბამისობის აუდიტი	
12	სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემური საკითხები
13	ა(ა)იპ – საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
14	სსიპ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
15	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2019-2020 წლების შესაბამისობის აუდიტი
16	პროექტ „დანერგე მომავალი“-ს შესაბამისობის აუდიტი
17	სსიპ – დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს მიერ დახარჯული საბიუჯეტო სახსრების შესაბამისობის აუდიტი
18	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა სამინისტროში „დევნილთა ჩასახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში დახარჯული საბიუჯეტო სახსრების შესაბამისობის აუდიტი
19	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი
20	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
21	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
22	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
23	სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 წლების შესაბამისობის აუდიტი
24	მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
25	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
26	მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
27	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
28	სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
29	სენაკის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
30	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
31	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
32	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
33	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

80 

დანართი 2. 2017 წლისა და 2022 წლის SAI-PMF შეფასების შედეგები

ინდიკატორის დასახელება		წელი	მიმართულებები				ჯამური შეფასება	ცვლილება 2017 წელთან
			i	ii	iii	iv		
სფერო A. დამოუკიდებლობა და სამართლებრივი ჩარჩო								
SAI-1	აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობა	2017	3	4	3	2	3	≥
		2022	3	4	4	2	3	
SAI-2	აუდიტის სამსახურის მანდატი	2017	1	2	3		2	≥
		2022	1	2	4		2	
სფერო B. შიდა მმართველობა და ეთიკა								
SAI-3	სტრატეგიული დაგეგმვა	2017	3	4	4	3	3	↑
		2022	4	4	4	3	4	
SAI-4	ორგანიზაციული კონტროლის გარემო	2017	0	1	2	2	1	↑
		2022	4	3	4	4	4	
SAI-6	მმართველობა და შიდა კომუნიკაცია	2017	2	4			3	↑
		2022	4	4			4	
SAI-7	აუდიტის დაგეგმვის პროცესი	2017	3	1			2	↑
		2022	4	3			3	
სფერო C. აუდიტის ხარისხი და ანგარიშგება								
SAI-8	აუდიტის დაფარვა	2017	0	3	2		2	≥
		2022	0	4	2		2	
SAI-9	ფინანსური აუდიტის საფუძვლები	2017	4	3	2		3	≥
		2022	4	3	3		3	
SAI-10	ფინანსური აუდიტის პროცესი	2017	1	1	2		1	↑
		2022	3	3	3		3	
SAI-11	ფინანსური აუდიტის შედეგები	2017	3	4	2		3	↑
		2022	3	4	4		4	
SAI-12	ეფექტიანობის აუდიტის საფუძვლები	2017	4	3	2		3	↑
		2022	4	3	4		4	
SAI-13	ეფექტიანობის აუდიტის პროცესი	2017	3	3	3		3	=
		2022	3	3	3		3	
SAI-14	ეფექტიანობის აუდიტის შედეგები	2017	0	3	3		2	↑
		2022	2	4	4		3	
SAI-15	შესაბამისობის აუდიტის საფუძვლები	2017	2	3	1		2	↑
		2022	4	3	3		3	
SAI-16	შესაბამისობის აუდიტის პროცესი	2017	0	1	2		1	↑
		2022	4	3	3		3	
SAI-17	შესაბამისობის აუდიტის შედეგები	2017	3	2	2		2	↑
		2022	1	4	4		3	

სფერო D. ფინანსური მენეჯმენტი, აქტივები და დამხმარე სერვისები								
SAI-21	ფინანსური მენეჯმენტი, აქტივები და დამხმარე სერვისები	2017	3	2	3		3	↑
		2022	3	4	4		4	
სფერო E. ადამიანური რესურსები და ტრენინგები								
SAI-22	ადამიანური რესურსების მართვა	2017	3	2	2	2	2	↑
		2022	4	4	4	4	4	
SAI-23	პროფესიული განვითარება და ტრენინგები	2017	2	2	2	2	2	↑
		2022	4	4	4	4	4	
სფერო F. კომუნიკაცია და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა								
SAI-24	კომუნიკაცია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებასთან	2017	2	3	2	2	2	↑
		2022	4	4	4	4	4	
SAI-25	კომუნიკაცია მედიასთან, მოქალაქეებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან	2017	3	4			3	↑
		2022	4	4			4	

დანართი 3. სამართალდამცავ ორგანოებში 2021 წელს გადამგზავნილი ანგარიშები

1	შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის 2018-2019 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
2	სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ საინვესტიციო ვალდებულებების სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემის 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
3	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის მასალები
4	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის მასალები
5	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის მასალები
6	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების 2017-2018 წლების დაფინანსების შესაბამისობის აუდიტის მასალები
7	ქ. თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები
8	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები
9	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ 2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემური შესაბამისობის აუდიტის მასალები
10	სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის მასალები
11	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები
12	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
13	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
14	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
15	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის მასალები
16	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის მასალები
17	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებებისა და დაწესებულებების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო უძრავი ქონების გამოყენების შესაბამისობის აუდიტის მასალები
18	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტის მასალები
19	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2020 წლის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშის მასალები

დანართი 4. 2021 წელს სასამართლოში გადგზავნილი ადმინისტრაციული საპროცესუალური საქმეები

№	საჩივრის დასახელება	დარღვევა	თანხა ⁴⁶
1	ქართული არჩევანი	საარჩევნო პერიოდის ფინანსურ ანგარიშთან ერთად აუდიტის დასკვნის წარმოდგენლობა	5,000 ლარი
2	ქართული არჩევანი	2020 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციის წარმოდგენლობა	5,000 ლარი
3	დემოკრატიული განახლება – ჩვენი საქართველო გაბრწყინდება (ჩვენები)	2020 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციის წარმოდგენლობა	შენიშვნა
4	საქართველოს დამცველთა ერთობა	2020 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციის წარმოდგენლობა	შენიშვნა
5	ა(ა)იპ „დავასრულოთ“	აკრძალული შემოწირულება (არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ განხორციელებული შემოწირულება)	2,687 ლარი
6	ლამბირა ბანძელაძე	აკრძალული შემოწირულება	77,920 ლარი
7	დემოკრატია ალიანსი	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
8	საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
9	გირჩი – მეტი თავისუფლება	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	5,000 ლარი
10	რეფორმატორები	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
11	ჩვენი გაერთიანებული საქართველო	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
12	გირჩი – მეტი თავისუფლება	შემოწირულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენლობა	5,000 ლარი
13	გირჩი – მეტი თავისუფლება	აკრძალული შემოწირულების მიღება და დამალვა	95,182 ლარი
14	ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი	კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (წარმომადგენლების ვაკანსიების აუქციონის წესით გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი)	19,268 ლარი
15	ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი	აკრძალული შემოწირულების მიღება და დამალვა (რელიგიური ორგანიზაცია – ბიბლიური თავისუფლებისაგან მიღებული შემოწირულება)	
16	ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი	აუდიტის სამსახურის მიერ მოთხოვნილი და კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძენად ნაღდი ანგარიშსწორებით თანხის გატანა და ინფორმაციის წარმოდგენლობა)	
17	ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის არასწორი მონაცემებით წარმოდგენა	გაფრთხილება
18	გიორგი ჯავახიშვილი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	
19	ბესიკ ქავთარაძე	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	
20	ისლამ მარგოშვილი	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება

⁴⁶ სასამართლო გადაწყვეტილებები.



21	გიორგი იოსელიანი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
22	უშანგი ბოლქვაძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
23	მერაბ მერაბიშვილი	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
24	გოგი ეფხოშვილი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
25	გია ბიჭაშვილი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
26	ჯემალ ჯაძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
27	თამაზ ბეჭაური	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
28	რუსლან ჯუღაშვილი	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
29	გიორგი დოლიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
30	კახაბერ ცისკარიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
31	ლია რობაქიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
32	სპარტაკ კაპანაძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
33	ადელინა ჯაბუკიანი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
34	მალხაზ სოლომონიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
35	მევლუდ წულუკიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენლობა	გაფრთხილება

დანართი 5. სხელმწიფო პუღიტის სჰსსუჰის 2021 წლის ბიუჯეტი

(ეთჰს ლარებში)	ღჰჰსტჰჰული გეგმა	ფჰჰტი	გეჰსულება %
ხარჯები	16,235	14,879	92%
შრომის ანაზღაურება	13,498	12,472	92%
საქონელი და მომსახურება	2,135	1,944	91%
გრანტები	5	4	80%
სოციალური უზრუნველყოფა	240	140	58%
სხვა ხარჯები	357	319	89%
არაფინანსური აქტივების ზრდა	576	654	114%
მთლიანი ბიუჯეტი	16,811	15,533	92%

დანართი 6. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1	ანგარიშვალდებული ერთეული (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
2	ანგარიშვალდებული ერთეულის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N96
3	საიდენტიფიკაციო ნომერი (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	სახელმწიფო აუდიტის სამსახური - 202051956; სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი - 206350312
4	ორგანიზაციული ფორმა	სახელმწიფო მმართველობის დამხმარე საქმიანობები
5	დაფინანსების წყარო	საბიუჯეტო სახსრები და საკუთარი შემოსავლები
6	ანგარიშგების ტიპი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
7	ანგარიშგების პერიოდულობა	წლიური
8	ანგარიშგების თარიღი და პერიოდი	31.12.2021წ; 01.01.2021 -31.12.2021წწ.
9	ერთეულების მომცველობა (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემთხვევაში)	1. სახელმწიფო აუდიტის სამსახური (აპარატი) 2. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
10	ძირითადი საქმიანობების ჩამონათვალი	1. აუდიტორული საქმიანობა 2. სასერტიფიკატო და სატრენინგო პროგრამები
11	საანგარიშგებო ვალუტა	ლარი
12	დამრგვალების დონე	ერთეული
13	ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	Emekvabishvili@sao.ge T: 0322834101 Lshalikashvili@sao.ge T: 0322834122

მთავარი ბუღალტერი

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი

ლალი შალიკაშვილი

ერეკლე მექვაბიშვილი



შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა.....	9
4. ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	16
5. მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები	17
6. მატერიალური მარაგები.....	19
7. სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	21
8. ძირითადი აქტივები	22
9. არამატერიალური აქტივები	25
10. კრედიტორული დავალიანება, ანაღრიცხვები და სხვა ვალდებულებები	28
11. შემოსავლები გადასახადებიდან, გრანტებიდან და სხვა.....	29
12. შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან	30
13. დარიცხული ხარჯები, გრანტები და სუბსიდიები	31
14. სხვადასხვა შემოსავლები და ხარჯები	33
15. თანამშრომელთა ანაზღაურება	33
16. პირობითი ვალდებულებები.....	34
17. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	35
18. ფინანსური რისკის მართვა	35
19. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ	36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელობას და საქართველოს პარლამენტს

ჩვენი მოსაზრება

ჩავატარეთ “სახელმწიფო აუდიტის სამსახურის” (შემდგომში „ორგანიზაცია“ ან „სას“) და ორგანიზაციის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ (ერთობლივად „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების, კონსოლიდირებული წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგების და კონსოლიდირებული ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N 108 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ - ინსტრუქციისა და 2021 წლის 4 თებერვლის N 24 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ - ინსტრუქციის (ერთობლივად „ინსტრუქცია“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებასა და წარდგენაზე, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი

აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ერთეულის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოექცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ერთეულის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე

მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)


ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2022 წლის 27 აპრილი
თბილისი, საქართველო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და მის კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილი მომზადების საფუძველის მიხედვით;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მის თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- გონივრულობის ფარგლებში მიიღოს ყველა ხელმისაწვდომი ზომა, რათა დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- შექმნას სათანადო კონტროლის მექანიზმები, რათა თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ხელმძღვანელობის სახელით:


ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი


ლალი შალიკაშვიდი
მთავარი ბუღალტერი

27 აპრილი 2022წ. თბილისი, საქართველო

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

	დასახელება	შენიშვნა	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
001	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	N2	400,000	250,000
002	მიმდინარე ინვესტიციები	N2a	-	-
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	N2a	76,081	60,839
004	მატერიალური მარაგები	N3	238,946	255,064
005	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	N4	332,024	964,933
006	სულ მოკლევადიანი აქტივები		1,047,051	1,530,836
გრძელვადიანი აქტივები				
007	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	N5	-	-
008	ძირითადი აქტივები	N6	27,645,357	27,271,001
009	საინვესტიციო ქონება	N7	-	-
010	არამატერიალური აქტივები	N8	1,007,598	659,265
011	შეღავათიანი მომსახურების აქტივები	N9	-	-
012	ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები	N10	-	-
013	სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	N11	-	-
014	სულ გრძელვადიანი აქტივები		28,652,955	27,930,265
015	სულ აქტივები		29,700,006	29,461,101
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
016	მოკლევადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	-	-
017	მოკლევადიანი ნასესხები თანხები	N12	-	-
018	მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა	N13a	31,778	49,021
019	გადასახდელი პროცენტი	N13a	-	-
020	მიმდინარე ანარიცხები	N13b	-	-
021	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	N13a	-	-
022	ვალდებულებები დეპოზიტებით	N13a	-	-
023	ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით	N13a	-	-
024	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		31,778	49,021
გრძელვადიანი ვალდებულებები				
025	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	-	-
026	გრძელვადიანი ნასესხები თანხები	N12	-	-
027	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები ფინანსური იჯარით	N10	-	-
028	შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N9	-	-
029	გრძელვადიანი ანარიცხები	N13b	-	-
030	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N13a	-	-
031	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
032	სულ ვალდებულებები		31,778	49,021
წმინდა აქტივები/კაპიტალი				
033	კაპიტალში შენატანები		-	-
034	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		29,668,228	29,412,080
035	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი		29,668,228	29,412,080
036	სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი		29,700,006	29,461,101

ხელმძღვანელობის სახელით:

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

27 აპრილი 2022წ. თბილისი, საქართველო

ლალა შალიკაშვილი
მთავარი ბუღალტერი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

	დასახელება	შენიშვნა	საანგარიშგებო წელი			საანგარიშგებო წლის წინა წელი
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	სულ
შემოსავლები						
001	საგადასახადო შემოსავლები	N14 ა	-	-	-	-
002	სოციალური შენატანები		-	-	-	-
003	შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით	N14 გ	-	-	-	-
004	შემოსავლები გრანტებით	N14 ბ	282,285	-	282,285	76,001
005	შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	N14 გ	-	-	-	-
006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	N14 გ	15,532,530	-	15,532,531	13,547,159
007	შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა	N15ა	-	469,203	469,203	338,605
008	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული მოგება	N15ბ N17ა	-	-	-	-
009	საპროცენტო შემოსავლები	N15ა	-	27,042	27,042	8,631
010	საექვო (უიმედო) მოთხოვნების/ გაუფასურების/ ღირებულების შემცირების უკუგატარებით შემოსავლები	N16	-	-	-	-
011	სხვადასხვა შემოსავლები	N18	7,236	-	7,236	290,488
012	სულ შემოსავლები		15,822,052	496,245	16,318,297	14,260,884
ხარჯები						
013	შრომის ანაზღაურება	N17ა	12,471,958	198,050	12,670,008	10,052,483
014	საქონელი და მომსახურება	N17ა	1,958,092	138,995	2,097,087	1,936,021
015	გრანტები, გარე ტრანსფერები, სხვა ხარჯები და სუბსიდიები	N17ა,ბ,გ	3,635	-	3,635	364,656
016	შიდა ტრანსფერებით ხარჯები	N17ა	317,797	1,414	319,211	-
017	ცვეთა და ამორტიზაცია	N17ა	832,815	-	832,815	717,676
018	სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	N17ა	139,393	-	139,393	213,377
019	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ზარალი	N15ბ N17ა	-	-	-	-
020	საპროცენტო ხარჯები (ფინანსური ხარჯები)	N17ა	-	-	-	-
021	საექვო (უიმედო) მოთხოვნების /გაუფასურების/ ღირებულების შემცირების ხარჯები	N16	-	-	-	-
022	სხვადასხვა ხარჯები	N18	-	-	-	8,755
023	სულ ხარჯები		15,723,690	338,459	16,062,149	13,292,968
024	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)		98,362	157,786	256,148	967,916

004 სტრიქონში - „შემოსავლები გრანტებით“ აღირიცხება შესაბამის პერიოდში გრანტის სახით მიღებული შემოსავლები.

გრანტის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი კონვერსიის გზით აღირიცხება იმავე წლის დაფინანსებაში (006 სტრიქონში - შემოსავლები შიდა ტრანსფერებით), რაც ზრდის ამავე პერიოდის შემოსავლებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემოსავლების გაორმაგებულად აღრიცხვის თავიდან არიდების მიზნით, საანგარიშგებო პერიოდში გრანტის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი აკლდება გრანტის სახით მიღებულ შემოსავლებს და სხვაობა (რომელიც ზოგჯერ უარყოფითი რიცხვია) შეიტანება 004 სტრიქონში - „შემოსავლები გრანტებით“.

ხელმძღვანელობის სახელით:

ერეკლე მექვაბერიძე
გენერალური აუდიტორი

ლალი შალიკაშვილი
მთავარი ბუღალტერი

27 აპრილი 2022წ. თბილისი, საქართველო

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
კონსოლიდირებული წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

საანგარიშგებო წელი

	დასახელება	შენიშვნა	კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
001	საწყისი ნაშთი			29,804,398	(392,318)	29,412,080
002	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	N1	-	-	-	-
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება	N1	-	-	-	-
004	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი		-	29,804,398	(392,318)	29,412,080
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება						
005	დამფუძნებლების შენატანები		-	-	-	-
006	პერიოდის ნამეტი/დეფიციტი		-	98,362	157,786	256,148
007	მესაკუთრებისათვის გასანაწილებელი თანხები		-	-	-	-
008	საბოლოო ნაშთი		-	29,902,760	(234,532)	29,668,228

საანგარიშგებო წლის წინა წელი

	დასახელება	შენიშვნა	კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
001	საწყისი ნაშთი			29,000,677	(556,513)	28,444,164
002	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	N1	-	-	-	-
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება	N1	-	-	-	-
004	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი		-	29,000,677	(556,513)	28,444,164
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება						
005	დამფუძნებლების შენატანები		-	-	-	-
006	პერიოდის ნამეტი/დეფიციტი		-	803,723	164,193	967,916
007	მესაკუთრებისათვის გასანაწილებელი თანხები		-	-	-	-
008	საბოლოო ნაშთი		-	29,804,400	(392,320)	29,412,080

ხელმძღვანელობის სახელით:


ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

27 აპრილი 2022წ. თბილისი, საქართველო



ლალი შალიკაშვილი
მთავარი ბუღალტერი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
კონსოლიდირებული ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

საანგარიშგებო წელი

	დასახელება	შენიშვნა	დამტკიცებული ბიუჯეტი (საწყისი)	დაზუსტებული ბიუჯეტი (საბოლოო)	ბიუჯეტის შესრულება	შესრულება (%)
ბიუჯეტის შემოსულობები						
001	გადასახადები		-	-	-	-
002	გრანტები		-	-	-	-
003	სხვა შემოსავლები		-	-	-	-
004	არაფინანსური აქტივების კლება		-	-	-	-
005	ფინანსური აქტივების კლება		-	-	-	-
006	ვალდებულებების ზრდა		-	-	-	-
007	სულ ბიუჯეტის შემოსულობები		-	-	-	-
ბიუჯეტის გადასახდელები						
008	შრომის ანაზღაურება		13,623,000	13,498,000	12,472,370	92%
009	საქონელი და მომსახურება		2,205,000	2,135,000	1,928,979	90%
010	პროცენტი		-	-	-	-
011	სუბსიდიები		-	-	-	-
012	გრანტები		5,000	5,000	3,635	73%
013	სოციალური დახმარება		540,000	240,000	140,081	58%
014	სხვა ხარჯები		387,000	357,000	319,236	89%
015	არაფინანსური აქტივების ზრდა		51,000	576,000	475,686	83%
016	ფინანსური აქტივების ზრდა		-	-	-	-
017	ვალდებულებების კლება		-	-	-	-
018	სულ ბიუჯეტის გადასახდელები		16,811,000	16,811,000	15,339,987	91%
019	ბიუჯეტის ნაშთი		-	-	-	-

ხელმძღვანელობის სახელით:


ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

27 აპრილი 2022წ. თბილისი, საქართველო


ლალი შალიაშვილი
მთავარი ბუღალტერი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა

1918 წელს შეიქმნა სახელმწიფო კონტროლიორის ინსტიტუტი, რომელიც ფუნქციონირებდა 1921 წლის ჩათვლით, საბჭოთა ოკუპაციამდე. 1991 წელს, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, შეიქმნა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ეროვნული სისტემა და დაარსდა საქართველოს კონტროლის პალატა. 2008 წლიდან დაიწყო უწყების ინსტიტუციური გარდაქმნა, რის შედეგადაც 2012 წლის ივლისიდან ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახით ჩამოყალიბდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მართვის მოდელი წარმოადგენს ვესტმინსტერულ მოდელს. სამსახურს ხელმძღვანელობს გენერალური აუდიტორი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი 5 წლის ვადით. აუდიტის სამსახური ხელს უწყობს საპარლამენტო ზედამხედველობისა და მთავრობის საქმიანობის გაუმჯობესებას, უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და საჯარო ფინანსების ეფექტიან გამოყენებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAIs) მიხედვით შეიმუშავა ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიები. 2018 წლიდან დაიწყო სისტემური (ჰორიზონტალური) აუდიტების ჩატარება საჯარო სექტორში არსებული სისტემური რისკების გამოვლენისათვის. აუდიტის ახალ მიმართულებად განისაზღვრა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა (მსოფლიო ბანკი - World Bank (WB)) და დონორების (United States Agency for International Development (USAID)) მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტი. კერძოდ, აუდიტის სამსახურმა სრულად დააკმაყოფილა USAID-ის მოთხოვნები აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით და გახდა USAID-ის აუდიტორი ორგანიზაცია ამიერკავკასიის რეგიონში. ასევე, ევროკავშირის (EU) მომართვის საფუძველზე, სამსახური ატარებს მთავრობის ანტიკორუფციული გეგმით განსაზღვრული საკითხების აუდიტებს. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან გამოცხადებული ნდობა მიუთითებს აუდიტის სამსახურის წარმატებასა და აუდიტორული საქმიანობის მაღალ ხარისხზე.

აგრეთვე სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ეფექტიანობის აუდიტების წილი მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემა. შედეგად აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკას. მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, უკანასკნელ პერიოდში სამსახური ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ლიდერ უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციად და პარალელურ რეჟიმში, ატარებს ერთობლივ აუდიტებს ევროკავშირის ისეთ ქვეყნებთან ერთად, როგორებიცაა: პოლონეთი, ავსტრია, ესპანეთი, ნიდერლანდები, შვეიცარია, ესტონეთი, უნგრეთი და ა.შ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დაინერგა თანამედროვე მდგომარეობის რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიმართულებით. კერძოდ, სამსახურმა შექმნა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (<https://aris.sao.ge>), რომელიც უზრუნველყოფს აუდიტის ობიექტებთან პროაქტიულ კომუნიკაციას, პროცესების ავტომატიზაციასა და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის დანერგვას. სისტემაში ასახულია რეკომენდაციებთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია და ხელს უწყობს გაცემული რეკომენდაციების პრაქტიკაში დროულ დანერგვას.

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

პარლამენტის საზედამხედველო როლის გაძლიერებისა და აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მიზნით, მნიშვნელოვნად გააქტიურდა თანამშრომლობა პარლამენტთან აუდიტის ანგარიშების განმხილველი სამუშაო ჯგუფის ფორმატში. 2021 წელს სამუშაო ჯგუფმა განიხილა 22 აუდიტის ანგარიში, მათ შორის საანგარიშგებო პერიოდში სახელმწიფოს ცენტრალურ დონეზე ჩატარებული ყველა ფინანსური, 7 შესაბამისობისა და 7 ეფექტიანობის აუდიტები.

თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. უსაფრთხო საინფორმაციო ტექნოლოგიური გარემოს ჩამოყალიბებით, აუდიტის სამსახურმა დაანერგა კონტროლის ისეთი სისტემები, რომლებიც პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციურ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებთან (აშშ, შვედეთი, გერმანია, ლატვია, პოლონეთი, ლიეტუვა, სლოვენია და სხვა), საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან განხორციელებულმა თანამშრომლობამ. დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით, როგორებიცაა: EU (European Union), GIZ (Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit), WB, USAID სხვადასხვა დროს წარმატებით განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავდა სამსახურის როგორც აუდიტორული, ასევე არააუდიტორული საქმიანობის მიმართულებების გაძლიერებას. საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და უკეთესი პრაქტიკის გაზიარების მიზნით, სამსახური უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო ორგანიზაციისა (INTOSAI) და მისი რეგიონული გაერთიანებების (EUROSAI, ASOSAI) აქტიური წევრია. INTOSAI, EUROSAI და ASOSAI წარმოადგენენ ავტონომიურ, დამოუკიდებელ და აპოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ საჯარო აუდიტის მიმართულებით დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონულ დონეზე.

სამსახურის განვითარების ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია 2018-2022 წლების სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც ასახავს სამსახურის მისიას, ხედვას, ძირითად ღირებულებებს და ეყრდნობა ხუთ სტრატეგიულ მიზანს: (1) დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება (2) მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის შედეგად საჯარო ფინანსების მართვის თვისობრივი გაუმჯობესება (3) ძირითადი პარტნიორების ჩართულობის გაძლიერება (4) მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტურობის ამაღლება (5) თანამშრომელთა პროფესიული განვითარება. 2018-2022 წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სამსახურის დამოუკიდებლობისა და მანდატის განმტკიცების მიმართულებით. 2018 წლიდან ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონმა შეიძინა ორგანული კანონის სტატუსი. ასევე, სამსახურს მიენიჭა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი პირდაპირი მიმართვის უფლება. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური კონტროლის განხორციელება მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიის მიერ.

აუდიტორული საქმიანობის კუთხით, აღსანიშნავია:

- განახლდა ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტების მეთოდოლოგიები, რითაც ისინი კიდევ უფრო დაუახლოვდა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტებს (ISSAIs);
- სრულად დაინერგა აუდიტის მართვის სისტემა (AMS);
- შემუშავდა და დაინერგა აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმომხილველთა სისტემა;
- ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი გაიზარდა 81%-დან 90%-მდე;

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

- დაინერგა აუდიტის ახალი მიმართულება - უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი, რომლის ხელს უწყობს სფეროში არსებული სისტემური ხასიათის ხარვეზების აღმოჩენასა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;
- ეფექტიანობის აუდიტების წილი მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში გაიზარდა 13%-დან 32%-მდე;
- ჩატარდა USAID-ისა და მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების კუთხით აღსანიშნავია, რომ სამსახურში დაინერგა საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული თანამშრომელთა შეფასების სისტემა, შემუშავდა თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული და კარიერული განვითარების გეგმა, შეიქმნა ეთიკის კომისია, რომლის მიზანია ეთიკური კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა სამსახურში, განახლდა ეთიკის კოდექსი და შემუშავდა ეთიკის სახელმძღვანელო, ასევე შემუშავდა არაერთი პოლიტიკა სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესების კუთხით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რომელიც წარმოადგენს ანგარიშგების ვალუტას და ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ ტრანზაქციებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
1 დოლარი/ლარი	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	3.5040	4.0233

ზოგადი განმარტება

2017 წლის სექტემბრიდან დღემდე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის („ორგანიზაცია“ ან „სას“) გენერალური აუდიტორი არის ერეკლე მექვაბიშვილი. გენერალური აუდიტორის მოადგილეები არიან: ეკატერინე ლაზაძე, ნოდარ ჯავახიშვილი და დავით გოგიჩაიშვილი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლითა და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მიხედვით:

69.1. საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)**

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

69.3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია.

69.6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, სტრუქტურა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლი ადგენს:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს საჯარო მმართველობის ეფექტიანობას და ანგარიშვალდებულებას, საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, აგრეთვე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას“.

კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ ამოცანების შესასრულებლად გენერალური აუდიტორი განსაზღვრავს სამსახურის სტრუქტურას, განვითარების სტრატეგიას და ამტკიცებს წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ორგანიზაცია სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ საქმიანობაზე (ერთობლივად „ჯგუფი“).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N 108 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ - ინსტრუქციისა და 2021 წლის 4 თებერვლის N 24 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ - ინსტრუქციის (ერთობლივად „ინსტრუქცია“) შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური ანგარიშგების ახალი ფორმები, წინა (შესადარის) პერიოდთან შედარებით, ითვალისწინებს მონაცემების უფრო მეტად აგრეგირებას ან დეზაგრეგირებას, ამის შესახებ დეტალური განმარტებები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ნაწილში (ძირითადი ფორმები, განმარტებითი შენიშვნები).

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

*კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)*

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითადად ეყრდნობა შემდეგ დოკუმენტებს: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N 108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“.

აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის და სახელმწიფო სექტორის საქმიანობის მარეგულირებელი და აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნები.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ორგანიზაცია არის მოქმედი და საქმიანობას გააგრძელებს განჭვრეტად მომავალში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, გენერალური აუდიტორი არჩეულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის სექტემბერში, 5 წლის ვადით და სარგებლობს დამოუკიდებლობის უმაღლესი სტანდარტით.

სამსახურის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2021 წელს, 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადი წარედგინება პარლამენტს 2022 წლის 1 მაისამდე, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ჯგუფის 2023 წლის ბიუჯეტის შემცირება 2022 წლის დამტკიცებულ ოდენობასთან შედარებით არ იგეგმება. გამომდინარე აქედან, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ფუნქციონირებადი ერთეულის დაშვება მართებულია.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ჩვეულებრივ ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას, გარდა ორგანიზაციის ადმინისტრაციული შენობებისა (თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი) და მიწისა, რომლებიც 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის მიზნებისთვის ერთჯერადად შეფასდა სამართლიანი ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ორგანიზაცია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

კონსოლიდაციის პრინციპები

2021 წლის 31 დეკემბრისათვის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატის და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ ანგარიშგებებს.

კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შიდა ოპერაციებით წარმოშობილი ტრანზაქციები ელიმინირებულია.

მატერიალური მარაგები და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შეძენასთან, წარმოებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. მოკლევადიან აქტივებში აისახება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სტრატეგიული მარაგები, ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, გასაყიდად შეძენილი საქონელი და სხვ. ასევე მცირეფასიანი აქტივები - მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკა, ინვენტარი და მოწყობილობა - რომლებიც არ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების აღიარების კრიტერიუმს (500 ლარზე ნაკლები ღირებულებისაა და გამოიყენება ერთ წელზე მეტი ვადით).

მარაგები თავდაპირველი აღიარებისას აისახება თვითღირებულებით.

როდესაც მატერიალური მარაგები შეძენილია არაგაცვლითი ოპერაციის გზით, მათი შეფასება ხდება შეძენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მარაგები აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თუ მარაგები განკუთვნილია უსასყიდლოდ ან ნომინალური ღირებულებით გასანაწილებლად ან ასეთი მარაგების/საქონლის წარმოებისათვის, მარაგების ეს კლასი აისახება თვითღირებულებასა და მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულებას შორის უმცირესით.

მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულება არის ის ღირებულება, რომელსაც ერთეული გაიღებდა აქტივების მოსაპოვებლად ანგარიშგების თარიღისათვის.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი ოპერირების რეჟიმში შეფასებით დადგენილი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისათვის, გაყიდვის, გაცვლის და განაწილებისათვის შეფასებით დადგენილი საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულებისა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დადგენისას, ასევე, არაგაცვლითი ოპერაციის შემთხვევაში მიღებული ისეთი მატერიალური მარაგების შეფასებისას, რომელთაც ღირებულება არ გააჩნიათ, მატერიალური მარაგების სამართლიანი ღირებულება დგინდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე.

მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მოხმარება აღირიცხება ხარჯად, როდესაც ისინი გადადიან მოხმარების ეტაპზე ჯგუფის ჩვეულებრივი ოპერაციების მიმდინარეობისას. მარაგების ღირებულება გამოითვლება ინდივიდუალური დანახარჯების სპეციფიური იდენტიფიკაციის მეთოდით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ. სხვა შემთხვევაში გადახდილი ავანსები კლასიფიცირდება მოკლევადიან აქტივად. აქტივების (ძირითადი მატერიალური/არამატერიალური, მცირეფასიანი აქტივები და მარაგები) შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის მათ საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ მათზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები ჩამოიწერება ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში (ნამეტში/დეფიციტში) მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები/მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი აღიარდება შესაბამისი წლის ნამეტში/დეფიციტში.

ძირითადი აქტივები

ძირითადი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია და შეფასებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ორგანიზაციაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდის ნამეტში ან დეფიციტში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი აქტივების თვითღირებულება წარმოადგენს აღიარების თარიღისთვის ფულადი სახსრებით გადასახდელი ფასის ეკვივალენტს (შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია შეძენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან), ან არაგაცვლითი ოპერაციისას მითითებული ძირითადი აქტივების შემთხვევაში, აღიარების თარიღისთვის დადგენილ მის სამართლიან (რეალურ) ღირებულებას. ამასთან, თუ გადახდა გადავადებულია და გადავადების პირობები სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ სხვაობა ფულადი სახსრების გადასახდელი ფასის ეკვივალენტსა და მთლიანად გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში.

ძირითადი აქტივების ცვეთის გაანგარიშებისთვის და მისი აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვისთვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ - ინსტრუქცია (შემდგომში - ინსტრუქცია). ძირითადი აქტივების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოყენებულია წრფივი მეთოდი, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვისათვის გამოყენებული ცვეთადი თანხა განისაზღვრება როგორც ძირითადი აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას (გარდა ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადებისა, რაც განსაზღვრულია ზემოაღნიშნულ ინსტრუქციაში). ჯგუფის

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა აფასებს ნარჩენ მოხმარების ვადებს აქტივების მიმდინარე მდგომარეობის მიხედვით, რადროსაც გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: აქტივების მოსალოდნელი მოხმარება, ფიზიკური მოხმარება და ცვეთა და ა.შ.

ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	100
სხვა ნაგებობები	20-26
ავეჯი	10-15
საოფისე ინვენტარი და ტექნიკა	2-20
კომპიუტერული ტექნიკა და კომუნიკაცია	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	8-10

თითოეული პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება ნამეტში ან დეფიციტში, თუ ის ჩართული არ არის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ცვეთადი აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაცო) ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები ერთეულის აღრიცხვა-ანგარიშგებაში აისახება სსბასს-ების მოთხოვნების შესაბამისად, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

ძირითადი აქტივების აღიარება წყდება გაყიდვის/გადაცემის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის/მომსახურების პოტენციალის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი აქტივის ობიექტის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აქტივის აღიარების შეწყვეტისას ჩაირთვება ნამეტის ან დეფიციტის ნაწილში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის და მისი აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვისთვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ - ინსტრუქცია.

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარების შემდგომ აისახება თვითვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რაც გულისხმობს ყოველი წლის ბოლოს არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებით ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში. არაგაცვლითი ოპერაციებით არამატერიალური აქტივების საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებისას, არამატერიალური აქტივები ფასდება გადმოცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება. ყველა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება ადასტურებს თუ არა მოვლენები და პირობები, რომ მოცემულ აქტივს კვლავ განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია. თუკი ასეთი რამ არ დასტურდება, აქტივის განუსაზღვრელი მომსახურების ვადის შეცვლა განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადით ერთეულის აღრიცხვა-ანგარიშგებაში აისახება სსბასს-ების მოთხოვნების შესაბამისად, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია დაერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად, თუ სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა შესაძლებელია. თუ ახალ ამორტიზირებად აქტივთან დაკავშირებით ერთეულს არ შეუძლია სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა, ასეთი აქტივებისათვის სასარგებლო მომსახურების ვადად განისაზღვრება 10 წელი. ექსპლუატაციაში მყოფი ამორტიზირებადი აქტივების მიღების შემთხვევაში, თუ ერთეულს არ შეუძლია სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა, სასარგებლო მომსახურების ვადად შეიძლება განისაზღვროს 10 წელზე ნაკლები.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვისათვის გამოყენებული ამორტიზირებადი თანხა განისაზღვრება როგორც არამატერიალური აქტივის თვითღირებულებას ან ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულ სხვა თანხას გამოკლებული ნარჩენი (სალიკვიდაცო) ღირებულება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც ჯგუფი გახდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. ტრანზაქციული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება შეძენას ან ფინანსური აქტივისა და ვალდებულებების (არ გულისხმობს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით აღიარებას ნამეტში/დეფიციტში) გამოშვებას, შესაბამისად ამცირებს ან ზრდის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების რეალურ ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივები

ორგანიზაციის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფულადი სახსრები, სხვა მოთხოვნები და სხვა ფინანსური აქტივები.

ფულადი სახსრები მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს: ფულად სახსრებს სალაროში; მიმდინარე ანგარიშებს ბანკში და ფულადი სახსრების ეკვივალენტებს.

ფულადი სახსრები სალაროში მოიცავს: ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში და ნაღდ ფულს უცხოურ ვალუტაში.

მიმდინარე ანგარიში ბანკში მოიცავს: ხაზინის ერთიან ანგარიშს ეროვნულ ბანკში, ხაზინის სავალუტო ანგარიშს ეროვნულ ბანკში, ხაზინის ანგარიშებს კომერციულ ბანკებში და საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშებს კომერციულ ბანკებში.

ხაზინის ერთიანი ანგარიში ეროვნულ ბანკში მოიცავს: სახელმწიფო ბიუჯეტის ფულად სახსრებს, დეპოზიტებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში, დეპოზიტებს ხაზინაში უცხოურ ვალუტაში და სხვა ანგარიშებს ხაზინაში.

საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშები კომერციულ ბანკებში მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშს კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში; საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშს კომერციულ ბანკში უცხოურ ვალუტაში და საბიუჯეტო ორგანიზაციის სხვა ანგარიშს კომერციულ ბანკში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა ამოიწურება ან გაუქმდება.

ფინანსური ვალდებულებები

ორგანიზაციის ფინანსურ ვალდებულებას წარმოადგენს სხვა კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის ვალდებულებები გათავისუფლებულია, გააუქმებულია, ან იწურება. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ საფასურს შორის აღიარდება ნამეტში/დეფიციტში.

წმინდა აქტივები/კაპიტალი

წმინდა აქტივები/კაპიტალი მოიცავს: კაპიტალში შენატანის, გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის, პერიოდის ნამეტის/დეფიციტის თანხების ანგარიშებს.

კაპიტალში შენატანი მოიცავს კაპიტალად კლასიფიცირებულ არაფინანსურ და ფინანსურ აქტივებს.

გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი მოიცავს გაუნაწილებელ ნამეტს/დეფიციტს, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის.

საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი/დეფიციტი მოიცავს პერიოდის ნამეტს/დეფიციტს, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის.

ბიუჯეტიდან დაფინანსება

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ანგარიშზე აღირიცხება ჯგუფის ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები (საბიუჯეტო სახსრები, კრედიტები და გრანტები). საბიუჯეტო დაფინანსების ანგარიშები გადაიხურება გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიშზე. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ასიგნებების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯების შესაბამისი მოცულობით. ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში მიღებული დაფინანსება ორგანიზაციების მიერ აღირიცხება საკასო მეთოდით. მესამე პირის მიერ განხორციელებული გადახდები, ორგანიზაციის მიერ სააღრიცხვო ჩანაწერებში და ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება.

თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურება

თანამდებობრივი სარგო, ანაზღაურებადი შვებულება, წოდებრივი დანამატი, სახელფასო დანამატი, ფულადი ჯილდო და სოციალური ანაზღაურება (საავადმყოფო ფურცელი) ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ.

თანამშრომელთა მოკლევადიან ბენეფიტებთან დაკავშირებით აღიარებული ვალდებულებები აისახება შესაბამისი მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი ბენეფიტების არადისკონტირებული ოდენობით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

სავალუტო ოპერაციები

სავალუტო ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ტრანზაქციის დღეს მოქმედი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კრედიტორები ან დებიტორები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის აისახება ამ დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. საკრედიტო დავალიანების დაფარვით ან პერიოდის განმავლობაში თავდაპირველად ასახულისგან განსხვავებული კურსით გადაანგარიშებისას წარმოშობილი სხვაობები შემოსავალში ან ხარჯში აღიარდება მათი წარმოშობის პერიოდში.

შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან

შემოსავლის შეფასება ხდება მისაღები ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის სამართლიანი ღირებულებით, რომელიც არ შეიცავს შეღავათებს, ფასდაკლებებსა და დამატებითი ღირებულების გადასახადს (შემდგომში - დღგ). მომსახურებიდან შემოსავალი აღიარდება ეტაპობრივად, ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ხდება მომსახურების გაწევა და მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა მოხდა მომსახურების მიწოდება. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. შემოსავლის თანხის ოდენობა მისაღები ფულადი სახსრების ტოლია. იმ შემთხვევაში, როცა ფულის შემოსვლა ერთეულში ყოვნდება, ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით მისაღები თანხების დისკონტირება არ ხდება.

მიზნობრივი გრანტები

მიზნობრივი გრანტები, მიღებული საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მიღებისთანავე აღიარდება როგორც შემოსავლები გრანტებით. ამ გრანტის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი ამცირებს შესაბამის პერიოდში გრანტის თანხას.

კრიტიკული სააღრიცხვო დაშვებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს, რომელთა გამოყენება მართებულად მიიჩნევა. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირებას ეფექტი აქვს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

სააღრიცხვო პოლიტიკებში გამოყენებული კრიტიკული შეფასებები და გაურკვევლობის შეფასების ძირითადი წყაროები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განმარტებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების იმ ელემენტების მომცველ განმარტებებში, რომლებთანაც ისინი არის დაკავშირებული.

ორგანიზაციის მიერ რეგიონში ოფისების გახსნის დროს, ჯგუფის ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო პოტენციური ობიექტების სიდიდე, თანამშრომელთა რაოდენობა და გეოგრაფიული სიახლოვე. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ რეგიონში არსებული აქტივები შესაბამისობაშია ორგანიზაციის მიმდინარე მოთხოვნებთან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

